

ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
გაზეთი
გამოდის
1927 წლიდან

გაზეთი „თბილისის
უნივერსიტეტი“ 80 წლისაა

არჩევანი
უნივერსიტეტის
ავტონომიური
სასარგებლოდ



ლამი-ისი

უნივერსიტეტი

31

დეკემბერი, ორშაბათი, 2007 წ. №22 (2067)

ფასი 30 თეთრი



გილოსავთ შობა-ახალ წელს!

ახალი წელი და ქართული კულტურა

უძველესი დროიდან ადამიანს სურდა, ცალი თვალით მაინც შეეხედა თავისი მომავლისთვის - განეჭვრიტა ხვალისდელი დღე. განსაკუთრებული სიმძაფრით კი ეს სურვილი ახალი წლის მოახლოებისას ეუფლებოდა. ახალ წელს ხომ, როგორც არასდროს, ვართ განწყობილი, გვჯეროდეს სასწაულის, გვსურს მტერსაც და მოყვარესაც ბედნიერება ვუსურვოთ, უარყოფითი ემოციები წარსულს ჩავაბაროთ და ახალი, ხალისითა და ბედნიერებით აღსავსე ცხოვრება დავიწყოთ. გამორჩეულად ვემზადებით ამ „სასწაული დღის“ შესახებ ვინაიდან გვწამს — როგორც გავატარებთ ახალ წელს, ისე ვიცხოვრებთ მთელი წლის განმავლობაში.

მაკა ლდოკონანი

სამეცნიერო ლიტერატურაში დეკემბერი, როგორც წესი, მზის დაბადების დღედ იყო მიჩნეული. მართლაც, ზამთრის ნაბუნობის შემდეგ (22, 23, 24 დეკემბერი) მზე მატებას იწყებს. მეცნიერებს წელიწადის პირველი დღის მაგიტომობის რწმენა ახალი წლის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნიათ. ახალი წელი ჯადოსნურ დღედ ითვლებოდა, ამიტომ რიტუალების შესრულება 31 დეკემბრის ღამეს საახალწლო სამზადისით იწყებოდა. „ახალი წლის აღნიშვნა საქართველოს ცალკეულ კუთხეში თავისებურებით ხასიათდება. გარდა იმისა, რომ გულმოდგინედ აღაგებდნენ და ასუფთავებდნენ სახლსა თუ საყოფაცხოვრებო ნივთებს, მდულრავდნენ ჭურჭელს, განსაკუთრებულ საკვებსაც ამზადებდნენ“ - გვიამბობს ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ეთნოგრაფი თეა ქამუშაძე.

როგორც წესი, ქართველები საახალწლოდ სპეციალურად ნასუქ ღორს კლავდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მთაში, სადაც ეს ცხოველი უწმინდურად ითვლებოდა, ახალი წლის დილას ცხვარი იკვებებოდა. „ადამიანისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ოჯახის წევრების, არამედ ცხოველის, ფრინველის გამრავლება, მოსავლის სიუხვე, რაც სიმბოლურ რიტუალებში იჩენდა თავს. სწორედ ამიტომ, ყველა შინაური ფრინველისთვის თუ ცხოველისთვის რიტუალური კვებები ცხვებოდა“, - განმარტავს ქალბატონი თეა.

კვებებს მაგიური ძალა მეკვლის ხელიდან ეძლეოდათ

რიტუალური კვებები ნაყოფიერების, სიმრავლისა და მომავალი სავსე ცხოვრების მომნიჭებლები იყვნენ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ღორის - სამსხვერპლო ცხოველისთვის გამოცხობილი კვერი. რაჭა-ლეჩხუმში მას „ღორის სალოცილი“, იმერეთში „საკვავაკვაი“, რაჭაში კი „სირისკული“ ერქვა. ისინი მაგის გზით ღორების გასამრავლებლად ცხვებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ფშავეში, ბლითის ფორმის სამეკვლეო კვერს „გოგას“ აცხობდნენ. „გოგას“ მეკვლე სახლში შემოავარებდა ხოლმე. ჩიჩილაკისთვის განკუთვნილ კვერს „ბოკელი“ და „ხარის კისერი“ ერქვა. „ბოკელი“ ყველითა და მოხარშულ კვერცხით იყო გამოტენილი. „ხარის კისერს“ კი საქონლის გამრავლებისა და ჯანიაზობის დასაბეგებლად აცხობდნენ. საახალწლო სუფრის აუცილებელ ატრიბუტს კაცის ფორმის პური „ბასილა“ წარმოადგენდა. მას აწყობდნენ „სამეკვლეო გობზე“ ან თევზზე, რომლითაც მეკვლე „შემოლოცვის“ რიტუალს ასრულებდა. ბასილას კვერი ოჯახის ყველა წევრს უნდა ეჭამა. ხშირად მას საქონელსაც აჭმევდნენ, ზოგჯერ

კი წყალკურთხევამდე (19 იანვარი) ინახავდნენ და მერე მიირთმევდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დადგენილია, რომ ბასილის სახელის ქვეშ ხალხი წმიდა ბასილ დიდს - IV საუკუნის უდიდეს კესარიელ მამას გულისხმობდა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქრისტიანობის განვითარებას. რაჭაში ცხვებოდა რამდენიმე „კაც-ბასილა“: სამი „კერია“ და მეოთხეს პირდაპირ „წმიდა ბასილი“ ერქვა. ხევში და თუშეთში ახალი წლის მსგავსი სამზადისი მიმდინარეობდა შობასაც: ხევში „წმიდა სამების პურს“, „თესლის პურს“, ბავშვებისთვის კი „ბედისკვერებს“ აცხობდნენ. თუშეთში საშობაოდ გამოცხვარ დიდ კოტორს „ქრისტეს საგზალი“ ერქვა, ადამიანთა და შინაურ ცხოველთა გამოსახულების პურები. ისინი სასთუმალქვეშ ამოსაღებად განკუთვნილი, ლუკმისოდენა მრგვალი პურები გახლდათ. „განსაკუთრებულ წესად ჰქონდათ კვერებზე მკითხაობა. მაგალითად, ამოფუებული „ბედისკვერი“ ბედნიერების საწინდარი იყო. საერთოდ, კვერების უმრავლესობას მაგიური ძალა მეკვლის ხელიდან ეძლეოდა“, - გვიამბობს თეა ქამუშაძე.

წლის მოვლენები

გვ- 7-10 გვ.

პოლიტიკური კულტურა — ახალი გამომწვევა მსოფლიოსთვის

გვ- 3 გვერდზე

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ალსაყდრებიდან 30-ე წლისთავი თსუ-მაც აღნიშნა

გვ- 4 გვერდზე

რატომ იკლო ფიზიკის მიმართულებით სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა

გვ- 5 გვერდზე

აპაკი შანიძე მართო წარსული არ არის

გვ- 12 გვერდზე

პეტრე ოცხელის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

გვ- 13 გვერდზე

„ჩვენებურები“ ქართული ფოლკლორის დღესასწაულია

გვ- 14 გვერდზე



როდის დაიწყება სწავლა მეორე სემესტრში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სამსახურის დადგენილებით (დადგენილება №27; 18.06.07), 2007-2008 სასწავლო წლის I სემესტრში საშობაო არდადეგები გამოცხადებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 7 იანვრის ჩათვლით.

ამავე დადგენილებით, I სემესტრის სააუდიტორო მეცადინეობები შეწყდება 2008 წლის 18 იანვარს. ზამთრის საგამოცდო სესია ჩატარდება 2008 წლის 21 იანვრიდან 9 თებერვლის ჩათვლით. სემესტრებს შორის არდადეგები გამოცხადებულია 2008 წლის 10 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით.

2007-2008 წლის სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაიწყება 4 მარტს და დასრულდება 14 ივნისს.

800 სტუდენტს თსუ-ში გადმოსვლის საშუალება ექვსი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა მოხილვის ხელშეწყობის მორიგ ღონისძიებებს ატარებს. როგორც თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ სვანაძემ განაცხადა, უკვე დადგენილი და განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებულია 800 ვაკანტური ადგილი უნივერსიტეტში გადმოსვლის

მსურველთათვის.

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან თსუ-ში გადმოსვლის მსურველებმა (გარდა პირველკურსელებისა) უნდა წარმოადგინონ: განცხადება თსუ რექტორის სახელზე (განცხადების ფორმა ივსება საბუთების ჩაბარებისას); უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ასლი; ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან, რომელშიც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ გავლილი საგნების მოცულობა, მიღებული შეფასებები და მინიჭებული კრედიტები. პირადობის მოწმობის ასლი; ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატის ასლი; ატესტატის ასლი; ფოტოსურათი (ფერადი, ზომით 3X4).

მერაბ სვანაძის განცხადებით, უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა საბუთების მიღების ვადები განსაზღვრულია 2008 წლის 21 იანვრიდან 11 თებერვლამდე. კონკურსანტთა რეგისტრაცია იწარმოებს 14, 15, 18 თებერვალს, ხოლო გამოცდა დაიწყო 19 თებერვალს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კონკურსანტების საბუთების ანალიზის საფუძველზე დაადგენს აღიარებული კრედიტების რაოდენობას. საკონკურსო გამოცდამდე, რეგისტრაციის დროს, სტუდენტს ექნება ინფორმაცია — ჩარიცხვის შემთხვევაში რამდენი კრედიტით გააგრძელებს სწავლას.

გამოცდის მეორე დღესვე გამოცხადდება შედეგები და დაიწყება სააპელაციო განცხადებების მიღება. დადგენილი წესით, 29 თებერვალს გაფორმდება სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანება.

თსუ წარმატებულმაგისტრანტთა 10%-ს სრულად დააფინანსებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოაცხადა მაგისტრანტთა მიღება 2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის.

მისაღები გამოცდებისთვის საბუთების მიღება იწარმოებს 2008 წლის 15-25 იანვარს. გამოცდები ჩატარდება 1-17 თებერვალს, ხოლო მაგისტრანტთა რეგისტრაცია — 22-29 თებერვალს.

კონკურსანტები ჩაბარებენ გამოცდებს უცხო ენასა და სპეციალობაში.

მაგისტრანტების დაფინანსების მექანიზმი განისაზღვრება სპეციალობაში მიღებული ქულების მიხედვით. წარმატებული კონკურსანტების 10 პროცენტს სრულად დააფინანსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაფინანსების მოსაპოვებლად შერჩევა მოხდება იმ სტუდენტებს შორის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ერთი და იგივე გამოცდა.

სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დოქტორანტურაში საბუთების მიღება იწყება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2007-2008 სასწავლო წლისთვის სწავლის გაგრძელების მსურველთათვის იწყებს საბუთების მიღებას დოქტორანტურაში. 24-31 დეკემბერს აკადემიური სამსახური პროგრამებს დაამტკიცებს. 2008 წლის 8-დან 25 იანვრის ჩათვლით დოქტორანტურაში ჩასაბარებლად უცხო ენაში საგამოცდო რეგისტრაცია დაიწყება. გამოცდა უცხო ენაში 1-18 თებერვალს ჩატარდება. ჩარიცხული დოქტორანტების რეგისტრაციის ვადაა 21-25 თებერვალს.

დოქტორანტებისთვის ინგლისური ენის გამოცდა ჩატარდება 9 თებერვალს FCE ეკვივალენტური ტესტით (სადოქტორო

პროგრამა — ინგლისური ფილოლოგია"-ზე ჩაბარების მსურველთათვის CAE ეკვივალენტური ტესტით).

ფრანგული ენის გამოცდა ჩატარდება 6 თებერვალს DELF/B2 ეკვივალენტური ტესტით.

გერმანული ენის გამოცდასთან დაკავშირებული საკითხები გაიკვეთა მოგვიანებით. დოქტორანტურის სწავლის საფასურის ოდენობას შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოები განსაზღვრავს.

უცხო ენის გამოცდის შემდეგ გასაუბრების ან/და გამოცდის ჩაბარების საკითხს და ვადებს ადგენს შესაბამისი ფაკულტეტი.

მეორე სემესტრში აკადემიური დავალიანების საფასური არ შეიცვლება

გასულ სასწავლო წელს გამოცდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 5 სექტემბრის ბრძანება (73/01-01), რომლის მე-11 პუნქტის მიხედვით სტუდენტებს, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოიპოვეს შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება მიეცათ თვითდაფინანსების გზით დაესრულებინათ სასწავლო პროგრამა მომდევნო, არა უმეტეს ოთხი სემესტრის ვადაში. სტუდენტთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ აღნიშნული ბრძანებით დავალიანების გადასახადი განისაზღვრა იმ დროისთვის დადგენილი სემესტრული გადასახადის შესაბამისად.

სტუდენტთა მოთხოვნის გათვალისწინებით, რექტორის ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სტუდენტთა აკადემიური დავალიანების საფასური განისაზღვრა ცალკეული დისციპლინის კრედიტების რაოდენობაზე გათვლით — 1 კრედიტზე საფასური დადგინდა 25 ლარის ოდენობით.

უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მერაბ სვანაძის ინფორმაციით, მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრში აკადემიური დავალიანების საფასური არ შეიცვლება. მომზადებულია ბრძანების პროექტი, რომლის მიხედვითაც დავალიანებას სტუდენტი გადაიხდის ცალკეული დისციპლინის კრედიტების რაოდენობაზე გათვლით: 1 კრედიტი — 25 ლარი.

ფილიალების პედი უკვე გარკვეულია

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, 2007-2008 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ბოლომდე დასრულდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში განთავსებული ფილიალების დამოუკიდებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებად ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის თაობაზე წინადადებების განხილვა.

ქვეყნის მასშტაბით, ადრე არსებული 28 ფილიალის ნაცვლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბდა: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელშიც 5 ათასამდე სტუდენტი ისწავლის და რომელიც მოამზადებს როგორც ბაკალავრებსა და მაგისტრებს, ასევე აკადემიურ დოქტორებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის ბაზაზე შეიქმნა ახალციხის ინსტიტუტი, რომელიც განახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და უმაღლეს პროფესიულ პროგრამებს. აქ 2000 სტუდენტი ისწავლის.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ლიცენზიების შესაბამისად, ზუგდიდში, წნორში, ახალქალაქსა და ქუთაისში (მუსიკალური) მუშაობას იწყებენ კოლეჯები, რომლებიც საბაკალავრო და უმაღლეს პროფესიულ პროგრამებს განახორციელებენ.

თსუ-ის შემადგენლობაში მყოფი რვა ფილიალიდან ლიკვიდაციას დაექვემდებარა ფოთის, ოზურგეთისა და ქვემო ქართლის ფილიალები, რის შედეგადაც თსუ-ში უმაღლესი განათლების მიღება 1090-მა სტუდენტმა განაგრძო.

როგორც იანვრის შედეგად აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალი ამავე უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტად გადაკეთდა, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მარნეულის მართვის სახელმწიფო ინსტიტუტი — საგარეუბნო ბიზნესის ფაკულტეტად, ხოლო თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის ფილიალი — ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტად.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების ძირითადი მიზანი უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებაა.

2008 წლის იანვრიდან აკადემიური პერსონალისთვის ანაზღაურება თანაბრად განისაზღვრება

2008 წლის იანვრიდან აკადემიური პერსონალისთვის დადგენილი მინიმალური ანაზღაურება თანაბრად გაიზარდა, ხოლო სახელფასო დანამატი გაიცემა სამეცნიერო კვლევის, სწავლების, უწყვეტი განათლებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების სფეროში მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით.

თსუ-ის მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელიც ამ დროისთვის უკვე შედგენილია, შრომის ყოველთვიური ანაზღაურება (საუბარო დარიცხვულ ხელფასზე), რომელიც სრული პროფესორისთვის 900 ლარს შეადგენს, ასოცირებულისთვის — 720 ლარს, ასისტენტ-პროფესორისთვის კი — 540 ლარს.

რაც შეეხება, სახელფასო დანამატს, რომელიც აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობის დანამატის სახით უნდა მიიღოს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა სამისოდ უმაღლესი სასწავლებლის ექვსივე ფაკულტეტისთვის 2 მილიონი ლარი

გათვალისწინა, რომელიც კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით გადანაწილდება.

სახელფასო დანამატი გაიცემა ერთი წლით, როგორც აკადემიურ, ისე ხელშეკრულებით მოწვეულ პერსონალზე. სახელფასო დანამატის სახით ფაკულტეტებისთვის მიზნობრივი თანხის ოდენობა დამოკიდებული იქნება სასწავლო პროგრამების მოცულობასა და სხვა კრიტერიუმებზე.

ამ დროისთვის შრომის ყოველთვიური ანაზღაურება სრული პროფესორისთვის 700 ლარს, ასოცირებულისთვის — 560 ლარს, ასისტენტ-პროფესორისთვის კი 420 ლარს შეადგენს.

თსუ-ის ბაკალავრის ნიჭიერ სტუდენტთა წამახალისებელი პროგრამა

თსუ-ში სტუდენტის სტიპენდია დღეისთვის 150 ლარს შეადგენს და იგი არა მხოლოდ ფრიადოსან, არამედ განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეულ სტუდენტებსაც გადაეცემა.

სტიპენდიანტების შერჩევის პროგრამის განხორციელებისათვის შექმნილი სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, 2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-ის ბაკალავრიატის ნიჭიერ სტუდენტთა წამახალისებელი პროგრამისთვის გამოყოფილ თანხებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 134 სტუდენტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის 124 სტუდენტი, იურიდიული ფაკულტეტის 98 სტუდენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 88 სტუდენტი და მედიცინის ფაკულტეტის 65 სტუდენტი მიიღებს.

წამახალისებელ კანდიდატთა შერჩევა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით განხორციელდა: აკადემიური მოსწრება შეფასდა 50 ქულით; სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება — 25 ქულით; რეცენზირებად უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომიდან თითოეულს დაეთმო 10 ქულა; საქართველოში რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ ნაშრომში თითოეულს ერგო 5 ქულა; სამეცნიერო კრებულებში, სალიტერატურო ჟურნალებში და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ნაშრომები შეფასდა 2 ქულით.

შეფასების კრიტერიუმებში, ასევე შევიდა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რომელიც მოიცავს საერთაშორისო კონფერენციებზე ნაკითხული მოხსენებებს. თითოეული მათგანი შეფასდა 10 ქულით; ეროვნულ-სამეცნიერო კონფერენციაზე ნაკითხული ყოველი მოხსენება — 5 ქულით; სტუდენტურ კონფერენციებში გამარჯვება — 4 ქულით; სტუდენტურ კონფერენციაზე ნაკითხული ყოველი მოხსენება — 2 ქულით. ამ დროისთვის ნიჭიერ სტუდენტთა წამახალისებელ პროგრამაში გამარჯვებულები უკვე გამოვლენილი არიან. ისინი, ამჟამად, „სახალხო ბანკის“ საკრედიტო ბანკის ბარათებს ელიან, რომლის მეშვეობითაც კუთვნილ სტიპენდიებს აიღებენ. სტიპენდიის ათვლა 2007 წლის ოქტომბრიდან დაიწყო და შემოდგომის სემესტრის სრული თანხა 600 ლარს შეადგენს.

როგორც თსუ-ის ადმინისტრაციამ განმარტავენ, ნიჭიერ სტუდენტთა ფინანსურად წახალისების პროგრამის ამოქმედება დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული იდეაა, რომლის განხორციელებაც მიმდინარე სასწავლო სემესტრში მოხერხდა.

ექსპედიციების შემაჯამებელი კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ათწლეულების მანძილზე ერთადერთი სასწავლო დაწესებულება იყო, სადაც ფუნქციონირებდა არქეოლოგიის კათედრა, რომელიც ამ სპეციალობის სტუდენტებს ამზადებდა. არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად საველე ექსპედიციებში ყოველთვის აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. ძველი ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალების ნაწილი დღესაც არქეოლოგიის კაბინეტშია გამოფენილი.

არქეოლოგიის მიმართულების პროფესორის ზვიად კვიციანი აზრით, განათლების რეფორმის შედეგად უნივერსიტეტში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მათ შორის, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. ცვლილებები არქეოლოგიის მიმართულებასაც შეეხო. შეიქმნა ახალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

„საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს არქეოლოგიური დისციპლინების კურსის გავლას, რის შედეგადაც სტუდენტებს შეუძლიათ პირველი კურსის მეორე სემესტრიდანვე გაიარონ სპეციალური საგნები და, რაც ყველაზე სასიხარულოა, მათ საშუალება ექვსედათ პირველი კურსის დასრულებისთანავე მიიღონ ექსპედიციებში მონაწილეობა“, — აღნიშნა ზვიად კვიციანმა.

მისი ინფორმაციით, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან დაიდო მემორანდუმი, რის შედეგადაც ყველა მოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციაში ჩართულები არიან ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის 200-მდე სტუდენტი სხვადასხვა ექსპედიციაში მონაწილეობდა. ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიურ მიმართულებაზე ტრადიციად დამკვიდრდა საკვირაო ექსპედიციები. 2006—2007 წლებში სტუდენტები აწყურის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ, რომელსაც არქეოლოგიის მიმართულების პროფესორი ვახტანგ ლიჩელი ხელმძღვანელობდა.

სტუდენტების ექსპედიციებში მონაწილეობას ხელს უწყობს, ასევე, საპატრიარქო და უკლტურის, ძველთა დაცვის და სპორტის სამინისტროს ფონდი „ტაძარი“, მათ ძველების მცენარეული საფარიდან განმედი გარდა ე.წ. საველე პრაქტიკა გაიარეს, შეისწავლეს ძველის აზომა, ჩახატვა, ფოტოფიქსაცია და დღიურებზე მუშაობა. ექსპედიციების შედეგები ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც მომავალი არქეოლოგიებისთვის, ისე მეცნიერებისთვის. დეკემბერში უნივერსიტეტში გამართულ სამდღიან საანგარიშო სხდომაზე საველე ანგარიშები სტუდენტებმა პირველად წარმოადგინეს. მოგწყო მათ მიერ მოპოვებული არტეფაქტების ფოტოგამოფენა. ექსპედიციებს კოორდინირებას უწევდნენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორები: ზვიად კვიციანი, გურამ გრიგოლია, ვახტანგ ლიჩელი. მასალების შეჯამებამ ცხადყო, რომ ექსპედიციების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა.



არჩევანი უნივერსიტეტის ავტონომიურობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს

14 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა და მათთან დიალოგი გამართა. უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ დამსწრე საზოგადოებას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, როგორც თსუ-ის კურსდამთავრებული, ყოფილი კოლეგა და წარმატებული მეცნიერი, წარუდგინა. „ჩემთვის უნივერსიტეტში მოსვლა ყოველთვის დიდ ემოციებთან არის დაკავშირებული, რადგან ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე თქვენთან ერთად, თქვენს გვერდით და ბევრი თქვენგანის ხელმძღვანელობით, როგორც სტუდენტმა და როგორც პედაგოგმა.“

კარგად ვიცი, რომ უნივერსიტეტს ყურადღება სჭირდება, რადგან ბოლო პერიოდში მას პრობლემები არ აკლდა, მაგრამ ეს, გარკვეულწილად, გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელი სირთულეებია. მადლობელი ვარ, რომ ღირსეულად გადალახეთ ყველა სიძნელე. ვეცდებით, რომ უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება იგროვოს ხელისუფლების მხრიდან, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს პრობლემებზე გულწრფელი დიალოგი შესთავაზა.

მაია ტორაძე

მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:

— ქალბატონო ნინო, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს სრულ ავტონომიას ფლობს და აქვს თუ არა უფლება, რომ იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი?

ნინო ბურჯანაძე:

— რა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ავტონომიური ერთეული. როდესაც ჩვენ კანონს ვიღებდით, ბუნებრივია, ვითვალისწინებდით უნივერსიტეტების ავტონომიურობის საერთაშორისო პრაქტიკას. მე უნივერსიტეტის ავტონომიურობის მომხრე ვარ და მიმაჩნია, რომ იგი ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეძლებს პრობლემების მოგვარებას, მაგრამ თქვენი შეკითხვა მაფიქრებინებს, რომ ამასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები გაქვთ.

სამწუხაროდ, არ ვიცი, ამ წუთში რა განუხებთ, რომ პასუხი მოგახსენოთ, მაგრამ გპირდებით, ბატონ რექტორთან ერთად ვისაუბრებთ და გავარკვევთ, რა არის თქვენი ნუხილის საგანი, როგორ და რაში ერევა ესა თუ ის სტრუქტურა ან უწყება, რომელიც არ უნდა ერეოდეს უნივერსიტეტის ავტონომიურობაში. თუ ზედმეტ ჩარევას აქვს ადგილი, ამაზე, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ და, საბოლოოდ, მივიღოთ შედეგი, რომელიც უნივერსიტეტსა

და სასწავლო პროცესს სასიკეთოდ წაადგება.

ჯუმბარ ჭუმბურიძე, პროფესორი:

— რაკი საშუალება გვეძლევა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს შევხვდეთ, მინდა დავუბრუნდე იმ საკითხს, რომელიც წამოჭრა ქალბატონმა მარიამმა, ეს არის უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი.

მინდა გავიხსენო, ცნობილი გერმანელი მოაზროვნის კარლ იასპერსის წიგნი „უნივერსიტეტის იდეა“, სადაც ჩამოყალიბებულია დებულებები, რომელთაც დასავლეთის საუნივერსიტეტო ცხოვრება ემყარება. ამ დებულებების მიხედვით, მიუხედავად დაფინანსების წყაროებისა, უნივერსიტეტი პრინციპულად უნდა ინარჩუნებდეს ავტონომიას. ეს თვალსაზრისი, რამდენადაც შესაძლებლობა მქონდა გავცნობოდი ევროპის უნივერსიტეტების საქმიანობას, დღესაც მტკიცედ არის დაცული.

სუბორდინაცია, რომელიც განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის არსებობდა, მაინც და მაინც, ხელსაყრელი არ იყო. ამას ყველა ვგრძობდით და თუ დადგება უნივერსიტეტისთვის ავტონომიის დაბრუნების საკითხი, სასწავლო და კვლევითი პროცესი უკეთ წარიმართება.

აქვე მინდა შევეხო უნივერსიტეტის მოწყობის თემასაც. ფაკულტეტების გაერთიანება, კათედრების გაუქმება და სხვა ღონისძიებები, რაც გერმანულ მოდელს ემყარებოდა, ვფიქრობ, ხელსაყრელი არ აღ-

მოჩნდა. ჩემი აზრით, ბოლონის პროცესთან შეერთება ისე გაიგეს, თითქოს ჩვენ უნდა გავკეთოთ ალტერნატივა ყველაფერი, რასაც ბოლონის წესდება ითვალისწინებდა, რაც სწორი ნამდვილად არ გახლავთ.

უნივერსიტეტში ამჟამად არსებობს 6 ფაკულტეტი მაშინ, როცა თავად ბოლონის უნივერსიტეტში 14 თუ 15 ფაკულტეტია. ამიტომ არ იყო სავალდებულო ფაკულტეტების გაერთიანება. დღეს ყველა ვხედავთ, რომ ამან ხელი არ შეუწყო სასწავლო პროცესის და სამეცნიერო მუშაობის წინსვლას. რამდენადაც ვიცი, ბატონი გაი მოწადინებულია, რომ ფაკულტეტების რიცხვი გაიზარდოს და, ამ მხრივ, ვითარება შეიცვალოს. მე ვთხოვ ქალბატონ ნინოს, მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტის წამოწყებული ღონისძიებებს.

არ არის დასაძალი, რომ დღევანდელი სტრუქტურა, სამეცნიერო დარგებისა და მიმართულებების შემცირება საზიანოა უნივერსიტეტისთვის. მაგალითად: ფილოლოგიის ფაკულტეტზე ძალიან ვრცლად იკითხებოდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია. დიდი ხანია ეს საგანი ამოღებულია პროგრამიდან.

ასევე არ შეიძლება ჰუმანიტარული დარგის სტუდენტმა არ შეისწავლოს ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელიც უნივერსიტეტში აღარ იკითხება. ეს უნდა გასწორდეს. როგორც ფაკულტეტის უზუცესი წევრი, მოვიხიზო, რომ რექტორატს მიეცეს ასეთი რეფორმების გატარების საშუალება.



ნინო ბურჯანაძე:

— თქვენ ძალიან საჭირობო-ტო საკითხი დასვით. ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტი განათლების და მეცნიერების სამინისტროს ყველა გადაწყვეტილებას არ უნდა უთანხმებდეს. დიახ, კოორდინირება საჭიროა არა მარტო სამინისტროსთან, არამედ სხვა უნივერსიტეტებთანაც, მაგრამ პირდაპირი დაქვემდებარებისას, ბუნებრივია, არანაირ ავტონომიაზე ლაპარაკი არ შეიძლება. არჩევანი ნამდვილად უნივერსიტეტის ავტონომიურობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს.

გეთანხმებით, რომ არც ფაკულტეტის, არც კადრების და არც საათების შემცირება თვითმიზანი არსად არ შეიძლება იყოს, არც უნივერსიტეტში და არც ნებისმიერ სხვა უწყებაში. შემცირება უნდა ხდებოდეს გონივრულად ისე, რომ დაწესებულების ძირითადი პროცესი არ დაზარალდეს.

ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის შემცირება. ბატონ ლევან ალექსიძესთან არაერთხელ მისაუბრია და, როგორც ამ ფაკულტეტის აღზრდილი და თანამშრომელი, ნამდვილად აქტიურად ვცდი-

ლობდი დახმარებას, რადგან მიმაჩნდა, რომ იმ სკოლის დაკარგვა, რაც თსუ-ის თუნდაც ამ სფეროში აქვს, არ იქნებოდა სწორი. ვეცდები, ბატონ გიორგი ხუბუასთან ერთად ეს პრობლემებიც გავაანალიზო.

სამწუხაროდ, ხარვეზების გარეშე საქმის გაკეთება არ გამოდის, მით უმეტეს, როცა ერთბაშად ბევრი და მტკივნეული საქმეა გასაკეთებელი. იმ პროცესებში, რაც უნივერსიტეტმა გადაიტანა, რაღაც სწორი იყო, რაღაც — ხარვეზებით გაკეთდა, მაგრამ, დღეს ძალიან ბევრი რამ, თქვენი მხარდაჭერით და აქტიური ძალისხმევით, შეცვლილია.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ერთმანეთთან კოორდინირებული მუშაობით, დარწმუნებული ვარ, ყველა შეცდომის გამოსწორებას შევძლებთ.

შეხვედრაზე დასმული კითხვები შევხო უნივერსიტეტისთვის პრობლემურ საკითხებს, რომლის მოგვარებაშიც სამეცნიერო საზოგადოებამ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს დახმარება სთხოვა.

ლექცია

პოლიტიკური კულტურა — ახალი გამონავევა მსოფლიოსთვის

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის იგორ გაონის ლექცია თსუ-ში



უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პოლიტოლოგები, ფილოსოფოსები და კულტუროლოგები აქტიურად ალაპარაკდნენ „პოლიტიკურ კულტურაზე“. მართალია, ეს შედარებით ახალი თეორიაა, თუმცა, მის ძირითად კომპონენტებს ჯერ კიდევ ბიბლიაში, კონფუციუსთან, არისტოტელესთან, მოგვიანებით კი მაკიაველთან, ჰერდერთან და მონტესკიესთან ვხვდებით. „ადაამიანზე მრავალი რამ ახდენს ზეგავლენას: კლიმატი, რელიგია, კანონები, სახელმწიფოს მართვის პრინციპები, წარსულის მაგალითები, ადათ-წესები, შეხედულებები. ყოველივე ეს ერთად აღებული კი ერის ერთიან სულს ქმნის“, — ამტკიცებდა მაკიაველი. თანამედროვე განსაზღვრებით პოლიტიკური კულტურა ერთგვარი ქცევის ნორმაა, რომელიც თითოეული წაცის ორგანიზმში დებს და პოლიტიკური ქცევის სპეციფიკას განაპირობებს.

გაკა ლდომონი

სამეცნიერო კონცეფციის სახით პოლიტიკური კულტურა მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც 1960 წელს გაბრიელ ალმონდმა თავის ნაშრომებში პირველად ახსენა ეს ტერმინი და ამით სათავე დაუდო გამოკვლევების ახალ მიმართულებებს. დღეს მრავალი თანამედროვე მეცნიერი საკუთარ დროს, ნიჭსა და ენერჯიას პოლიტიკური კულტურის კონ-

ცეფციის განვითარებას ახმარს. ცდილობს მოახდინოს ანალიზი და ახსნას მისი ძირითადი არსი.

რატომ გაჩნდა ასეთი დიდი ინტერესი ამ ახალი სოციოლოგიური დისციპლინის მიმართ? როგორც პრაქტიკამ აჩვენა, პოლიტიკური კულტურის გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფო რეფორმებისა თუ გარდაქმნების წარმატებული განხორციელება, ხოლო ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც საკუთარი

„ერის მატრიცის“ იგნორირებას ახდენს, არ უნდა ჰქონდეს საზოგადოების მხარდაჭერის იმედი.

„პოლიტიკური კულტურის თემა გამორჩეულად აქტუალურია საქართველოში დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის იგორ გაონის ლექციაზე (სახელწოდებით „პოლიტიკური კულტურა“), რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 20 დეკემბერს გაიმართა.

როგორც იგორ გაონი აღნიშნავს, პოლიტიკური კულტურის დონე ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში გაცილებით მაღალია. ხოლო გარდაქმნის პროცესში მყოფ სახელმწიფოებში აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა. ევროპის საბჭოს წარმომადგენლების მიზანს, სწორედ გარდაქმნის პერიოდში მყოფი ქვეყნების დახმარება წარმოადგენს.

„პოლიტიკური კულტურა მთელი მსოფლიოსთვის ახალი გამოწვევაა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით ვინც მასზე საუბარს საქართველოშიც. პოლიტიკური კულტურა განსაზღვრავს თუ როგორი ურთიერთქმედება აქვს ერთმანეთთან მთავრობას, მოსახლეობას და პოლიტიკურ პარტიებს. ერთი შეხედვით თითქოს მარტივ მცნებასთან გვაქვს საქმე, თუმცა,

როდესაც ამ სამი მხარის ურთიერთობის ვეხებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პოლიტიკური კულტურა მხოლოდ პოლიტიკურ ურთიერთობებს არ გულისხმობს და უპირველეს ყოვლისა ქვეყნის კულტურას ასახავს. თითოეულ ერს საკუთარი, აბსოლუტურად განსხვავებული ისტორია, მენტალიტეტი, ცხოვრებისეული ღირებულებები, კულტურა და მართვის სპეციფიკა ახასიათებს. რაც შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი იყოს ერთი ქვეყნისთვის, შესაძლოა, აბსოლუტურად არაფრისმთქმელი გახლდეთ მეორესთვის. ამრიგად, სამკუთხედის - „მთავრობა, მოსახლეობა, პოლიტიკურ პარტიები“ - ელემენტები იმდენად თავისებურია, რომ თითოეულ ქვეყანას ინდივიდუალური მიდგომა და შესწავლა სჭირდება“, — განაცხადა იგორ გაონმა.

როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკურ კულტურაზე, მნიშვნელოვანია, გავანალიზოთ — თუ როგორ ეპყრობა მთავრობა ხალხს. ამ მხრივ საყურადღებო გახლდათ სლოვენიაში მიმდინარე პროცესების განხილვა: სლოვენია სამაგალითო ქვეყანა გახლდათ ბატონი გაონისთვის - 1991 წელს სლოვენიაში, ახალი პოლიტიკური ლანდშაფტის შექმნის პროცესში მოსულ მთავრობა ხალხმა აირჩია. მათ გადაწყვიტეს, განევიტარებინათ ინდუსტრია. ამ მიზნით პრივატიზაცია კი არ დაიწყეს, არამედ საშუალება მისცეს თი-

თოეულ მუშას, სამსახური შეენარჩუნებინა. არც მინის პრივატიზაცია დაუწყიათ, ამით შეინარჩუნეს გლეხები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებაც აღარ შეწყვეტილა. სლოვენიაში პრივატიზაცია დაიწყო მაშინ, როდესაც იგი ევროგაერთიანების რეალური კანდიდატი გახდა. ინვესტირებმა ქარხნების შესყიდვა რომ დაიწყეს, ქარხნებს რეალური ღირებულება ჰქონდათ, თითოეულ მუშას კი საკუთარი წილი. სხვა ქვეყნებში განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე: ელესტორი ქარხანას, როგორც იაფფასიან რკინას ისე ყიდულობს, ამით ორმაგ, ზოგჯერ სამმაგ მოგებასც იღებს, ასობით ადამიანს კი უშუამუშევარს ტოვებს.

„სლოვენის ტოტალური ღირსება ის გახლავთ, რომ ახერხებს ორიგინალურად შეუხამოს საკუთარი წესები ევროსაბჭოს მოთხოვნებს“, — განაცხადა იგორ გაონმა.

ამგვარად, პოლიტიკური კულტურა ასახავს ადამიანის შემეცნების კავშირს მის პოლიტიკურ ქცევასთან, მათ დამოკიდებულებას ხელისუფლებასთან, სახელმწიფოსთან და გარემომცველ სამყაროსთან. ხოლო რამდენად სწორი, შინაარსიანი და შედეგიანი იქნება ეს ურთიერთობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შევინარჩუნებთ ჩვენს თვითმყოფადობას, რამდენად კულტურულად წარვმართავთ დიალოგს ერთმანეთში.



საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავი თსუ-მაც აღნიშნა

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავი ქვეყნის მასშტაბით აღინიშნა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ თარიღისადმი მიძღვნილი რამდენიმე ღონისძიება გაიმართა.

შურთსია ბაროშვილი

26 დეკემბერს უნივერსიტეტის კულტურის ცენტრის ფოიეში, უნივერსიტეტის სამ-უზუფო სამსახურის ინიციატივით, პატრიარქის მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-გამოფენა გაიხსნა. მოენყო დოკუმენტური ფილმის — „ფიქრები წარსულსა და მომავალზე“ ჩვენება.

ლონისძიების ფარგლებში სტუდენტთა ფოტო-ნამუშევრების გამოფენა „საქართველოს კულტურის ძეგლები“ გაიმართა. დარბაზში, ასევე, წარმოდგენილი იყო ის ნივთები, რომელიც პატრიარქმა უნივერსიტეტს სხვადასხვა დროს შესწირა — ხატები, სადაფით მოოჭვილი ვარსკვლავი ქრისტეშობის გამოსახულებით, ხელნაწერი, რომელიც მაშინ გამოავლენა, როდესაც უნივერსიტეტის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიას საფუძველი ეყრებოდა.

უნივერსიტეტის სამუშეო სამსახურის უფროსი სპეციალისტის ირინა მირიჯანაშვილის ინიციატივით, ამ პროექტის ფარგლებში პროფესორ-მასწავლებლების და სტუ-

დენტთა სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“ გაიმართება, რომლის მასალები ცალკე კრებულად გამოიცემა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აღსაყდრებიდან ოცდამეათე წლისთავი აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, პროფესორებმა: კახაბერ ლორთქიფანიძემ, ქეთევან პავლიაშვილმა, ელისო კალანდარიშვილმა, გრიგერ ფარულავამ, დამანა მელიქიშვილმა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი ასტამაძემ მიულოცეს.

შეხვედრას საპატრიარქოს ქორეპისკოპოსი, ახალციხის, ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი მეფუფე თეოდორე, საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა ხელმძღვანელი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი მეფუფე გერასიმე და თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი გიორგი ზვიადაძე დაესწრნენ.

„მინდა გადმოგვცეთ ლოცვა-კურთხევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, თუმცა მის უწმიდესობას ძალიან უყვარს უნივერსიტეტი. პატრიარქი გრძობს ახალგაზრდების დიდ სიყვარულს და პატივისცემას. მან ეს სიყვარული ოცდაათწლიანი მოღვაწეობით დაიმსახურა. მაღლობა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც უროვნულ სულისკვეთებას მომავალ თაობას უწერდნენ“, — აღნიშნა მეფუფე თეოდორემ.

პროფესორმა დამანა მელიქიშვილმა წაითხა პატრიარქისადმი მიძღვნილი მისალმე-

ბა, რომელმაც საზოგადოება ემოციურად განაწყო:

„თქვენგან ხშირად გვსმენია: „ეს დრო მოიტანა“, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ დრო თვით პიროვნებას მოჰყავს, რადგან, როცა დგება ჟამი, უფალი გამოარჩევს და აღამაღლებს ერისგან თავის რჩეულს, რომელსაც ძალუძს ტვირთვა ერის ჯვრისა. თქვენ ხართ ის რჩეული, რომელსაც უფალმა მოჰმადლა ჩვენს მრავალგანჯულ ერს მისი ნათლისკენ და წმიდა ეკლესიისკენ მოსაბრუნებლად.

თქვენი უწმიდესობის ქადაგებაში მუდამ გამოსჭვივის სიბრძნე და სარწმუნოება და ერთი მეფალმუნისა: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელი მისნი“ (ფსალ. 126,1). ამ ჭეშმარიტებით მიძღვრავთ თქვენთვის მონდობილ ერს და როცა კი ღვთის მორჩილებას მიუჩვენებლს და მცირედ მორწმუნეს, ყური არ მიუგდია თქვენი დარიგებისთვის, მუდამ უწვენვია მარცხის სიმწარე.

ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, რომელსაც თქვენ „მზიანი ღამე“ უწოდებთ, (რადგან „ერთი მხრივ, წყვილი და მწუხარებაა, მეორე მხრივ კი — უფლის მადლი“, რომელსაც ნიადავ გრძნობთ), უმძიმეს საპატრიარქო ჯვარს ზიდავთ, ჯვარს ერისას და ეკლესიისას“.

პოფესორმა გრიგერ ფარულავამ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ქადაგებებიდან ამონარიდები გააცნო სტუდენტებს და აღნიშნა:

„ერის მამა ყოველდღე შეგვახსენებს, რომ ამ დიდ ძღვენს და სიყვარულს მოვლა-პატრონობა და აღზრდა უნდა. თუ მეტად არ გამ-



ოვიდეთ ხელი განათლების, მეცნიერების, ხელოვნების და, საერთოდ, კულტურის განვითარებისთვის, გლობალისტური უსახურობის ჭაობში გავითქვიფებით... პატრიარქი ყველაზე დიდი ძალის პატრონია და ეს ძალა სიყვარულია“.

ახალი წელი და ქართული კულტურა



პირველი გვირგვინი

ფეხის შემოდგმა, კვალის დატოვება

ახალ წელს მნიშვნელოვანი გახლდათ გარედან შემოსული მეკვლის პირველი ნაბიჯი, რაც ყოველივე პირველქმნილთან, საწყისთან იყო გაიგივებული. მაგალითად: სამყაროს ცენტრთან, ხელახლა დაბადებასთან, მზის ამოსვლასთან, გაზაფხულთან. მეკვლეობის რიტუალი გაიგივებული იყო აზრთან, რომ „თუ ჩვენ ერთხელ შევძელით უსასრულოდ, სიბნელიდან და არსიდან დაბადება, ჩვენ ამას მეორედაც შევძლებთ“.

„ფეხი გაიზარება, როგორც ემოცია, სიჩქარე, ენერჯია, გამარჯვება - რაც მთავარია, ღვთაების, ადამიანის სულის სადგომი, რომელიც ნატურალურად გადის. ტერფი მითოლოგიურ გაზარებაში უშუალო კავშირშია დედამიწასთან“, - ვკითხულობთ ნინო ლამაშიძის ნიგნში „ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში“.

მეკვლე, როგორც წესი, ახალი წლის მოზრუნვას ყველას ულოცავდა, ჩიჩილასკ გარკვეულ ადგილზე დებდა, ცეცხლს ჯოხით უჩიჩილებდა და გაცეცხილ ნაპერწკალზე ოჯახს იმდენივე საქონელსა და ოჯახის წევრს უსურვებდა, რამდენი ნაპერწკალიც ცვიოდა. საგულისხმოა, რომ ამგვარი წესი მთელ საქართველოში დასტურდება.

ჩიჩილასკი და ბომბლა

დასავლეთ ქართული საახალწლო რიტუალის ძირითად ელემენტს თხილის ტოტისგან გამოთლილი ხე - ჩიჩილასკი წარმოადგენს, რომელიც ნაყოფიერების მომნიჭებელ ხედ იყო გააზრებული.

როგორც თვა ქამუშაძე განმარტავს, ხე აკავშირებს სამ სენს: ქვესკნელს, შუასკნელსა და ზესკნელს. მისი ფესვები ქვესკნელის კუთვნილებას, ტანი შუასკნელის ანუ დედამიწის, ტოტები კი — ზეცის. ხე ერთგვარი კიბეა, დედამიწიდან ზეცისკენ მიმავალი გზაა. ვეგეტაციის უნარი კი მას მუდმივი განახლების შესაძლებლობას ანიჭებს და უკვდავებასთან აკავშირებს.

სვანურ ჩიჩილასკს „ბომბლა“, ჩიჩილასკის ბულულს კი „ბასილას წვერი“ ერქვა. მასზე, ისევე როგორც ჩიჩილასკზე, რიტუალურ კვერბსა და ადამიანის კეთილდღეობისთვის განკუთვნილ ნივთებს კიდებდნენ: სამკაულს, ფულს, აბრეშუმის ნაჭრებს, ხილს.

გურულ ჩიჩილასკს „გვერგვს“ - მწვანე მცენარისგან შეკრულ გვერგვის ჩამოაცმევდნენ ხოლმე. „გვერგვს“ შუაში ჯვარი ჰქონდა დამ-



აგრებული, ბოლოებზე კი ვაშლები და ბრინჯელები ეკიდა. ზოგჯერ ჩიჩილასკი თხილის ტოტისგან შეკრული რგოლით, „კალპით“ ირთებოდა, რომელსაც კურკანტულის მწვანე ტოტებით ამკობდნენ.

ფაფის დულების წესი

შობისწინა ღამეს ქართლში „ქრისტეს კოტორბა“ ჰქვია, ხევი „ყობოლობა“, გუდამაყარში „თხილობის ღამე“, სამეგრელოში „ქირსე საღამო“, გურიში „მრავალწლობა“, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში კი „ჭანტილობა“. ამ საღამოს ქართველი ქრისტიანები 3 ან 9 სხვადასხვა დასახელების მარცვლისგან ფაფას ამზადებდნენ. დასავლეთში ფაფას ნიგვზითა და თაფლით კმაზავდნენ. რაჭაში ოჯახის უფროსი ქვებს ჩასცივებდა და ფაფის შედგენულ ზედაპირს მოსავლის სიუხვისთვის გარეთ ხეებს წაუსვამდა ხოლმე.

ოჯახის სამშვიდობოდ მომირთმევი

არანაკლებ საინტერესო და მრავალფეროვანი რიტუალებით გამოირჩეოდა შობის დღესასწაული: რაჭაში შობის გათენებამდე ორ ყვინჩილას კლავდნენ: „საოჯახოს“ და „საანგელოზოს“. „საანგელოზოს“ დიასახლისი კაცებს, ბავშვებს და ხარებს შემოავლებდა თავზე და იტყოდა: „მთავარანგელოზების ბარზე მომირთმევი ეს ყვინჩილა, თქვენ სამშვიდობოდ“. „საოჯახოს“ კი ცეცხლსა და მასთან ახლოს მდგარ სასაფურეს შემოავლებდნენ და იტყოდნენ: „ოჯახის სამშვიდობოდ მომირთმევი

ეს ქათამი“. „საანგელოზო“ ყვინჩილას მხოლოდ მამაკაცები და ბიჭები მიირთმევდნენ - „საოჯახოს“ კი ყველა. ამ რიტუალების შემდეგ რაჭველები მამას კლავდნენ.

სვანეთში, დილით ადრე მამაკაცი დაკლული მამლის ძვლებს ცეცხლში ყრდა და ამბობდა: „ასე დაინვას ჩვენი ოჯახის მავნე ავადმყოფობა, ასე დაინვას, როგორც ეს დაინვა!“

„გაძლევე რათა შენ მე მომიცე“

დღესდღეობით სადღესასწაულო რიტუალებმა ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადა, სხვადასხვა ქვეყნის ადამ-ნებს ერთმანეთს შეერწყა. საშობაო რიტუალებში განსაკუთრებული ადგილი დასაჩუქრების წესმა დაიჭირა. საახალწლო თუ საშობაო საჩუქრები ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგალითად, პოლანდიელი უსათუოდ მოგართმევთ ყვავილს, ბელგიელი კი - შოკოლადს.

საჩუქრის ჩუქების ტრადიცია ევროპელებმა უძველესი რომაელებისგან გადაიღეს. დეკემბრის მეორე ნახევარში რომაელები თავ-შეუკავებლად ღრობდნენ: მდიდრები და დიდგვაროვნები მონებსა და მსახურებს სუფრასზე ისევამდნენ, ემსახურებოდნენ და საჩუქრებს (ცვილისგან დამზადებულ სანთლებსა და ფიგურებს) ჩუქნიდნენ. ამ დღესასწაულის დევიზი გახლდათ: „გაძლევე, რათა შენ მე მომიცე“ ან „აიღე და მომიცე“.

ევროპელები ზამთრის დღესასწაულებზე ერთმანეთს ვაშლებს, ღვინოს, კაკალს, მწვანე ტოტებსა და თაფლს მიართმევდნენ ხოლმე.



ვაშლი ოდითგანვე ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა. ნუგას, დამაქრულ ხილს და ხალვას ჩუქნიდნენ ერთმანეთს ებრაელები. თხილის გარეშე კი ახალი წელი წებისმეორე ქვეყანაში წარმოუდგენელი იყო - კორეაში დღემდე შემორჩა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ძველი წლის ბოლო დღეს ერთმანეთს ნიგოზსა და ნაბლს ჩუქნიან.

სტუმრის გამასპინძლება-დასაჩუქრებას საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებულ ალილოს წესთან მიყვარება. შობის ღამეს ტყავის ჯუბებში გამოწყობილი ასაკოვანი მამაკაცები, ხელში კომპლებით კარდაკარ დადიოდნენ, მღეროდნენ და მოსახლეობაში სანოვავს აგროვებდნენ. ძირითადად კვერცხს, ერბოს, ყველს, პურს, შემდეგ ფულს და ყოველივეს, რაც ემეტებოდათ. სამეგრელოში ალილოს მონანილებები რომ არ ეცნოთ, ნიღბებს იკეთებდნენ.

„მწყემსის ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცების სიარული, სიმღერის ტექსტი და თავად მსვლელობა გავგებრებინებს, რომ მთელი ეს კოსტუმირებული პროცესი სახარებისეულ მეცხვარეს განასახიერებდა, რომელმაც ყველა უნდა ამცნოს ქრისტეს შობის ამბავი“ (ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში“).

ქართულ საშობაო საჩუქრებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კვერცხი, რომლისგანაც ახალი სიცოცხლე ჩნდება. საშობაო რიტუალებში აღსანიშნავია, ასევე, თუშეთის მაგალითი, როდესაც ალილოს მონანილებები წინა დღეებში მოკლულ ყვავს მიაბამდნენ ჯოხზე, ჩამოვლისას ყველა ოჯახის სარკმელში შეახედებდნენ და თან „ალილოს“ მღეროდნენ. თუშური „ალილო“ ერთადერთი შემთხვევაა, სადაც ყვავი და „ალილოს კოტორი“ ანუ ხორბლის ფეხილის რიტუალური კვერი ფიგურირებს. ყვავი მსოფლიო მითოლოგიაში კულტურული გმირის სიმბოლოა და სიძაის გამო ბნელეთთან არის გაიგივებული, თუმცა, ქართული წყაროების მიხედვით იგი ხორბალს და, მამასადავამ, სიუხვეს უკავშირდება.

ევროპაში საინტერესო ტრადიცია იყო წინევიანი რტუების ჩუქება. ადამიანებს სჯეროდათ, რომ წინევიანი მცენარეები მათ სილამაზეს, ძალასა და ნაყოფიერებას გადასცემდნენ. ეს ტრადიცია საქართველოშიც გვხვდება: საშობაოდ თუ საახალწლოდ ტყვიან მოტანილ შუმას აუცილებლად დაანყობდნენ ხოლმე მარადმწვანე მცენარეების ტოტებს.

წინევიანი რტუების წითელ ლენტებს ახვევდნენ, ვინაიდან ნივთიერი ფერი სიცოცხლის, განახლების, ბნელზე სიმართლის გამარჯვების სიმბოლო იყო. ევროპაში სახლების ლენტებ-შემოხვეული წინევიანი ტოტებით მორთვის ტრადიცია მანამ შემორჩა, სანამ XVI საუკუნეში გერმანელებმა ნაძვის ხეების მორთვა დაიწყეს. ნაძვის ხეებისა, რომლის გარეშე ნებისმიერ ოჯახში ახალი წლის დადგომა წარმოუდგენელია.



რატომ იკლო ფიზიკის მიმართულებით სწავლის გაბრძანების მსურველთა რაოდენობა

შეხვედრა ფიზიკოსებთან

18 დეკემბერს თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო მიმართულებაზე არსებული პრობლემების განხილვა და მისი გადაჭრის გზების ძიება.

გიორგი ხუბუა დამსწრე საზოგადოებას სასწავლო პროცესში არსებულ წინააღმდეგობებზე ესაუბრა. კერძოდ, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი სასწავლო პროგრამების სრულყოფა.

დღევანდელი მონაცემებით, ბაკალავრიატის IV კურსზე 134 სტუდენტი სწავლობს, III კურსზე — 100; II კურსზე — 80, ხოლო პირველ კურსზე ამ მიმართულებით სწავლის სურვილს, ჯერჯერობით, მხოლოდ 10 სტუდენტი გამოთქვამს.

მანია ტორაძე

„მომავალი წლიდან საქართველოს ადგილობრივი აქვს ვალდებულება, რომ მთლიანად შეუერთდეს სასწავლო პროგრამების ევროპულ სტანდარტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს არა უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორის შესაძლებლობებზე — რისი ნაკითხვა შეუძლია ან ეხალისება, არამედ მის კომპეტენციასზე“, — განაცხადა ბატონმა გიორგი ხუბუამ.

შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ მომავალი წლიდან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოყოფილია საკმარისი თანხა იმისთვის, რომ, სწორი მენეჯმენტის პირობებში, მოხდეს სასწავლო პროცესის განვითარება. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით, აკადემიური პერსონალის დატვირთვა არასწორადაა განაწილებული. კერძოდ, უნივერსიტეტის არჩეული აკადემიური პერსონალი კითხულობს ბაკალავრიატის საგნების 36%-ს, არჩევითი საგნების 23%-ს, ხოლო მაგისტრატურის საგნების 26 პროცენტს. პარალელურად, მონვეული პერსონალი კითხულობს ბაკალავრიატის საგნების 65%-ს, არჩევითი საგნების 78%-ს, ხოლო მაგისტრატურის საგნების 74 პროცენტს. რექტორის თქმით, ეს იმის მანიშნებელია, რომ ან პროგრამა ცუდად შედგენილი, ან აკადემიური პერსონალი არასწორად შერჩეული.

„აკადემიური პერსონალის დატვირთვა ბაკალავრიატში არ პასუხობს მინიმალურ მოთხოვნებს. მართალია, დატვირთვა იზრდება მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში, მაგრამ თუ ბაკალავრიატში არ ვასწავლეთ სათანადოდ და იქ არ დავეხმარეთ სტუდენტებს პროფესიული ორიენტაციის თვალსაზრისით, მივიღებთ ისეთ კატასტროფულ შედეგს, რაც ნელს მივიღეთ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მიმართულებით ყველა ფაკულტეტზე, მათ შორის, ფიზიკაშიც“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

შეხვედრაზე დაისვა საკითხი, რომ აუცილებელია წახალისდეს აკადემიური პერსონალის აქტიურობა, რაც გადამწყვეტი იქნება სახელფასო დანამატების გაცემის დროს. „ჩვენ უნდა განვსაზღვროთ სტრატეგია — როგორ უნდა შეიცვალოს მისაღები გამოცდების სისტემა, რომ წავახალისოთ სტუდენტები და გაგზავროთ მათი დაინტერესება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი, მაგრამ ვინც ნაკითხავს ფიზიკის მიმართულების რექლამას, რომელიც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა განთავსებული, დარწმუნდება, რომ ეს უფრო ანტირექლამაა, ვიდრე სტუდენტთა მაქსიმალურად შეტი რაოდენობის მოსაზიდი რეკლამა. არ შეიძლება კაცს გული შეგტკიოდეს სპეციალობაზე და ასეთ რეკლამას უკეთებდე მას“, — განაცხადა რექტორმა.

აქვე დაისვა ფაკულტეტის ლაბორანტების სასწავლო პროცესში ჩაბმის პრობლემა. რექტორის აზრით, ბევრი საგანი, რომელსაც მონვეული პედაგოგები კითხულობენ, შეუძლიათ ნაკითხონ ლაბორატორიის თანამშრომლებმა, რომელთა შორის ბევრი მეცნიერებათა დოქტორია. ეს დაზოგავს სახელფასო თანხებს და სასიკეთოდ წაადგება უნივერსიტეტის სასწავლო პრობლემების გაუმჯობესების საქმეს.

რექტორის წინადადებას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ფიზიკოსთა ნაწილი დაეთანხმა ამ მოსაზრებას, ნაწილი კი უკმაყოფილება გამოხატა. ფიზიკის მიმართულების ლაბორატორიის გამგემ დავით კაკულიამ განაცხადა, რომ ლაბორანტები საკმარის დატვირთვით მუშაობენ, მათი ხელფასი ამ შრომის ეკვივალენტურიც არ არის და თუ ამას დაემატება ლექციების კითხვა, უსამართლობა იქნება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ-

ლი აკადემიის ნევრ-კორექსონდენტმა ანზორ ხელაშვილმა ფიზიკოსებს შესთავაზა, ლაბორანტებმა გამოიყენონ მაღალი კურსის სტუდენტები და მაგისტრანტები, რაც, მისი აზრით, გაზრდის პროფესიონალიზმს და მიიზიდავს დაინტერესებულ ახალგაზრდებს. მანვე სთხოვა უნივერსიტეტის რექტორს, ფაკულტეტზე შეიქმნას თეორიული კვლევების ცენტრი, რომელიც თავის თავზე აიღებს მთელ ფაკულტეტზე თეორიული ფიზიკის და ზოგადი ფიზიკის წამყვანი საკითხების სწავლებას.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ გადასახდია ლაბორატორიების დაყოფის პრინციპი, რადგან ზოგიერთი ლაბორატორია ხელოვნურად არის გაერთიანებული მაშინ, როცა ცალკეულ ერთეულზე ფუნქციონირებს ზოგადი ფიზიკის ისეთი ორგანული მიმართულებები, როგორცაა ატომის ფიზიკა და ბირთვული ფიზიკა. რაც შეეხება თეორიული ფიზიკის ცენტრის გახსნას, ბატონმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, რომ ამ მიმართულებით ფაკულტეტის შიგნით მთელი ინსტიტუტი შეიძლება დაფუნდეს და არ არის აუცილებელი, აქ დაკავებული პერსონალიდან ყველა უნივერსიტეტის თანამშრომელი იყოს. „ჩვენ გვაქვს პროექტები, რომელიც ითვალისწინებს კონდენსირებულ ფიზიკის და ელექტრონული ინჟინერიის ინსტიტუტების გახსნასაც. ამ საკითხს ადმინისტრაციული აქტით ვერ დავარეგულირებთ, მაგრამ თუ საბჭო ჩათვლის საჭიროდ, ნუ გადავდებთ. ინსტიტუტის შექმნის დებულება ცნობილია და თუ მისაღები წინადადებაა, მხარი დავუჭიროთ“, — აღნიშნა მან.

ფიზიკოსებთან შეხვედრაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი, რომ კვლევა, სწავლება და უწყვეტი განათლება არის სამი ძირითადი დერძი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს უნივერსიტეტი. ამ კუთხით გასაკუთრებული მოთხოვნებია სწორედ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიმართ. ამიტომ ამ ფაკულტეტზე უნდა მუშაობდეს სამეცნიერო კვლევებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მას. ის ფაქტი, რომ გრანტების 60 პროცენტი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან გავიდა, მონიშნავს ამ ფაკულტეტის დიდ პოტენციალს, რასაც ხელის შეწყობა და სწორი მენეჯმენტი სჭირდება. რექტორის თქმით, სამეცნიერო კვლევების კოორდინირება გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსურ ენაზე ლაპარაკს, არამედ ინტერდისციპლინალურ მიდგომას, რადგან დღეს შეუძლებელია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდეს ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია-გეოლოგია და სხვა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. „ჩვენ კვლევის სამსახური გვჭირდება იმისთვის, რომ მიმართულებით მიეცეს სამეცნიერო კვლევებს. გვაქვს უზარმაზარი პოტენციალი და არ ვიცით, როგორ გადავიყვანოთ ის ფინანსური კაპიტალის ენაზე, მაგრამ ამას პროფესორს ვერ მოვთხოვთ. მინდა, გყავდეთ ისეთი კარგი მენეჯერი, ვინც ხელს შეუწყობს აკადემიურ პერსონალს და დაეხმარება მათ მეცნიერების კომერციალიზაციის საქმეში“, — აღნიშნა რექტორმა.

დეპარტამენტის ინსტიტუტები ჩაანაცვლებენ

ბატონი გიორგი ხუბუა შეეხო კიდევ ერთ საინტერესო საკითხს, რომელიც უნივერსიტეტში დეპარტამენტების დაშლას შეეხებოდა. „დეპარტამენტები ჩანაცვლდება ინსტიტუტებით. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩამოყალიბდა ერთგვარი ნეოფეოდალური სისტემა. დეპარტამენტების ხელმძღ-


ვანელებმა წარმოიდგინეს, რომ მიმართულების მამამთავრები არიან, რაც დაუშვებელია. მიმართულების განვითარების პერსპექტივას ერთ კაცს ვერ ჩავაბარებთ, ეს უნდა გადაწყვიტოს თქვენ, პროფესორამ. თქვენ უნდა იფიქროთ პროგრამებზე, თქვენ უნდა განსაზღვროთ სწავლებისა და კვლევის პრიორიტეტები. დეკანატს ევალება მხოლოდ ის, რომ ფაკულტეტს ორგანიზება გაუწიოს და პიროვნების აქტიურობა გაითვალისწინოს“, — განაცხადა მან.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან კონტაქტების გააქტიურების აუცილებლობაც. ითქვა, რომ ასეთ ცენტრებსა და უნივერსიტეტს შორის დიდი ენთუზიაზმით ფორმდება მემორანდუმები, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს. ასეთი კონტაქტები საჭიროა მრავალფეროვანი სამაგისტრო პროგრამების შექმნისთვის. „ჩვენ უნდა ვინადიროთ სტუდენტზე პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებით. უნივერსიტეტი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ისეთ მიმართულებებს, რომელიც გადასარჩენია, მა-

რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ ამერიკული პროგრამა GR, უცხო ენაში ჩაიჭრნენ. დღეს ისინი ამერიკაში აგრძელებენ სწავლას.

შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ პირველკურსელთა დიდმა ნაწილმა ფიზიკა საერთოდ არ იცის, რადგან სკოლაში სათანადო ცოდნა არ მიუღია, ამიტომ სტუდენტთა მხოლოდ 10 პროცენტი მზად იმ საკითხების შესასწავლად, რომელიც უნივერსიტეტში ისწავლება. მონვეულმა პედაგოგმა ნათელა ჩაჩავამ ეს ფაქტორი დაასახელა იმის მიზეზად, რომ სტუდენტებს ფიზიკის მიმართულებით სწავლის გაგრძელება აღარ სურთ. მისი აზრით, მდგომარეობის გამოსასწორებლად სკოლის პროგრამის გამეორებისთვის გამოყოფილი 6 თვე ერთ წლამდე უნდა გაიზარდოს. ინიციატივას მხარი არ დაუჭირა ფაკულტეტის დეკანმა, რამაზ ბოჭორიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ უნივერსიტეტი სკოლად ვერ გადაიქცევა, ამიტომ ხარვეზები სხვა გზით უნდა გასწავლდეს.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო



გრამ ამავე დროს ვერ წავახალისებთ აკადემიური პერსონალის პასიურობას. სტუდენტს მოვიზიდავთ მაშინ, როცა შევთავაზებთ დასაქმებაზე ორიენტირებულ და ინტერდისციპლინალურ პროგრამებს, და ეს იქნება არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა ინსტიტუტების ბაკალავრიატის კურს-დამთავრებულებისთვისაც. სამაგისტრო პროგრამებით და მეცნიერების კომერციალიზაციით ფაკულტეტს შემოსავალი უნდა ჰქონდეს“, — განაცხადა ბატონმა გიორგი ხუბუამ.

სამაგისტრო პროგრამებისა და მაგისტრანტების პრობლემებზე ფიზიკის მიმართულების პროფესორებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს. პროფესორმა გია მარბეღლაძემ მაგისტრატურაში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად ორი წინადადება წამოაყენა. მისი აზრით, იმისთვის, რომ მაგისტრანტები გვეყვდეს, ან არ უნდა დავანესოთ 5 კაციანი კვოტა, ან უნდა ვასწავლოთ უფასოდ. მანვე აღნიშნა, რომ ფიზიკის მიმართულების მაგისტრატურაში კანდიდატურები სპეციალობაში მიღებული ნიშნით უნდა შეირჩეს და აღარ უნდა განმეორდეს ნლევიანდელი ფაქტი, როდესაც 4 მსურველიდან, სამი ნიჭიერი ახალგაზრდა,

მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკისა და ინფორმატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა თამარ ჯობაძემ თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს, გაუწიოს დახმარება ინსტიტუტს, რომელიც ჩართულია უდიდეს საერთაშორისო კოლაბორაციაში. „მაღალი დონის მეცნიერებს, რომლებიც ჩვენს ინსტიტუტში მუშაობენ, იქნებ ხელფასის პრობლემა მოუგვარდეთ და მათი ანაზღაურება და სამუშაო პირობები ოდნავ მაინც მოუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს“, — განაცხადა თამარ ჯობაძემ. მან აღნიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკის მიმართულების სტუდენტთათვის ინფორმატიკის სწავლების საკითხს, რადგან თანამედროვე ექსპერიმენტში ინფორმატიკის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ვერაფერს ვაკეთებენ.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ დასმული პრობლემები საყურადღებოდ მიიჩნია და განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მუშავდება სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება კვლევის, სწავლებისა და უწყვეტი განათლების ევროპულ სტანდარტებთან.



ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დღითი დღე იზრდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი ახალ წელს მრავალი სახელით ხვდება. მათ შორის მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსება, რომელიც უნივერსიტეტის პირველ კორპუსში განთავსდა. ამ ფაქტმა მრავალი სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი გაახარა. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა თქმით, საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი თსუ-ის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ხელშეწყობით, სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად, დღითი დღე იზრდება.

ახლად შექმნილ ბიბლიოთეკაში პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია, რომლის შესახებ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი მანია კვამბაძე გვესაუბრება:

შურთხია ბაროშვილი

ბიბლიოთეკის დაარსებით, მართლაც, საშური საქმე გაკეთდა. პირველ კორპუსში ეს ერთადერთი ბიბლიოთეკაა, სადაც თავი მოიყარა სხვადასხვა ფაკულტეტზე და სხვადასხვა კორპუსში გაბნეულმა წიგნებმა. ბიბლიოთეკით ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტების გარდა სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც სარგებლობენ. ჩვენი სამკითხველო დარბაზი დიდიდროს საღამომდე სავსეა სტუდენტებით, ამის გამო ახლახან 40 სკამი კიდევ დავამატეთ. ვცდილობთ, ყველანაირი პირობა შევუქმნათ მათ ნორმალური მუშაობისთვის.

რამდენი წიგნია ამჟამად ბიბლიოთეკაში?

წიგნების სრული აღრიცხვა ჯერ არ დამთავრებულია. საგარეუდოდ, ბიბლიოთეკაში ამჟამად დაახლოებით 15 000 წიგნია. მათი აღწერა დაწესებულია, მაგრამ მოგვიწევს დასავსება. ეს ძალიან შრომატევადი საქმეა. თუმცა, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერი ვაკეთებთ. შევცდებით, ეს პროცესი უახლოეს პერიოდში დამთავრდება. მიმდინარეობს აღრიცხვის, კლასიფიკაციისა და ელექტრონული ვერსიის შექმნის პროცესი. ასევე, დავიბრუნებთ

თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან იმ წიგნებს, რომლებიც ერთ დროს პირველ კორპუსში არსებული სამკითხველო დარბაზიდან გადაიტანეს. ეს, დაახლოებით, 1500 წიგნია, რომელიც კვლავ ჩვენს მფლობელობაში გადმოვა და საკმაოდ მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება. წიგნადი ფონდი მოიცავს სამივე პერიოდის (ძველი, ახალი და უახლესი) ლიტერატურულ კრიტიკას, თანამედროვე მწერლობას, მხატვრულ, ისტორიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურას, ენათმეცნიერებას, უცხოენოვან ლიტერატურას (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ ენებზე), აღმოსავლეთის ქვეყნების ლიტერატურას (არაბულ, სპარსულ, თურქულ და ებრაულ ენებზე), ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატის ძალისხმევით ბიბლიოთეკის დასაფინანსებლად გამოიყოფა გრანტი, რომლის საშუალებითაც ახალი წიგნები შევიძინებთ.

რა პრინციპით შეარჩიეთ ახალი წიგნები, თუ გაითვალისწინეთ სტუდენტთა მოთხოვნები?

რა თქმა უნდა, პირველ რიგში სტუდენტების ინტერესები გავ-

ითვალისწინებთ. გვაქვს ბევრი ახალი წიგნი, რომელიც მეცნიერების სხვადასხვა დარგს მოიცავს. სახელმძღვანელოები სილაბუსების შესაბამისად შევიძინეთ. ასევე მნიშვნელოვანი შენაძენია ლექსიკონები, კერძოდ, 2007 წელს გამოცემული ენციკლოპედიის „Britannica“ 30 ტომი.

როგორც ცნობილია, ამ ბიბლიოთეკას კიდევ ორი განყოფილება აქვს.

მართალია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკას კიდევ ორი განყოფილება აქვს: — კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით, რომელიც მერვე კორპუსშია განთავსებული და არმენოლოგიის მიმართულებით, რომელიც მეცხრე კორპუსში ფუნქციონირებს. იქ ჩვენი ორი თანამშრომელი მუშაობს: ქალბატონები ლია ლომთათიძე (არმენოლოგიის მიმართულება) და შუშანიკ ასათიანი (კლასიკური ფილოლოგიის მიმართულება).

ორივე განყოფილებას საკმაოდ კარგი ლიტერატურა მოეპოვება.

ფაფართობა, ალბათ, მაინც დაჭირდება, რადგან, როგორც თქვენ ბრძანებთ, წიგნადი ფონდი დღითი დღე იზრდება...

ვფიქრობთ, სამომავლოდ ფაკულტეტისთვის ყველა საჭირო წიგნი გვექნება. ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოვა კიდევ ერთი, ყოფილი გეოგრაფიის ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ოთახი, სადაც ქართული მეცნიერისა და მეცნიერების ვახტანგ ჯობაძის კერძო ბიბლიოთეკა განთავსდება. დაახლოებით 25000 უნიკალური წიგნი, რომელიც ამერიკიდან ჩამოვინდოვით, უნივერსიტეტის საკუთრება გახდება. ალბათ, იმ ოთახშიც მოვანახლებთ სამკითხველო დარბაზს.



სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

თითოეული ჩვენი თანამშრომელი, გრძნობს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ დაგვაკისრია. გასაკეთებელი ძალიან ბევრია, ბიბლიოთეკაში კვალიფიცირებული ადამიანები მუშაობენ: ელა კაჭარავა, ლამარა ასლამაზიშვილი და მარიამ შინჯიაშვილი. ისინი ყველანაირი პირობას უქმნიან ბიბლიოთეკაში შემოსულ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. წიგნების კლასიფიკაციაზე და ელექტრონული ვერსიის შექმნაზე ზრუნავენ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან მოწვეული თანამშრომლები: თინათინ არჩვამაშვილი, ცირა სიხარულიძე და ნანა ვასაძე, რისთვისაც მადლობას ვუხდით ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ქალბატონ მზია რაზმაძეს.

ჩვენ ბევრ საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ. ეს იქნება შემოქმედებითი საღამოები, წიგნების პრეზენტაციები, ახალი წიგნების გამოფენა, თანამედროვე მწერლებთან შეხვედრები, სამეცნიერო კონფერენციები და ა.შ.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გახსნილია ნატოს კუთხე. აქვე განთავსებთ თაროებს, რომლებზეც განლაგდება ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ახალი წიგნები.

საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ, თანამშრომლების სახელით, მადლობა გვინდა გადავუხადოთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატს, მატერიალური სამსახურის დეპარტამენტს და მივულოცოთ ახალი წელი.



სადაზღვევო კომპანიების პროექტების პრეზენტაცია-კონკურსი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის მიმართულების IV კურსელებმა ლექტორებსა და სტუდენტებს წინასაახალწლოდ საინტერესო ღონისძიება შესთავაზეს — ჩატარეს სადაზღვევო კომპანიების პროექტების პრეზენტაცია-კონკურსი. იდეის ავტორი და ღონისძიების ორგანიზატორი იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსების, საბანკო, სადაზღვევო და საბაზო საქმის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი ნათია კახიანიშვილი.

მაია ტორაძე

ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სადაზღვევო დეპარტამენტის უფროსი მანანა ციციშვილი.

კონკურსის შედეგები შტაფაბა კომპეტენტურმა ფიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ — ეკონომი-

კისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ჯამლეტ ჯანჯღავა, პროფესორები რეზო სალია და არჩილ ცერცვაძე, სადაზღვევო კომპანიების — „სახალხო დაზღვევისა“ და „BCI ალდაგის“ წარმომადგენლები.

სტუდენტთა შვიდმა ჯგუფმა აუდიტორიას წარუდგინა ვირტუალური სადაზღვევო კომპანიები:

„ქართული სადაზღვევო ჯგუფი“ (ხელმძღვანელი ირაკლი ბერძენაძე); „ეი თი დი ენ“ (ხელმძღვანელი ანა ახალბედაშვილი); „MFI“ (ხელმძღვანელი თემურ ჩაღვინელი); „ალფა“ (ხელმძღვანელი სოფო დიაკვინიშვილი); „გარანტი“ (ხელმძღვანელი მიხეილ გოგოლაძე); „ასის-ტანია“ (ხელმძღვანელი მარიკა ჭიჭაღა); „მაქსიმუმი“ (ხელმძღვანელი თამაზ ციციშვილი).

წარმოდგენილი პროექტები შეფასდა პროფესიონალიზმის და პრეზენტაციულობის ნიშნით. ფიურიმ თითოეული პროექტის საფუძვლიანი განხილვის შემდეგ გამოავლინა გამარჯვებული პროექტი, რომელიც ყველაზე კარგად გაითვალისწინა და პრეზენტაციული იყო. მათი აზრით, სტუდენტების მიერ წარმოდგენილ პროექტებს ეტყობოდა სათანადო პრაქტიკის არქონა, მაგრამ, ძირითადად, კარგად ჰქონდათ გამოყენებული ის თეორიული მასალა, რაც უნივერსიტეტში შეისწავლეს.

გამარჯვებულ პროექტად გამოცხადდა ჯგუფი „ეი თი დი ენ“ (ხელმძღვანელი ანა ახალბედაშვილი), რომლის ოთხივე წევრი სადაზღვევო კომპანია „სახალხო დაზღვევამ“ 100-100 ლარიანი სტიპენდიით დააჯილდოვა, ხოლო „BCI ალდაგმა“ სტაჟირებისთვის მიიწვია კომპანიაში. „BCI ალდაგმა“ სტაჟირებას გაივლის „ფიურის სიმპათია“ ირაკლი ბერძენაძე, რომელიც მეორე ადგილზე გასულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

ღონისძიება ძალზე საინტერესო იყო ჩაფიქრებული. როგორც ორგანიზატორმა ნათია კახიანიშვილმა განაცხადა, ეს იყო სამკვირიანი დაუღალავი შრომის შედეგი, რაც სტუდენტებმა ძალზე კარგად მიიტანეს აუდიტორიამდე. „კმაყოფილი ვარ პრეზენტაციით. პროექტში 30-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. მათ ბევრი იმუშავეს და მაქსიმალურად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებ-

ლობები“, — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

პროფესორმა არჩილ ცერცვაძემ აღნიშნა, რომ მართალია პრეზენტაციებში ხარვეზები იყო, მაგრამ სტუდენტთა მიდგომა საკითხისადმი სწორი იყო. მისი აზრით, ასეთი ღონისძიებები საჭიროა სტუდენტთა პროფესიული ზრდისათვის და მეცნიერული პრინციპების ჩამოყალიბებისთვის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ჯამლეტ ჯანჯღავამ განაცხადა: „ძალზე კმაყოფილი ვარ პრეზენტაცია-კონკურსით და სტუდენტთა მომზადებით. ის ხარვეზები, რაც მათ პროექტებში აღინიშნებოდა, გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ვერ ვაძლევთ მათ პრაქტიკის გადგომის საშუალებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღონისძიება ძალზე საინტერესო და ნაყოფიერი იყო. გამორჩეულად, რომ ამ მიმართულებით ფაკულტეტზე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს.

სასხარულო ის არის, რომ ასეთ პრეზენტაციებში სტუდენტები ჯგუფურად არიან ჩართულნი და მათი საქმიანობით დაინტერესებულნი არიან ჩვენი წამყვანი სადაზღვევო კომპანიები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის IV კურსი, რომელიც რეფორმა არ შეხება, გასაგებია იქნება, რომ სხვა კურსებზე უფრო ფართოდ გაიშლება მუშაობა სტუდენტთა პროფესიული დაოსტატების მიზნით.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ფაკულტეტი, რომელიც დღითი დღე იზრდება და წელს შემოსული აბიტურიენტების აბსოლუტური უმრავლესობა, 246 სტუდენტი, 100 პროცენტისაა გრანტით მოვიდა ფაკულტეტზე, სულ მალე ძლიერ კონკურენტობას გაუწევს სხვა უნივერსიტეტებს და გახდება ლიდერი არა მხოლოდ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ რეგიონშიც“.





„პირველი ქართული უნივერსიტეტი“ ხიბლი მის წარსულშია, ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა კი, მის ანმუსა და სამომავლო პერსპექტივებში და იგი თავის წარმომჩენს მხოლოდ თავისი უნიკალური ისტორიით როდი ცდილობს. ვისაც სიტუაციის ობიექტური ანალიზი არ შეუძლია ან შეგნებულად არ უნდა, ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს მავანთა მხრიდან თავსმოხვეულ პრობლემებს რეალური პრობლემებისგან, რისი დაძლევაც უნივერსიტეტის წარმატებაზე ორიენტირებულ ჩვენს ინტელექტუალურ ფენას ნამდვილად შეუძლია, ძალიან რთულად დაანახებ იმ საქმეს, რაც, თუნდაც, ამ ერთი წლის მანძილზე გაკეთდა. ფაქტია, რომ ყვითელი პრესის ფურცლებზე ნეგატიური ინფორმაციით ხშირად ცდილობენ უნივერსიტეტის დისკრედიტაციას, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ გრძნობენ იმ პასუხისმგებლობას

– ვის სახელსაც ატარებს ჩვენი უნივერსიტეტი და, თუნდაც ამ მოტივაციით, მის წიაღში განხორციელებულ არაერთ იდეას, ინიციატივასა და ღონისძიებას რად არ აშუქებენ? გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ არ აპირებს მიზეზთა სიღრმისეულ კვლევას, რაც ჩვენი საქმე ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ გვსურს – მოკლედ წარმოვიდგინოთ წლის მანძილზე გაზეთში გაშუქებული ის მოვლენები, რაც წარმოაჩენს ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას ქვეყნისა და ჩვენი საზოგადოების წინაშე, სადაც მომავალი თაობები იზრდებიან და კვლავაც უნდა გაიზარდონ. რაც შეეხება პრობლემების წარმომჩენასა და მთელ რიგ საკითხებზე მსჯელობას მათი გადაჭრის მიზნით, ამ თემებზე ახალი წლის შემდეგ გავაგრძელებთ დისკუსიების მონაცემს.



ევროპული ცივილიზაციის ისტორიასა და კულტურაში ჩვენი უნივერსიტეტის როლი არაერთხელ გამოიკვეთა მაღალი რანგის სახელმწიფოთა მოღვაწეებისა თუ ავტორიტეტული პირების თსუ-ში ვიზიტისას, რომელთა მთავარი სათქმელიც ჩვენი ქვეყნის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისთვის გარკვეული სახის რეკომენდაციები გახლდათ.



ბულგარეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი უნივერსიტეტში

15 ნოემბერს ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრად იმყოფებოდა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი სერგეი სტანიშევი. მან უნივერსიტეტის აკადემიურ საზოგადოებას და სტუდენტებს საქართველო-ბულგარეთის ურთიერთობის პერსპექტივები გააცნო.

სერგეი სტანიშევის გამოსვლაში ცალსახად გამოიკვეთა, რომ ბულგარეთი საქართველოსთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გარღვევებისთვის მზად არის. ასევე, უნდა ველოდოთ ამ ქვეყნის გამოცდილების გაზიარებასა და მხარდაჭერას ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში.

შეხვედრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა დასვეს საინტერესო კითხვები, რომლებიც შეეხებოდა ბულგარეთის დამოკიდებულებას საქართველოს მიმავალი საპრეზიდენტო არჩევნებისადმი, განათლების სფეროს დაფინანსებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სოფლის უნივერსიტეტს შორის ურთიერთობების გაღრმავებას.

საუნივერსიტეტო საზოგადოება განსაკუთრებით დაინტერესდა ბულგარეთის განათლების სისტემით. პრემიერმინისტრმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარეთში განათლება პრიორიტეტულია, რადგან ეს არის XXI საუკუნეში ერთადერთი საშუალება, რითაც სახელმწიფო და ხალხი კონკურენტუნარიანი გახდება. ბულგარეთში მეცნიერებასა და განათლებაში ხარჯდება ბიუჯეტის 4,7 პროცენტი, აქედან მხოლოდ განათლებაზე — 4,2 პროცენტი. სერგეი სტანიშევის თქმით, მხოლოდ დაფინანსება არ არის პრობლემა, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს სწავლების ხარისხსა და საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზებაზე. რაც შეეხება მეცნიერებას, მისი განვითარების მიზნით ბულგარეთის ხელისუფლებამ 4-ჯერ გაზარდა ბიუჯეტში ხარჯები, რათა მეცნიერებმა საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტები შექმნან.

სერგეი სტანიშევი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს დაჰპირდა, რომ დაუკავშირდება სათანადო უწყებებს და დაავალბდა, განიხილონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოფლის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაცვლის პროგრამების წახალისების ფორმები.



NATO-ს გენერალური მდივნის იან დე ჰოოპს სხეფარის ვიზიტი უნივერსიტეტში

4 ოქტომბერს საქართველოს სამუშაო ვიზიტით NATO-ს გენერალური მდივანი იან დე ჰოოპს სხეფერი ეწვია. ვიზიტის ერთერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მისი სტუმრობა ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც საჯარო ლექციის შემდეგ სტუდენტებსა და მაღალი რანგის სტუმარს შორის საინტერესო დიალოგი შედგა.

იან დე ჰოოპს სხეფერმა თავის გამოსვლაში ისაუბრა NATO-ს ღია კარის პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ ალიანსის გაფართოების პროცესი შეუქცევადია და მას ხელს ვერავინ შეუშლის. მთავარია, საქართველომ შეასრულოს NATO-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, რომელიც შეეხება ქვეყნის დემოკრატიული რეფორმების პროცესს, სასამართლო რეფორმის წარმატებით დასრულებას, სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარებას და სხვა ვალდებულებით ნაკისრი პროგრამების განხორციელებას.

შეხვედრისას სტუდენტები დაინტერესდნენ, როდის გადავა ქვეყანა IPAP-დან NATO-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP)? შეუძლია თუ არა ქვეყანას ხელს კონფლიქტური რეგიონების არსებობა? რა გავლენას მოახდენს ალიანსის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებაზე რუსეთის ფაქტორი? ბატონ იან დე ჰოოპს სხეფერს ამ კითხვებზე კონკრეტული

პასუხები არ გაუცია, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ NATO-ში გაწევრიანების პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმირების ტემპზე იქნება დამოკიდებული.



უნივერსიტეტის ისტორიის პრეზიდენტი ტომას ჰენდრიკ ილვესი ეწვია

8 მაისს ესტონეთის პრეზიდენტი ტომას ჰენდრიკ ილვესი ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანმხლებ პირებთან ერთად ესტუმრა. შეხვედრას სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე და განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ლომაიაც ესწრებოდნენ.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოსა და ესტონეთის ურთიერთობები ძალიან დინამიურად ვითარდებოდა, რაც უმეტესად სტრატეგიული ხასიათის თანამშრომლობაში გადაიზარდა. დღეს ჩვენთვის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ევროკავშირის გაფართოების ბევრ ქვეყანას ეშინია და ამ პროცესს ეწინააღმდეგება. ესტონეთი მხარს უჭერს მის გაფართოებას და, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, გაცილებით ლოიალურია.

რაც შეეხება მეზობელი სახელმწიფოებისთვის რუსეთის მიერ ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადების არმოშობილ მავნე ჩვენებას — რუსეთის ამ პოლიტიკას საქართველოც და ესტონეთიც დღეს თანაბრად ეომება. ესტონეთის პრეზიდენტმა საქართველოს უსურვა, გააგრძელოს ბრძოლა ევროსტრუქტურებისა და ნატოში გასაწევრიანებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ესტონეთის პრეზიდენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდება მიენიჭა.

ესტონეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას ამ ნოდების მინიჭებისთვის და დოქტორის მანტიით შემოსილია დატოვა ივანე ჭავჭავაძის სახელობის დარბაზი.



პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ვიზიტი

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი 16 აპრილს ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა. ივანე ჭავჭავაძის სახელობის სხდომათა დარბაზში სტუმარი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, თსუ-ს მრჩეველთა, აკადემიურ და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრებს, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს შეხვდა.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს მთავრობის წევრები — განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, ალექსანდრე ლომაი და სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე.

მისასალმებელ სიტყვაში თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ ხაზი გაუსვა პოლონეთისა და საქართველოს ისტორიული მეგობრობის მაგალითებს. მისი თქმით, პოლონეთი პირველი სახელმწიფოა ევროპაში, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა დესპოტურ კომუნისტურ მმართველობას და საბჭოთა სისტემის დემონტაჟისკენ პირველი ნაბიჯები გადადგა. პოლონეთმა საკუთარ თავზე უკვე გამოცადა ის წინააღმდეგობა, რასაც, ამჟამად, საქართველო აწყდება — იქნება ეს ეკონომიკური ბლოკადა, ემბარგო თუ სხვა ტიპის სანქციები.

პოლონეთის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ევროპული ცივილიზაციის ისტორიასა და კულტურაში უნივერსიტეტების განსაკუთრებულ როლზე ისაუბრა. მისი თქმით, დღეს-დღეობით, ევროპის ქვეყნებისთვის არსებობს განვითარების ორი ყველაზე სერიოზული ორგანიზაცია — ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (ნატო). ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოც, როგორც ერთერთი ძველი ევროპული ქვეყანა, თავის მომავალს ამ ორ ორგანიზაციას უკავშირებს. პოლონეთი ამ მიმართულებით საქართველოს პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა იქნება.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ლეხ კაჩინსკის თსუ-ის საპატიო დოქტორის ნოდება მიენიჭა.



ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე სახალხო დიპლომატიის საკითხებში ჟან ფურნიე თსუ-ს ესტუმრა

მარტში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე სახალხო დიპლომატიის საკითხებში ჟან ფურნიე უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა.

„ნატოს სახალხო დიპლომატია“ მოიცავდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) მოკლე ისტორიას, სტრუქტურას, ფუნქციონირებას და თანამედროვე ამოცანების მიმოხილვას. ფურნიეს თქმით, ნატოს განვითარებას ახსიათებს ტრანსფორმაცია, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა მსოფლიოს უახლესი ისტორიის სამ ეტაპზე — ცივი ომის პერიოდში, ბერლინის კედლის დანგრევისას და 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ.

დღესდღეობით, მსოფლიოს წინაშე სამი ძირითადი საფრთხე არსებობს, რაზეც ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. ეს საფრთხეებია — ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღი და ტრეფიკინგი.

შეკითხვაზე: — „საქართველოში დაძაბული ვითარებაა, გვაქვს დაკარგული ტერიტორიები და მძიმე სოციალური ფონი. რატომ არის ნატო ასე ძალიან დაინტერესებული, საქართველო მიიღოს თავის წევრად?“ ჟან ფურნიემ უპასუხა, რომ „ნატოს წევრი ქვეყანა არ უნდა იყოს მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი. იგი, ამავე დროს, უნდა იყოს ნატოს წევრი სხვა ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მონაწილე. საქართველო ახლოსაა იმ კონფლიქტურ რეგიონებთან, სადა ანაც მსოფლიოს საფრთხე ემუქრება. ესეც მნიშვნელოვანი ამომხრები ინტერესებისთვის... ნატო დაეხმარება საქართველოს, მაგრამ ეს არის კონფლიქტები, რომლებიც, უშუალოდ, თქვენმა ქვეყანამ უნდა მოაგვაროს“, — აღნიშნა ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწემ. მისი თქმით, მეტად საყურადღებოა არასტაბილური ქვეყნების პრობლემები, სადაც ხშირად არის სახალხო გამოსვლები. „ჩვენი მთავარი ამოცანაა, ასეთი ქვეყნების მოხელეებმა და სამხედროებმა გააიარონ ტრეფინგები მართვის სფეროში. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ადამიანები, რომლებიც პროტესტს გამოხატავენ, კი არ დახოცონ, არამედ დაიცვან. როდესაც სადღაც ომი და მიზანი არის მშვიდობის დამყარება, იქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მკვლელობა. ამიტომ არასტაბილური ქვეყნების სამხედროებს, ვცდილობთ, ტრეფინგებით ავეხსნათ, როგორ მოახდინონ რეაგირება საპროტესტო გამოსვლებზე“, — განაცხადა უნივერსიტეტის სტუმარმა.



ლეგენდად ქცეული პოლონელი ჟურნალისტის ადამ მიხნიკის ვიზიტი

პოლონეთის ყველაზე მრავალტირაფიანი გაზეთი „ვიბორჩას“ რედაქტორი, ლეხ ვალენსას თანამებრძოლი ადამ მიხნიკი, ლეგენდად ქცეული პოლონელი ჟურნალისტი, რომელსაც დასავლეთში „ჟურნალისტის სინდისსაც“ უწოდებენ, 13

დეკემბერს ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. საუბრის თემა იყო - „პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისუფალი მედია პოლონეთის მაგალითზე“. მან აღნიშნა, რომ ქართული ჟურნალისტიკის პრობლემა ქართული საზოგადოებისა და ქართული დემოკრატიის პრობლემებს უკავშირდება.

„ჟურნალისტიკა იმის გარკვევა უნდა შეძლოს, სად გადის ზღვარი კონკურენციასა და ბრძოლას შორის. ჟურნალისტებმა წესიერებაზე ტესტი უნდა ჩააბარონ და შეძლონ, ძირითადი ფასეულობების ირგვლივ შეკავშირება. თქვენ უნდა შეძლოთ, თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის ბალანსის დაცვა“, — აღნიშნა მან.



კონფერენციები

ამერიკამკოდნეობის კონფერენცია უნივერსიტეტში



საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

3-5 მაისს ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ამერიკამკოდნეობის მეცნიერ-კონფერენცია. მისი თემატიკა: „ამერიკულ-ქართული ურთიერთობები: ისტორია და თანამედროვეობა“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამეცნიერო კვლევითი მოხსენებები წაიკითხეს აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

კონფერენცია „გერმანული – გზა ევროპისკენ“

გერმანული ენის გავრცელების ხელშეწყობასა და მისი დარგობრივი სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებით, 12-15 სექტემბერს გერმანიის ყოფილ სტიპენდიანტთა საქართველოს კავშირის იგიდით კონფერენცია „გერმანული – გზა ევროპისკენ“ გაიმართა, სადაც თსუ-ის, გოეთეს ინსტიტუტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, თელავის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის უნივერსიტეტების გერმანული ენის სპეციალისტებმა მიუწესტერის, ზაარლანდის, იენის უნივერსიტეტების პროფესორებთან ერთად გერმანული ენის პრიორიტეტულ ენად ქცევის რეალურ გზებსა და რესურსებზე იმსჯელეს.

კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენებების ძირითადი ნაწილი შეეხო გერმანული სახელმძღვანელოების შედგენის თემატიკას, ქართული ენის სპეციფიკისა და მენტალიტეტის გათვალისწინებით მათზე მუშაობას — თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს გერმანიისტიკის სწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ჰუმბოლდტიანელთა საერთაშორისო არქეოლოგიური სიმპოზიუმი

17-20 მაისს ჰუმბოლდტიანელთა საერთაშორისო არქეოლოგიური სიმპოზიუმი გაიმართა თემაზე — შავი ზღვის აუზი ენეოლითიდან ადრერკინის ხანამდე ძვ.წ. 5000 – 500 წწ.) კომუნიკაცია კავკასიასა და კარპატებს შორის. სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ არქეოლოგები 13 ქვეყნიდან (გერმანია, ბულგარეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა, თურქეთი, სომხეთი, პოლონეთი). ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებდა — ისინი ჰუმბოლდტიანელები იყვნენ. სიმპოზიუმი გერმანიის ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის, საქართველოში გერმანიის საელჩოსა და თსუ-ის ხელშეწყობით გაიმართა.

სიმპოზიუმის გახსნისადმი მიძღვნილი მოხსენება „შავი ზღვის აუზის მეტალურგია ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში“ წაიკითხა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების დირექტორმა, პროფესორმა სვენდ ჰანზენმა, რომელმაც მოხსენების დანების წინ აუდიტორიას ამცნო, რომ მიმდინარე წლის 12 მაისს პროფესორი ჯონი ფაუქტივე გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ნევერ-კორესპონდენტად აირჩიეს.

კონფერენცია თემაზე: „ბიბლიის ტექსტი და მისი გამოცემა“

სექტემბრის ბოლოს უნივერსიტეტში ორდღიანი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა თემაზე: „ბიბლიის ტექსტი და მისი გამოცემა“.

მონაწილე მისწავლენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი გიორგი გამრეკელი და აკადემიკოსი მზექალა შანიძე.

მზექალა შანიძის აზრით, თანამედროვე საზოგადოებისთვის ბიბლიური ტექსტების შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. მისი თქმით, პროექტი — „ბიბლიის ტექსტი და მისი გამოცემა“, ოთხთავისა და ფსალმუნთა თანამედროვე კვ-

ლევები თეორიულად გულისხმობს ბიბლიური ტექსტის პირველადი სახის აღდგენას, რასაც სპეციალისტების დიდი შრომა სჭირდება.

პროტოპრესვიტერი მამა გიორგი გამრეკელის განცხადებით, საპატრიარქო მისწავლენა ამგვარ პროექტებს და სიახლოვებით გაიზიარებს მეცნიერების მოსაზრებებს. „ჩვენთვის საინტერესოა ეს კონფერენცია, ბიბლიის გამოცემაზე საპატრიარქოს ჯგუფიც მუშაობს. გამოვეცით მათეს და მარკოზის სახარება. გამოსაცემად მომზადებულია ლუკას სახარება. ჩვენი სპეციალისტებისთვისაც საინტერესოა ქართველი და უცხოელი მეცნიერების თვალსაზრისი და დასკვნები“.

კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად ფრანგი, ბრიტანელი, ესპანელი და გერმანელი სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

საერთაშორისო კონფერენცია „არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა“

კონფერენცია, რომელიც საბერძნეთის კულტურის სამინისტროსა და საქართველოში საბერძნეთის საელჩოს ურთიერთთანამშრომლობით გაიმართა თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგერციტიკის ინსტიტუტში 1-დან 3 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა.

სამეცნიერო დისკუსიები სხვადასხვა მიმართულებით წარმოებდა: „არგონავტიკა და ანტიკური კულტურა“, „არგონავტიკა პოსტანტიკურ ეპოქაში“, „არგონავტიკა თანამედროვე მსოფლიოში“.

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგერციტიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორის მამა გორდუნიანის განცხადებით, მსგავსი კონფერენციები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო ფუნქციით არ იფარგლება, არამედ იგი ტრადიციულად აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას, როგორც მეცნიერთა აქტივობის გამოსავლენად, ასევე, სტუდენტებისთვის უახლესი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.



კონფერენციის მსვლელობაში არგონავტიკის თქმულებასთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა. მიმოიხილეს ჰელიოსის კოლხური მემკვიდრეობა, აიეტის ქვეყანა და არგო ჰომეროსის ტრადიციაში მედეას სახე, თანამედროვე ქართული მხატვრული კულტურის კონტექსტში, თანამედროვე ბერძნულ დრამატურგიაში, იტალიურ კულტურაში: მითოლოგიაში, თანამედროვე ლიტერატურის ზოგიერთ ნიმუშში, მუსიკასა და იკონოგრაფიაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდა ვენციელი მეცნიერის, ფილიპოპარია პონტანის მოხსენებამ „მედეას ზმანებანი“, რომელიც იგი პირველი საუკუნის დასაწყისში შექმნილი პაპირუსის გრაფიკის (სახელწოდებით „Papyrus Oxyrinchus 4712“) ფრაგმენტების აღდგენას ცდილობდა.

კონფერენცია – „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“



ფიზიკოსები ეძებენ სამყაროს „აგურს“ — იმ ელემენტარულ ნაწილაკს, რომლისგანაც სამყარო აშენდა...

მოგვხსენებათ, რომ ფინანსური და ინტელექტუალური ძალების გაერთიანების შედეგად შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობები, რომლებმაც ექსპერიმენტების დაფინანსებასთან ერთად გზა გაუხსნა პატარა ქვეყნებს, მონაწილეობა მიეღოთ იმ მოწინავე სამეცნიერო იდეების განხორციელებაში, რომელსაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ.

ასე ჩაერთო საქართველო კოლაბორაცია ATLAS-ში, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან და ძვირად ღირებულ ექსპერიმენტში. ეს უდიდესი მიღწევა მეცნიერ-ფიზიკოსთა იმ მცირე ჯგუფის დამსახურებაა, რომლებმაც ფეხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აიდგეს და შემდეგ თსუ მალაღი ენერჯიების ფიზიკისა და ინფორმაციისტიკის ინსტიტუტსა და ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში განაგრძეს მოღვაწეობა. აქედან გაეხსნათ მათ გზა თანამედროვე ფიზიკის უდიდესი ექსპერიმენტებისკენ. დღეისათვის ამ დარგში ათეულობით ქართველი მეცნიერი მონაწილეობს. ისინი სხვებთან

ერთად აშენებენ და ელიან CERN-ის ადრონული კოლაიდერის (ამაჩქარებლის) ექსპლუატაციაში გაშვებას, რომელიც 2008 წლის ზაფხულისთვის იგეგმება. ამ ეტაპზე ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ახლა მეცნიერთა თითოეული ჯგუფი კიდევ ერთხელ აანალიზებს უკვე ჩატარებულ სამუშაოებსა და მომავალში გასაკეთებელ საქმეს.

ანალოგიური მიზანი ჰქონდა მალაღი ენერჯიების ფიზიკის თბილისის IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას — „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“, რომელიც 22—26 ოქტომბერს პროფესორ ჯემალ ხუბუას ორგანიზატორებით გაიმართა. კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად 12 ქვეყნის ცნობილი უცხოელი მეცნიერი მონაწილეობდა.

კონფერენცია – „გლობალიზაცია და დიალოგები ცივილიზაციებს შორის“

2007 წლის 23 მაისს თსუ-ს გერმანელი პროფესორი, CERN-ის (ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრი, ქ. ჟენევა, შვეიცარია) გენერალური დირექტორის მოადგილე ჰანს ჰოფმანი ეწვია. საქართველოში მისი ვიზიტის მიზანი კონფერენციაში „გლობალიზაცია და დიალოგები ცივილიზაციებს შორის“ მონაწილეობა გახლდათ. 26 მაისს კონფერენციაზე ჰანს ჰოფმანმა წაიკითხა ლექცია GRID სისტემისა და თანამედროვე მსოფლიოზე კომპიუტერიზაციის ზეგავლენის შესახებ.

ლექციის დაწყებამდე პროფესორმა ჰანს ჰოფმანმა განმარტა, რომ GRID სისტემა წარმოადგენს ვირტუალურ სუპერკომპიუტერს, რომელშიც გეოგრაფიულად დაშორებული გამოთვლელი მოწყობილობები ერთობლიობაში მძლავრ გამოთვლელ გარემოს ქმნიან. სისტემა საშუალებას იძლევა, გააერთიანოს ნებისმიერი რაოდენობის კომპიუტერი. გარდა ამისა, მეტად სასარგებლოა იმ მეცნიერთათვის, ვისაც გამოსათვლელი აქვს ტიპის ამოცანები, რაც დიდი სიმძლავრის გამოთვლით რესურსებს მოითხოვს. ამრიგად, ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ GRID სისტემის საშუალებით ითანამშრომლონ CERN-თან — იმუშაონ საკუთარ ქვეყანაში და ამავედროულად იყვნენ CERN-ის წევრები, მათთან ერთად შეიმუშაონ საინტერესო პროექტები.

ბატონმა ჰანსმა აღნიშნა, რომ პროექტ ATLAS-ის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. 2005 წლის შემდეგ მის შესახებ 50 15 პუბლიკაცია დაინერა. ეს ბუნებრივია — CERN-ის ამაჩქარებელი ადამიანებს დაეხმარება გაიღრმავონ ცოდნა სამყაროს შესახებ და ბიძგს მისცემს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. ის შესაძლებელს გახდის, დაინახოთ ჩვენთვის ცნობილი სამი განზომილებისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ახალი დამატებითი განზომილებები. იმედს გამოვთქვამ, რომ სიმსივნურ დაავადებებსაც დავამარცხებთ, ვინაიდან საშუალება მოგვეცემა უმეტესი ნაწილაკების დონეზე შევისწავლოთ ამ დაავადების წარმოშობისა და მიმდინარეობის მექანიზმი, — განაცხადა პროფესორმა ჰოფმანმა.

საინტერესო ლექციისათვის ბატონ ჰანს ჰოფმანს მადლობა გადაუხადა პროფესორმა თამარ ჯობაჯამ (ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალაღი ენერჯიებისა და ინფორმაციისტიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი). მან აღნიშნა, რომ პირველად საქართველოში, თსუ მალაღი ენერჯიებისა და ინფორმაციისტიკის ინსტიტუტში, GRID ინფრასტრუქტურის პირველი საფეხურის — დაახლოებით ათი კომპიუტერისაგან შემდგარი კლასტერის შექმნა იგეგმება.

კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი

22 ოქტომბერს კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი გაიხსნა, რომელიც კავკასიური ცივილიზაციის, ისტორიისა და თანამედროვეობის პრობლემური საკითხების განხილვას მიეძღვნა. პირველი საერთაშორისო კონგრესი თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის და არსოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის თაოსნობით გაიმართა.

საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და კავკასიის თითქმის ყველა რეგიონიდან 50-მდე უცხოელი მეცნიერი და მკვლევარი ჩამოვიდა.

როგორც საერთაშორისო კონგრესის თავმჯდომარემ, პროფესორმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, კონგრესის უმთავრესი მიზანი ჩრდილო კავკასიის და უცხოურ სამეცნიერო და სასწავლო წრეების კავკასიოლოგიური კვლევების სფეროში შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენაა. მისი აზრით, თსუ კვლავ დარჩება მსოფლიო კავკასიოლოგიის ცენტრად, რომელიც გააერთიანებს კავკასიოლოგიაში არსებულ აკადემიურ დარგებს: ლინგვისტიკას, ისტორიას, კულტუროლოგიას, ხელოვნების ისტორიას, ლიტერატურას, ფოლკლორს, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, ეთნოგრაფიას.

ცირა ბარამიძის ინფორმაციით, კონგრესისთვის დაიბეჭდა სამეცნიერო მასალების კრებული (480 გვერდიანი), პროგრამა, გზამკვლევი, ბუკლეტი — „კავკასიური ცივილიზაცია“, აფიშები და სხვა თვალსაჩინო მასალა. კონგრესზე წარმოადგინეს 215 თეზისი. კონგრესი დასაბამს დაუდგენს ახალ ისტორიას კავკასიის მკვლევების უმნიშვნელოვანეს საქმეში.



კონფერენციები

საერთაშორისო კონფერენცია – „მაღალტექნოლოგიური ზეგამტარობა, თავდაპირველი კონცეფცია და ახალი შედეგები“

8-11 ოქტომბერს უნივერსიტეტი მასპინძლობდა მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციას — „მაღალტექნოლოგიური ზეგამტარობა, თავდაპირველი კონცეფცია და ახალი შედეგები“, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატის, ალექს მისულერის 80 წლისთავსა და მაღალტექნოლოგიური ზეგამტარობის აღმოჩენის 20 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციის თბილისში ჩატარების იდეა ალექს მისულერის მოწოდებით, თსუ-ის პროფესორს ალექსანდრე შენგელაის ეკუთვნოდა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 15 ქვეყნის 40-მდე მეცნიერი, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატი გეორგ ბენდორცი, რომელიც ალექს მისულერთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორად აირჩია.

ამ ეტაპზე მკვლევარები ორი მიმართულებით მუშაობენ — განაგრძობენ ახალი ნივთიერებების ძიებას, სადაც კიდევ უფრო მაღალი იქნება კრიტიკული ტემპერატურა და იკვლევენ მაღალტექნოლოგიური ზეგამტარობის მექანიზმს. თუ ისინი მიაკვლევენ ძირითად პრინციპს, კიდევ უფრო მაღლა ასწევენ კრიტიკულ ტემპერატურას.

თბილისში გამართულ კონფერენციაზე მეცნიერები მნიშვნელოვან შეთანხმებამდე მივიდნენ — იმისთვის, რომ შეისწავლონ მაღალტექნოლოგიური ზეგამტარობის ფენომენი, აუცილებელია კრისტალური მესერის რხევების გათვალისწინება. აქამდე ცნობილ მეცნიერთა დიდი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ეს ფაქტორი არც ისე მნიშვნელოვანია. ბოლოდროინდელმა კვლევებმა და ექსპერიმენტებმა კი დაადასტურეს, რომ აუცილებელია კრისტალური მესერის გათვალისწინება იმ მოდელებში, რომლებსაც თეორეტიკოსები მეცნიერული ექსპერიმენტების საფუძველზე ქმნიან.

სამეცნიერო სიმპოზიუმი – „გენური ინჟინერია – პერსპექტივები, პრობლემები“

2 ივნისს გაიმართა ბიოლოგიისა და მედიცინის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა და მოსწავლეთა I სამეცნიერო სიმპოზიუმი — „გენური ინჟინერია – პერსპექტივები, პრობლემები“.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტები, თბილისის I საჯარო სკოლა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი „გარემო და ჯანმრთელობა“. I სიმპოზიუმის თემის არჩევა გენური ინჟინერიის მიღებული პროდუქციის ავ-კარგაინობის გარშემო მიმდინარე პოლემიკამ განაპირობა. მომხსენებლებმა აუდიტორიას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს გენური ინჟინერიის განვითარების ისტორიის შესახებ, ისაუბრეს რუსეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გენმოდულირებული კომპონენტების შემცველი პროდუქტების გასაღების ბაზარზე, მიმოიხილეს ადამიანის კლონირების ისტორია, დანერგვით განხილეს გენმოდულირებული ორგანიზმები და მათი გამოყენების რისკები, ბიოუსაფრთხოების საკითხები და მსოფლიოში არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომლის მიხედვითაც რეგულირდება გენური ინჟინერიის მიღებული პროდუქტების ამა თუ იმ ქვეყანაში შეტანის საკითხები. გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს გენმოდულირებული პროდუქტების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე. სიმპოზიუმის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, პროფესორმა დიანა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა და მოსწავლეთა სამეცნიერო სიმპოზიუმი საგანმანათლებლო ხასიათის გახლდათ და რომ ამგვარი თავყრილობები აქტუალური პრობლემის განხილვის მიზნით რეგულარულ ხასიათს მიიღებს.

კონფერენცია საქართველო-ირანის ურთიერთობებზე



8 ივნისს უნივერსიტეტში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია — „სპარსულენოვანი სამყაროს ისტორია, კულტურა და საზოგადოება“. საერთაშორისო კონფერენციის მთავარი ორგანიზატორი იყო აშშ-ში არსებული „სპარსულენოვანი საზოგადოებების კვლევის ასოციაცია“, ხოლო თანაორგანიზატორები — ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.


კონფერენციაში მსოფლიოს 15 ქვეყნიდან 80-მდე მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული ირანისტიკის სკოლა.

საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების ადგილად საქართველოს არჩევა ძალიან მნიშვნელოვანია და არც თუ შემთხვევითია. ერთი მხრივ, ეს ადასტურებს ქართული ირანისტიკის სკოლის მაღალ პრესტიჟს მსოფლიოში, მეორე მხრივ კი — საქართველოს გაზრდილ კულტურულ თუ პოლიტიკურ როლს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების დაახლოების საქმეში.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველო-ირანის ისტორიულ და თანამედროვე ურთიერთობებს, ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ და ენობრივ ურთიერთობებს. ასევე წარმოდგენილი იყო მოხსენებები სპარსულენოვანი სამყაროს ლიტერატურის, ლინგვისტიკის, ხელოვნების, ისტორიის, გენდერული პრობლემების, აღმოსავლური ფილოსოფიის, მისტიციზმის და ა.შ. შესახებ.

თურქეთის ელჩის სატარო ლექცია

5 ივნისს უნივერსიტეტში თურქეთის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ერთან თეზგორმა სტუდენტებისთვის ნაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „თურქეთ-საქართველო ურთიერთობები – რეგიონალური უსაფრთხოება“.



ლექციაზე აქცენტები გაკეთდა თურქეთ-საქართველოსა და შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებზე, თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობაზე განათლების სფეროში და ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პრობლემატიკაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსა და თურქეთის მონაწილეობა აზერბაიჯანთან ერთად რეგიონის განვითარებისთვის ყველაზე სტრატეგიულ პროექტებში, როგორცაა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი და ყარსი-ახალქალაქის სარკინოგზო მაგისტრალი.

საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადადის განათლებისა და კულტურის სფეროში. ინტენსიურად განხილვა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების რესტავრაციის საკითხი. საქართველოს ხელისუფლება, თავის მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თურქული კულტურის ძეგლების პრობლემებით ინტერესდება.

ლექცია ტრეფიკინგის პრობლემებზე

თანამედროვე მსოფლიოს ახალი საფიქრალი გაუჩნდა. ნარკომანიასა და იარაღით ვაჭრობას შეემატა კიდევ ერთი ტრანსნაციონალური დანაშაული — ტრეფიკინგი. საქართველოს მთავრობამ და ორგანიზაციებმა, რომლებიც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამებზე მუშაობენ, ამ კუთხით რამდენიმე საინტერესო ღონისძიება განახორციელეს. ერთერთი იყო გენერალური პროკურატურის ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ღონისძიება, რომელიც თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე 29 მაისს გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდა გენერალური პროკურორის მოადგილე ნიკა გვარამია, რომელმაც ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ხელისუფლების სათანადო ორგანოების ძალისხმევით შედეგად, საქართველოში ტრეფიკინგის პრობლემა მინიმირებულია.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებული რეცეპტი სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობაა. მათმა ორგანიზებულმა საქმიანობამ გამოიწვია სწორედ ის, რომ საქართველოში ამ მიმართულებით მოსახლეობის სამართალშეგნება ამდღადა.

პირველი კავკასიის კონფერენცია ქიმიკში

11-14 სექტემბერს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენცია მიეძღვნა პოლიმერებისა და პოლიმერული მასალების ქიმიას, ასევე, ახალგაზრდებში ქიმიის დარგის პოპულარიზაციას. მისი თანაორგანიზატორი საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტი იყო.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქიმიკოსები საფრანგეთიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან, ყაზახეთიდან და სომხეთიდან.

კონფერენციას სტუმრობდა საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორი მარკ აბაი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პირველი კურსის სტუდენტებს ვიდეოთვალის მეშვეობით ლექციებს წაუკითხავს.

კონფერენციაზე სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების გაფართოებასა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზეც ისაუბრეს.

კავკასია – ინტერკულტურული დიალოგის პერსპექტივა (საერთაშორისო კონფერენცია)

21-22 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინტერკულტურული დიალოგის იუნიკოს კათედრისა და იუნიკოს ეროვნული კომისიის მიერ ორგანიზებულ პირველ საერ-

თაშორისო შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრა იუნიკოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ ინტერკულტურული დიალოგის პრობლემებით დაინტერესებული მკვლევარები და სპეციალისტები სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოდან, ასევე, მოლოდინადან, რუსეთის ფედერაციიდან და ყაზახეთიდან. შეხვედრას იუნიკოს კულტურის, პოლიტიკისა და ინტერკულტურული დიალოგის წარმომადგენელი, ბატონი ბერნარ ჟაკო ესწრებოდა, რომელიც კავკასიის საქმეებს კურირებს და მრგვალი მაგიდის მუშაობას უწევს ორგანიზებას.

როგორც მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა აღნიშნეს, შეხვედრის ერთერთი მიზანი სამომავლოდ ერთობლივი კვლევების, გამოცემების შესახებ შეთანხმებაა, რაც სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს შორის რეგიონულ და რეგიონთაშორის თანამშრომლობის განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს, თავის მხრივ, შექმნის საფუძველს ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავებისა და განვითარებისთვის.

როგორც ინტერკულტურული დიალოგის იუნიკოს კათედრის ხელმძღვანელმა ნინო ჩიქოვანმა აღნიშნა, „თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებას ითვალისწინებს. ჩვენ აკადემიურ და სასწავლო სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობა მოგვეცა. საუბარია ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, ერთობლივ გამოცემებზე, სასწავლო გაცვლით პროექტებზე, რომელშიც სტუდენტების გარდა პროფესორ-მასწავლებლებიც ჩაერთვებიან“, — განაცხადა მან.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – მიგრაციის პრობლემები საქართველოში

30 მაისს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ეგიდით გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „მიგრაციის პრობლემები საქართველოში“, რომელიც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ჯამლეთ ჯანჯღაძემ გახსნა. გამომსვლელებმა მიგრანტთა რაოდენობის შესახებ საინტერესო სტატისტიკა წარმოადგინეს.



„გაგონია, საზღვარგარეთ ოქროს კოშკები გელოდება? დაფიქრდი, სანამ წახვალ!“ — ასე ჰქვია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოცემულ ბუკლეტს, რომელიც კონფერენციის მონაწილეებს გააცნეს. მასში მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია მათთვის, ვინც საზღვარგარეთ მიემგზავრება: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რესურს-ცენტრებისა და საქართველოს საელჩოების კოორდინატები, სასწავლებლები და სამუშაო დასავლის მსურველთათვის ინფორმაცია, საზღვარგარეთ კანონიერი ემიგრაციის შესაძლებლობები და სხვა.

კონფერენციაზე შეიმუშავეს რეკომენდაციები, რაზეც საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს. მათ შორის საინტერესოა ის მუხლები, რომელშიც ახალგაზრდობისა და უმაღლესი განათლების წვლილზეა საუბარი. კერძოდ, რეკომენდაციებში მინიშნებულია, რომ ახალგაზრდების (სტუდენტების) შრომითი მიგრაციის ოპტიმიზაციისთვის უმაღლეს და საშუალო პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებთან უნდა შეიქმნას როგორც სახელმწიფო, ისე ალტერნატიული ფორმები; სტუდენტების პროფესიული მომზადება-გადამზადების მიზნით უნდა შეიმუშავდეს საქართველოს მოსახლეობისთვის საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სატრენინგო პროგრამები; განათლების მიმდინარე რეფორმამ რაც შეიძლება მეტად უნდა დაუახლოს საქართველოში მიღწეულ განათლებას კვალიფიკაციასა და პროფესიული მომზადების საერთაშორისო სტანდარტებს; საქართველოში დარჩენილ მაღალკვალიფიცირებულთა დახმარების განევისა და სპეციალისტების სამშობლოში დაბრუნების მიზნით, უნდა გაუმჯობესდეს შრომის პირობები და გაიზარდოს ინვესტიციები სამეცნიერო კვლევებში; მისაღება კანონი „ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ“; ფინანსური დახმარება უნდა გაენიოს ინტელექტუალური ემიგრაციის შედეგად შედარებით უფრო დაზარალებულ სამეცნიერო მიმართულებებს; უნდა დაინერგოს მსოფლიოში ფართოდ გამოყენებული საბანკო კრედიტებით პროფესიული განათლების მიღების ფექტიანი გზა;

კონფერენციაზე გადამწდა, რომ დაისვას საკითხი თსუ მიგრაციის ცენტრის სახელმწიფოებრივი დაფინანსების შესახებ.

სამეცნიერო კონფერენცია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაზე

2007 წელი საქართველოში ილია ჭავჭავაძის წლად გამოცხადდა. დიდი საზოგადო მოღვაწის დაბადებიდან 170 და ტრაგიკული აღსასრულიდან 100 წელი გავიდა.

თსუ-ში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივით უნივერსიტეტში ამ ორი თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელიც პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ გახსნა.

კონფერენციის მონაწილეებს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიესალმა, რომელმაც საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ილიას გზით სიარული, იმ ღირებულებების დაცვა და მოფრთხილება, რისთვისაც ილია იბრძოდა.



მ ე მ რ ა ნ დ უ მ ე ბ ი

7 დეკემბერს თსუ-მ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმა თბილისის ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რაც სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობასა და მალაქ კვალიფიციური კადრების მომზადებას ითვალისწინებს.

შეხვედრაზე თბილისის ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ავთანდილ ჩუთლაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მხარეები იზრუნებენ თანამედროვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და მათ ერთობლივ განხორციელებაზე. ასევე, ხელს შეუწყობენ აკადემიურ მობილობას: სტუდენტების, აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლას და თანამშრომლობას, ასევე, ერთობლივი სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების გამართვას.

6 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტმა, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტმა და ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმეს. მხარეები შეთანხმდნენ: ითანამშრომლონ საქართველოს ტყეების დაცვის, კონსერვაციისა და მდგრადი სარგებლობის უზრუნველსაყოფად; ხელი შეუწყონ ბიომრავალფეროვნების, კლიმატის ცვლილების კონვენციებისა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით; უზრუნველყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; უზრუნველყონ თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ახალგაზრდა კადრების მომზადება; ხელი შეუწყონ სამეცნიერო კვლევების დონის ამაღლებას.

7 დეკემბერს თსუ-სა და თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა, რომელიც ბოტანიკური განათლებისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს დასაფუძვლავს. თანამშრომლობის ითვალისწინებს.

24 მარტს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა, რომელიც ბიოლოგიისა და ბიოსამედიცინო მეცნიერების განვითარებას, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ეტაპზე სტუდენტების,

დოქტორანტიურის დონეზე კი სათანადო პროგრამების გათვალისწინებით და მალაქ კვალიფიციური კადრების მომზადებას ითვალისწინებს. კვლევითი სამუშაოებისათვის ინსტიტუტი უნივერსიტეტს სთავაზობს თავის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზის გამოყენებას, ხელს შეწყობს სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამეცნიერო შრომების, კრებულებისა და მონოგრაფიების გამოცემას.

1-3 ოქტომბერს თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ და კვიპროსის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა იოანის ტაიფაკოსმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კვიპროსის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება საქართველოსა და კვიპროსის საუნივერსიტეტო სივრცეების დაახლოებას, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

იოანის ტაიფაკოსის განცხადებით, კვიპროსის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტს შესანიშნავი ინტელექტუალური პოტენციალი, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და საბერძნეთთან დაკავშირებულ დარგებში მალაქ დონის კვლევების წარმოების შესაძლებლობა გააჩნია, რაც მიმდინარე აკადემიური წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის შესასრულებლად ორივე უნივერსიტეტისთვის კარგ წინაპირობად იქცევა.

16 მარტს ექსპერიმენტული ნეეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, მხარეები განათლებასა და მეცნიერული კვლევის სფეროში წახალისებენ ურთიერთობათა განვითარებას ნეეოლოგიის მეცნიერებათა მიმართულებით და ითანამშრომლებენ ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

ნეეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას თქმით, ცენტრი ნეეოლოგიის მეცნიერებათა თეორიისა და პრაქტიკის დარგში უნივერსიტეტისთვის ერთერთი საბაზო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დანესხებულეა იქნება.

5-8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საბერძნეთის პირიუსის უნივერსიტეტის

დელეგაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დირექტორმა რინარდ ბილოკიმ და პირიუსის უნივერსიტეტის რექტორმა სოტერიოს კარვოუნისიმა, ვიცე-რექტორმა ლამბროს ლაიოსმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თბილისისა და პირიუსის უნივერსიტეტებს შორის. მემორანდუმში ხელს შეუწყობს როგორც უნივერსიტეტების, ისე ორი ქვეყნის კულტურათა დაახლოებასა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

12 აპრილს საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის ქართველთა სათვისტომო ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საფრანგეთის საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული ცოდნის ამაღლებას, რათა ადვილად მოხდეს საქართველოს სტრატეგიული პრიორიტეტის განხორციელება — ინტეგრაცია დასავლურ საზოგადოებასთან, ევროკავშირთან.

29-30 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სამხრეთ კორეის სანგმიუნგის უნივერსიტეტის დელეგაცია უნივერსიტეტის პრეზიდენტის სეო მიოუნგ დაკის ხელმძღვანელობით. მემორანდუმში, რომელიც თსუ-სა და სანგმიუნგის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა, ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლას და მათ მხარდაჭერას კვლევით პროექტებში, ასევე საერთაშორისო გამოცდის ურთიერთგაზიარებას და თანამშრომლობას საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში.

10 მაისს თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ და „სახალხო ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმეს. მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტი ვალდებული იქნება იღებს, ბანკს მინაწილის წარჩინებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სია. ბანკი გამოხატავს კეთილ ნებას და ვალდებული იქნება იღებს, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, შეარჩიოს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები თუ კურსდამთავრებულები და დაასაქმოს ისინი თავის საბანკო ქსელში.

ლონისქიებები

8 თებერვალს შინაარსი დაფუძნა და აღინიშნა

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და მონაწილეებმა სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საფლავები. სამების საკათედრო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით წირვა-ლოცვა აღავლინა, რომელსაც უნივერსიტეტის წარმომადგენლობა დაესწრო. საღამოს უნივერსიტეტში მისი დაარსების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე, განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ლომია, თბილისის ბანკისა და რესპუბლიკა ბანკის წარმომადგენლები, საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი გიული ალასანია, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და მონაწილეები ესწრებოდნენ.

„ყველაზე დიდი საუნჯე ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ერისა არის ქართველი ადამიანი, ჩვენი ხალხი. ჩვენ უნდა გავუერთოთ ერთმანეთს, ასე უბრალოდ არ უნდა გავხიროთ ერთმანეთი. რა თქმა უნდა, რამდენი ადამიანიც არის, იმდენი განსხვავებული აზრი არსებობს, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს მოსმენის კულტურა. როცა ესა თუ ის პრფესორ-მასწავლებელი განსხვავებულ აზრს გამოთქვამს, ჩვენ უნდა მოვუხიროთ მას და თუკი მის ნათქვამში რაიმე სასიკეთოა, უნდა მივიღოთ კიდევ. არსებობს ასეთი გამოთქმა — „სწრაფი რეაგირების კულტურა“. ამიტომ ვამბობ, რეაგირებაცაა საჭირო“, — აღნიშნა ილია მეორემ.

პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების დღეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში აუდიტორიებს მიენიჭა ნიკო ცხვედაძის, სვიმონ კლდიაშვილისა და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სახელი. დაარსდა უნივერსიტეტის განვითარების ფონდი. უნივერსიტეტის დაარსების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაციისა და უნივერსიტეტის მეგობართა ასოციაციის ჩამოყალიბების იდეა გაცხადდა.

ტარტუს უნივერსიტეტის 375 წლისთავი

24-26 სექტემბერს თბილისის ტარტუს უნივერსიტეტის დელეგაცია ესტუმრა. ტარტუს უნივერსიტეტი 1632 წელს დაარსდა და დღისათვის ევროპაში ერთერთი წარმატებული და მაღალრეიტინგული უმაღლესი სასწავლებელია. 2007 წლის 8 მაისს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ჰენდრიკ ილევამ ხაზი გაუსვა თსუ-სა და ტარტუს უნივერსიტეტს შორის არსებულ კონტაქტებს, რაც უკანასკნელ ხანს საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვის ინიციატივით აღდგა. სექტემბერში ტარტუს უნივერსიტეტმა დაარსებიდან 375 წლისთავი აღნიშნა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თბილისში მრავალი საინტერესო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ტარტუს უნივერსიტეტიდან ჩამოსული დელეგაცია და ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მოეწყო მეგობრული სპორტული შეხვედრები (ფეხბურთი, კალათბურთი ფრენბურთი) ესტონელ და ქართველ ახ-

ალგაზრდებს შორის. დელეგაციის წევრებმა ხელნაწერთა ინსტიტუტში მოინახულეს ანტიკური კულტურის, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის გრიგოლ ნერეტის ნამუშევრები. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კი ნაციონალური პარკის — სათაფლიას დამაარსებლის, პეტრე თაბუკაშვილის მემკვიდრეობას გაეცნენ. სადღესასწაულო საღამო კინოსახიობოთა თეატრში გაიმართა, რომლის დირექტორი მაია ჯორჯაძე ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. აქვე მოეწყო ნახატების გამოფენა. სიტყვით გამოვიდნენ ის ადამიანები, რომლებმაც სტუდენტობა ტარტუს უნივერსიტეტში გაატარეს. 24 სექტემბერს ტარტუს უნივერსიტეტის დელეგაციის წევრები თსუ-ის რექტორს გიორგი ხუბუას შეხვდნენ და მრავალი თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

უნივერსიტეტმა შურნალისტიკის დღე აღინიშნა

შესაძლოა ბევრმა არ იცოდეს, რომ ქართული პრესის განვითარება 1819 წლის 21 მარტიდან დაიწყო. ამ დღეს გამოვიდა „საქართველოს გაზეთი“, რომელიც მკითხველს ქართულ ენაზე პირველი ინფორმაცია მიანდოდა. დაახლოებით, ორი საუკუნის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორთა ინიციატივით, ეს დღე ქართული შურნალისტიკის დღედ გამოცხადდა და 1993 წლიდან 2003 წლამდე რეგულარულად აღინიშნებოდა. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის“ ინიციატივით გაიმართა შეხვედრა შურნალისტიკის დღისადმი, რომელთაც ქართული მედიის საჭიროებოთა საკითხებზე იმსჯელეს.

ქიდეე ერთი ნაბიჯი განათლების პროკულის სივრცისკენ

სწავლა სიცოცხლის მანძილზე
2008 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციასთან ერთად გეგმავს „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ეროვნული სტრატეგიის“ შემუშავებას. სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე როგორც ბოლონის, ასევე, კოპენჰაგენის პროცესების ერთერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს და ნიშნავს ნებისმიერ ასაკში განათლების ხელმისაწვდომობას და ნებისმიერ დონეზე ცოდნისა და უნარ-ჩვევების სრულყოფის შესაძლებლობის რეალიზებას.

თსუ-ს უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება

2007 წლის სექტემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას იტალიის ქალაქ ბოლონიაში ვიზიტის დროს, როდესაც იგი ესწრებოდა „უნივერსიტეტების დიდი ქარტის“ ე.წ. „მანჯა კარტას ობსერვატორიის“ კონფერენციას, გაჩნდა ბოლონის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმების იდეა.

კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების შედეგად, 30 ნოემბერს თსუ-მ მიიღო დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ევროპის პირველი უნივერსიტეტი მზადაა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ამჯერად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხელშეკრულების გაფორმების თარიღთან დაკავშირებით.

წლის მოვლენების შეფასებას გაზეთის მორიგ ნომერშიც გავაგრძელებთ
ჩანართი მოამზადა ნინო კაკულიამ

აქცენტები

განათლების ახალი მინისტრი რაფორმაში

საქართველოს პარლამენტმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დამტკიცა მაია მიმინოშვილი, რომელიც მანამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრის ხელმძღვანელობდა. როგორც მან მასმედიაში საუბარში განაცხადა, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები მცირეოდენი ცვლილებით გავრცელდება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ექვსივე ფაკულტეტზე 2964 პირველკურსელი მიიღო. თსუ-ის ხელმძღვანელობა უპრეცედენტოს უწოდებს იმ ფაქტს, რომ 2007 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ათასი 100%-იანი გრანტიდან 448 იმ აბიტურიენტებმა მოიპოვეს, ვინც უმაღლესი განათლების მიღება სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განიზრახა. უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ასევე, განსაკუთრებული აღმორჩნდა ის, რომ აღნიშნული კონტინენტის ნახევარზე მეტმა (სულ 241 პირველკურსელი) არჩევანი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეაჩერა. იმ ფაქტს, რომ მთლიანი გრანტიების 25% ამ ფაკულტეტზე მოიხსნა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ჯამლეტ ჯანჯღავა ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებებისადმი განსაკუთრებული ლტოლვის განხრადს უკავშირებს. მისი აზრით, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, შექმნილი საინვესტიციო გარემო, საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის დამყარებული კავშირთა ურთიერთობები იძლევა.

საუნივერსიტეტო ძალაში

მალღივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება ახალი, თანამედროვე საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა. მასში განთავსდება არა მარტო ულტრათანამედროვე სასწავლო ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები და აუდიტორიები, არამედ სტუდენტური ცხოვრებისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი — იქნება ეს სპორტული, კულტურული თუ სხვა ღონისძიებებისთვის აუცილებელი ნაგებობები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს სტუდენტებს საუნივერსიტეტო ქალაქი შესაძლებლობას მისცემს — იცხოვრონ სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებით, ჰქონდეთ სწავლისა და დასვენების თანამედროვე პირობები. საუნივერსიტეტო ქალაქის აშენებამდე უნივერსიტეტის ყველა კორპუსში სწავლა გაგრძელდება იგივე რეჟიმით, როგორც ახლა მიმდინარეობს. ამ დრომდე, არც ერთი აუდიტორია არ დაიცვება. პირველი ქართული უნივერსიტეტის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი პირველი და მეორე კორპუსები კი, სავარაუდოდ, მომავალი წლისთვის, უნივერსიტეტის 90 წლის იუბილესთვის გარემონტდება.

კომპიუტერული რესურს-ცენტრების გახსნა თსუ-ში

2007-2008 სასწავლო წლიდან გაიხსნა კომპიუტერული რესურს-ცენტრები თსუ-ის I, II და X (მალღივი) კორპუსებში, რომელიც აღჭურვილია 175 კომპიუტერით. კომპიუტერული რესურს-ცენტრები ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლების როგორც სასწავლო პროგრამებით და სწავლების მეთოდის თანამედროვე მოდელებით უზრუნველყოფას, ასევე, სწავლებისა და კვლევის პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებას. ახალი სასწავლო წლის განმავლობაში თსუ 500-ზე მეტი კომპიუტერი შეიძენს.



„ენების სწავლება უნივერსიტეტში: პრობლემები და პერსპექტივები“

20 დეკემბერს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე: „ენების სწავლება უნივერსიტეტში: პრობლემები და პერსპექტივები“, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის ექსპერტთა ფაკულტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების გარდა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე შოთა მინდელი და ენების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი რუსუდანი დოლიძე მონაწილეობდნენ.

ხათუნა ხატიაშვილი

საკონფერენციო მოხსენებები თსუ-ის თითოეულ ფაკულტეტზე ენების სწავლების მდგომარეობას და არსებულ პრობლემებს შეეხო, სადაც გამომსვლელთა ნაწილის მხრიდან აღინიშნა, რომ უცხო ენის სწავლებისთვის კვირაში სამი აკადემიური საათი საკმარისი არ არის.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ანასტასია ზაქარაიას განცხადებით, უნდა არსებობდეს ე.წ. ხუთკაციანი „ბარიერი“, რომელთა მიზანიც იქნება ენების სწავლება-გადარჩენა იქნება (მაგალითად, კავკასიური, კლასიკური, ძველი აღმოსავლური ენები და სხვა).

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ვაჟა ცხოვრებაშვილის თქმით, მაგისტრატურაში მისაღებად გამოცდებმა აჩვენა შეუსაბამობა სწავლება და საგამოცდო მოთხოვნებს შორის. „არ უნდა მოეთხოვროთ იმაზე მეტი, ვიდრე გასწავლით“, — თქვა მან.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ გიორგი გოგაძის განმარტებით კი, სასურველია, უცხო ენების სწავლებას არსებულზე მეტი სემესტრი დაეთმოს და, შესაძლებელია, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს ინგლისურ ენაზე სპეციალური კურსებიც შესთავაზონ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, პროფესორ ლარისა ყორღანაშვილის აზრით, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს უნდა მიეცეთ სა-

შუალევა, გამოცდები ჩააბარონ ნებისმიერ უცხო ენაში და არა მხოლოდ ინგლისურში, გერმანულსა და ფრანგულში. ამასთან, სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებისთვის ანაზღაურებაც გაიზარდოს.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორ დიმიტრი კორძაის განცხადებით, სასურველია, ანალოგიური სამუშაო კონფერენცია-შეხვედრა გაიმართოს ყველა ფაკულტეტზე ცალ-ცალკე, სადაც განიხილება ენების სწავლების პრობლემებიცა თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე. „უნდა შეიქმნას ენების სწავლების საუნივერსიტეტო სტრატეგია და უცხო ენის ბაზიერის გამო, არ უნდა დავკარგოთ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები. არ უნდა დავეშვათ „წყვეტა“, რამაც შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს დარგების განვითარებას“, — აღნიშნა მან.

იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის გოჩა მამულაშვილის ინფორმაციით კი, სხვადასხვა მიზეზების გამო, V და VI სემესტრის სტუდენტებს შეუწყდათ უცხო ენის სწავლება და ეს აუცილებლად გამოასწორებელია.

კონფერენციაზე გამართული დისკუსიისას ლარისა ყორღანაშვილმა ითხოვა, მაგისტრატურაში მისაღები გამოცდებიდან უცხო ენის მოხსნა. აღინიშნა, რომ აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სპეციალური აუდიტორიის მოწყობა, სადაც სტუდენტებს აუდიო-ვიდეო მასალის ნახვისა და მოსმენის საშუალება ექნებათ.

თითოეულ ფაკულტეტზე ვითარების გაცნობის შედეგად ნაშრომები შეკითხვებს უპა-

სუბა ენების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდანი დოლიძემ, ადმინისტრაციის მოადგილე შოთა მინდელმა კი, კონფერენციის მონაწილეებს აღუთქვა, რომ მათი წინადადებები, მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებული იქნება.

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის ირინე დარჩიას განცხადებით, მაგისტრატურის ხარისხის ასამაღლებლად გადადგმული ნაბიჯი. „თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლა და კვლევა, უცხო ენების გარეშე წარმოუდგენელია. თუ სტუდენტებს ენების ცოდნას მოვთხოვთ, მაშინ მათ შეეუქმნით დამატებითი მოტივაცია, რომ მეტი დრო და ენერჯია დაუთმონ უცხო ენის სწავლას, რაც შრომის ბაზარზე მათ უფრო მეტად კონკურენტუნარიანს სპეციალისტებად ჩამოაყალიბებს“, — აღნიშნა ირინე დარჩიამ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამზადებს კვალიფიკაციითა ეროვნულ წარჩოს, რის თანახმადაც, უცხო ენის ცოდნა შესაბამის დონეზე (B1, B2, C1) იქნება აუცილებელი ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის. რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა „დაასწრო“ სამინისტროს ამ მოთხოვნას, უცხო ენაში გამოცდის მოხსნა უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება, რაც არ შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების სულისკვეთებას. აქედან გამომდინარე, თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ენი-ნააღმდეგება მაგისტრატურაში მისაღები გამოცდებიდან უცხო ენის მოხსნას. თითოეული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩასაბარებელი ენა (ან ენები) უნდა განსაზღვროს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღ-

ვანელმა. ირინე დარჩიას თქმით, ამგვარად, ხელოვნური ბარიერი არ შეექმნებათ იმ სტუდენტებს, რომლებიც კარგად ფლობენ არა ზემოთ აღნიშნულ სამ: ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენას, არამედ — იტალიურს, ესპანურს, რუსულს და სხვა.

— მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღებ გამოცდაზე მხოლოდ სამი ენის ჩაბარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს დაუკარგავს სხვა ენების სწავლის მოტივაციას და ახლო მომავალში შეგვიქმნის წინააღმდეგობას ევროპის ბევრ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საკითხში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცე, რომლის წევრობისკენაც ვისწრაფვით, ენობრივ მრავალფეროვნებასაც გულისხმობს, — აღნიშნა მან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კონფერენციის მონაწილეებსა და დამსწრეებს გააცნო აკადემიური საბჭოსადმი წარსადგენი რეკომენდაციები. გადანყდა, რომ შეისწავლება და დადგინდება თანხის ის რაოდენობა, რომელიც ესაჭიროება უცხო ენის კვირეული დატვირთვის სამიდან ოთხ საათამდე გაზრდას, რასაც მოჰყვება კონსულტაციები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ამ თანხის მოძიებასთან დაკავშირებით. 2008 წლის იანვარ-თებერვალში მოეწყო ანალოგიური სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტებზე უცხო ენების სწავლების განხილვის მიზნით.

აკადემიური საბჭოს წინაშე წარსადგენი რეკომენდაციები ასე გამოიყურება: 1) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განსაზღვროს და პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითდეს ის უცხო ენები, რომელთა ჩაბარების უფლებასაც მისცემს მომავალ მაგისტრატურაში სწავლას. 2) მაგისტრატურაში შესვლელთათვის გამარტივდეს უცხო ენის გამოცდის საკითხები და მოხდეს დიფერენციალური ფაკულტეტებისა და სამაგისტრო პროგრამების მიხედვით.

ბერნდ შროდერის ვიზიტი თსუ-ში



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მორიგი ვიზიტი იმყოფებოდა გერმანიის ზარლანდის უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგი ბერნდ შროდერი, რომელმაც მომავალი წლისათვის სტიპენდიატების შესარჩევი კონკურსი ჩაატარა.

ბატონო ბერნდ, რა იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენი ვიზიტის მიზანი?

— ზარლანდის უნივერსიტეტში პროფესორები ყოველწლიურად ჩამოდიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამებისთვის სტუდენტების შესარჩევად. ამჯერად, ჩემი ვიზიტის მიზანი იყო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გაღრმავება, ქართველ კოლეგებთან შეხვედრა და მომავალი წლისთვის კონკურსის წესით სტიპენდიატების შესარჩევა, რომელიც სამი კრიტერიუმით მოხდა: აკადემიური მოსწრება, გერმანული ენის ცოდნის ხარისხი და სტუდენტის მოტივაცია, ანუ დასაბუთება — რატომ სურს მას ზარლანდის უნივერსიტეტში სწავლა ან ენის კურსის გავლა. ყველა ეს კრიტერიუმი კომისიის თითოეული წევრის მიერ ქულებით შეფასდა და სტუდენტები, რომლებმაც ქულათა დიდი რაოდენობა დააგროვეს, სტიპენდიას მიიღებენ. წელს კონკურსზე იმაზე მეტი კარგი სტუდენტი გამოცხადდა, ვიდრე სტიპენდია

გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია.

გასულ წლებში საკონკურსო შერჩევა ერთპიროვნულად ხდებოდა. წელს, პირველად, კონკურსი კომისიამ ჩაატარა...

— დიახ, წელს ზარლანდის უნივერსიტეტისთვის სტიპენდიატების შერჩევა კომისიის მიერ პირველად მოხდა. კომისიაში 4 წევრი შედიოდა: ქალბატონი ეკატერინე რაის-ნერი (თსუ-ის ბაკალავრიატის განყოფილებიდან), ბატონი არმინ მორიცი (თსუ-ის რექტორის მრჩეველი), მარკუს ბრაზი (გოთეს ინსტიტუტის მასწავლებელი) და მე — ზარლანდის უნივერსიტეტიდან. ჩვენ ერთად გავესაუბრეთ ყველა სტიპენდიატს და ერთობლივი არჩევანი გავაკეთეთ.

აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კონკურსის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარებას დიდად შეუწყო ხელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა.

ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები მქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში და საპატრიარქოში. როგორც თეოლოგს, მსურდა ინფორმაცია მიმეღო კრიტიკულ-ინფორმაციული რელიგიური გავლენის შესახებ. მინდა მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომელს მარიამ მჭედლიძეს, რომელმაც ასეთი საინტერესო პროგრამა და შეხვედრები დაგვამა.

როგორ გესახებათ ზარლანდისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის მომავალი?

— ამ თანამშრომლობას 25 წლის ისტორია აქვს. ყოველწოდ, შევქველით, რომ ბევრი ადამიანისთვის აღმოგვეჩინა დახმარება მათი პროფესიული ცხოვრების მნიშვნელოვან საფეხურზე. დარწმუნებული ვარ, თანამშრომლობა გაგრძელდება, მაგრამ არსებობს სირთულეებიც. გერმანიის გაცვლის აკადემიური სამსახური, რომელიც თანამშრომლობას აფინანსებს, თანდათან ამცირებს ფინანსებს, აქედან გამომდინარე, ჩვენი სამომავლო სივრცეც პატარავდება.

ამ ეტაპზე თბილისის უნივერსიტეტის ამოცანაა გერმანულს, როგორც სამეცნიერო ენის, სწავლება და გაფართოება. ზარლანდის უნივერსიტეტს კი სურს მოიძიოს კოლეგები, რომლებიც მზად იქნებიან ქართველ მეცნიერებს გაუწიონ პარტნიორობა ზარლანდის უნივერსიტეტში. მომავალში ვისურვებდი — ქართული ენის კურსები ჩვენს უნივერსიტეტშიც გახსნილიყო.

სტუდენტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი ფლორენციაში

ხათუნა ხატიაშვილი

2-9 დეკემბერს, იტალიის ქალაქ ფლორენციაში სტუდენტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა, სადაც თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტების ოთხწევრიანმა ჯგუფმა თავიანთი განსაკუთრებული შესაძლებლობების წარმოჩენით, სიმპოზიუმის ორგანიზატორის რომუალდო დელ ბიანკოს მსოფლიოში ძვირადღირებული სასტუდენტო-ბით სარგებლობის საგანგებო სერტიფიკატის მიიპოვეს.

სიმპოზიუმის თემა იყო: „City as an educational polygon, SMART CITY, case of Florence“ (ქალაქი, როგორც საგანმანათლებლო პოლიგონი, გონიერი ქალაქი, ფლორენციის მაგალითი). მასში მონაწილეობდა სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი ქვეყანა: სლოვენია, სლოვაკეთი, რუმინეთი, სერბეთი, ხორვატია და საქართველო. საქართველოს წარმომადგენელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯგუფი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების პროფესორის ია ხუბაშვილის ხელმძღვანელობით, რომლის შემაჯავებელია აღნიშნა, თსუ-ის სტუდენტური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები დიპლომატიის ისტორიის სპეციალობით: გიორგი ასტამაძე, გიორგი აფხაიძე, ირაკლი ჟორჯოლიანი, შალვა ურიადუმეფლი. სიმპოზიუმზე ქართველმა მონაწილეებმა წარმოადგინეს — „ვენეცია-ფლორენციის დიპლომატია რენესანსის ეპოქაში“ და შესაბამისი სერტიფიკატებიც მიიპოვეს. ამასთან, მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს სიმპოზიუმის დასკვნითი დღისადმი მიძღვნილ სამუშაოებში. ასევე საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ ფლორენციის მუზეუმები და ცალკე მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული შედეგები.

როგორც ფლორენციიდან დაბრუნებული სტუდენტური ჯგუფის ხელმძღვანელმა ია ხუბაშვილმა აღნიშნა, თსუ-ის სტუდენტების წლებადელი ვიზიტი იტალიაში წელს, პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საკუთარი სახსრებით დააფინანსა.

— მე ფლორენციაში რომუალდო დელ ბიანკოს ფონდისა და ჟიურის წევრი ვარ და აქედან გამომდინარე, უკვე მეოთხე წელია ამგვარ ღონისძიებებზე დამყავს სტუდენტები. კულტურული თვალსაზრისით, წლებადელი სიმპოზიუმი და მასში თსუ-ის მონაწილეობა იყო მნიშვნელოვანი სტეპი.



პროცესის თვალსაჩინო მაგალითი. ექვსი წარმოდგენილი ქვეყნის მუშაობა ზუსტად იმ მიმართულებით წარიმართა, რომელიც ბოლოწინის პროცესშია გათვალისწინებული, — აღნიშნა ია ხუბაშვილმა.

სპეციალობისა და სწავლების სფეროდან გამომდინარე, საერთაშორისო კონტაქტების დამყარებასთან ერთად ქართველმა სტუდენტებმა იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს დამსწრე საზოგადოებაზე, რომ სიმპოზიუმში მონაწილე თურქეთის ჯგუფის ხელმძღვანელმა ისინი 15 აპრილისთვის ქ. ედერნეში დაგეგმილ არქიტექტურა სიმპოზიუმზე მიიწვია.

აღსანიშნავია, რომ იტალიაში გამართულ სიმპოზიუმზე მონაწილე თურქეთის სტუდენტურ ჯგუფს „იუნესკოს“ სწორედ ის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა, ვინც ქართული კულტურული ძეგლების შეტანას მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში ხელი მოაწერა.

ია ხუბაშვილის განმარტებით, სიმპოზიუმის მასპინძელმა რომუალდო დელ ბიანკომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ იმ 8 ათასი მონაწილიდან, ვინც კი, ათი წლის განმავლობაში ამგვარი ფორმატის ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა, ერთერთი საუკეთესო საქართველოს წარმომადგენლობა აღმოჩნდა, რომლებიც დახვეწილობით, ჩაცმის სტილით, ინგლისური ენის კარგი ცოდნით და საუკეთესო ყოფიანობით გამოირჩევიან.

იტალიაში საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ აღიარებული სტუდენტები, ამჟამად, თურქეთში დაგეგმილი სიმპოზიუმისთვის ემზადებიან, საიდანაც ოფიციალური მისწვევა უკვე მიღებული აქვთ.



აკაკი შანიძე მართო წარსული არ არის

აკაკი შანიძის იუბილე



20 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 120 წლისთავსადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა. უნივერსიტეტის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში აკაკი შანიძის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს, რის შემდეგაც მონაწილეებმა უნივერსიტეტის პანთეონში მისი საფლავი ყვავილებით შეაპყვეს. ღონისძიების ფარგლებში სამეცნიერო კონფერენცია — „ღვანული აკაკი შანიძისა“ გაიმართა. სააქტო დარბაზის ფოიეში მოენსო მეცნიერის მემორიალური ნივთების, მისი შრომებისა და ფოტოების გამოფენა.

შურთისა ბაროშვილი

სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე მიესალმა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში იუბილეს ფარგლებში აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჯერ კიდევ ზაფხულში გაიმართა, რომელზეც ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა თავიანთი ახალი ნაშრომები წარმოადგინეს. „სიმბოლური აღმოჩნდა ისიც, რომ მაშინ კონფერენციას 120 მონაწილე ესწრებოდა, ამჟამად ამ კონფერენციის მასალები წიგნად არის გამოცემული. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს პატივისცემას უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებლის, ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა დარგში თავისი წვლილის შემტანის მიმართ“, — განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

დაკავშირებული დეტალების გააზრება. ჩვენ ვიცით, რაოდენ დიდი ძალისხმევა დასჭირდა თითოეულ მათგანს, რომ გაექარწყლებინათ საზოგადოებაში დანერგული სკეფისი უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით. ბატონო აკაკი შანიძის სახელთან ყველაფერი „პირველი“ სიმბოლურად არის დაკავშირებული. სწორედ მან დაიცვა პირველი სადოქტორო დისერტაცია უნივერსიტეტში. ისიც სიმბოლურია, რომ ეს დისერტაცია ქართული ენის ზმნას ეძღვნებოდა. სიქარეში შესავალი სიტყვის ტექსტიც კი დავინწყებია სახლში, მაგრამ ამით სხდომას არაფერი დაჰკლებია. გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდა სიცოცხლის ბოლომდე ივანე ჯავახიშვილთან. ყველა მისი წერილი ასე იწყებოდა: „პატივცემული მოძღვარო, ბატონო ივანე!..“ თუმცა ასეთი გამორჩეული ურთიერთობა მის სამეცნიერო აკადემიურ თავისუფლებას არ ზღუდავდა. აკაკი შანიძე მართო წარსული არ არის. ჩვენ უნდა დავინახოთ პირველი ქართული უნივერსიტეტის განვითარების ტენდენციებიც, ის სულსკვეთება, რომელიც დაებუდა უნივერსიტეტს, უნდა გაგრძელდეს“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ. სახელოვანი მამა მისმა ქალიშვილმა, აკადემიკოსმა მზექალა შანიძემაც გაიხსენა: „აკაკი შანიძემ მთელი სიცოცხლე საქვეყნო საქმეს შესწირა. დღეს, როდესაც ოცი წელი გავიდა მისი გარდაცვალების შემდეგ, შეი-

ძლება მნიშვნელობას მოკლებული არ იყოს ზოგიერთი დეტალის გახსენება მისი პირადი ცხოვრებიდან. გურული გლეხის ოჯახში დაბადებული ბიჭი თავიდანვე დიდი შრომის-მოყვარეობით გამოირჩეოდა. სათხარში და ფიჩხის ქრაში დაინყო მუშაობა და ას წელს გადაცილებული განაგრძობდა მუშაობას ურთულეს მეცნიერულ საკითხებზე. ჩემს სტუდენტებთან ხშირად მომყავდა მისი მაგალითი. მათი პასუხი იყო: — ის ხომ აკაკი შანიძე იყო! მაგრამ მან ხომ სწორედ დიდი შრომის შედეგად მიაღწია ასეთ წარმატებას. კიდევ ერთი თვისება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შერჩა, სიახლის გრძობა იყო. დღემდე მიკვირს, როგორ ახერხებდა, რომ წაუკეთხავი არ რჩებოდა არც ერთი ახალი სამეცნიერო შრომა, ენათმეცნიერების, ისტორიისა და ფილოლოგიის დარგში, რაც კი საქართველოში გამოდიოდა. 1960 წელს, როდესაც გიორგი წერეთელთან და ირაკლი აბაშიძესთან ერთად, იერუსალიმში რუსთაველის პორტრეტის მისაკვლევად გაემგზავრა, უკვე 70 წელს იყო გადაცილებული. მაშინ ირაკლი აბაშიძე იხსენებდა: ჩვენ გვეშინოდა, ვაითუ ვერ იაროს, ხანშიშესულია, აკაკი კი ჩვენზე ნინ გარბოდაო. ასი წლის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა: ხუთიდან წელი კიდევ მინდა, რომ დაწყებული საქმეები დავამთავრო. მაგრამ მას რამდენ ხანსაც არ უნდა ეცოცხლა, ყოველთვის ექნებოდა რაღაც გასაკეთებელი. აკაკი შანიძის ნაშრომთა რაოდენობა ასეულია და მეცნიერების სხვადასხვა დარგს მოიცავს: ძველი და ახალი ქართული, ტექსტოლოგია, რუსთაველოლოგია, ქართველური ენები, არმენისტიკა და ალბანოლოგია — მან ყველგან თქვა თავისი სიტყვა და ქართველოლოგიის მრავალ დარგში მისი ნაშრომები კვლავ რჩება მომავალი კვლევის საფუძვლად და ქვაკუთხედად“, — განაცხადა მზექალა შანიძემ. აკადემიკოს ზურაბ ჭუმბურიძის აზრით, აკაკი შანიძის ხსოვნის წინაშე ყველა ქართველი ვალშია, რადგან სწორედ მისი დამსახურებით შეიქმნა გრამატიკის სახელმძღვანელოები. „ქართული ენის ზმნის სტრუქტურა იმდენად შეუსწავლელი იყო, რომ მაშინდელ პრესაში წერდნენ: „ქართულის ენისა ზმნის არიან უკანონო“. აკაკი შანიძემ პირველმა განიხილა როგორც ქართული ზმნის პირი, ისე სხვა ძირითადი კატეგორიები. მათ შორის არმდენიმე კატეგორია უშუალოდ მის მიერ არის დადგენილი. ქართული ენის მორფოლოგია დღესაც ამ სახელმძღვანელოთი ისწავლება. აკაკი შანიძემ შექმნა მთელი სერია „ძველი ქართული ენის ძეგლებისა“. ამ სერიაში და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ მან გამოამზეურა ძეგლები: ხანმეტი მრავალთავი, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ოშკის ბიბლია, სინური მრავალთავი, ჭილ-ეტრატის იადგარი, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი და სხვანი. ყველა ამ გამოცემასთან ახლავს ლექსიკონები და ვრცელი გამოკვლევები. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ბოლნისის ჯვრის, მანგლისის, ოშკის, გრემის და სხვა ისტორიული ძეგლის წარწერათა შანიძისული გამოცემები. აკაკი შანიძემ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველური ენების მეცნიერულ კვლევაში. მასსოვს, მისი ნათქვამი: „ეჰ, დრო რომ მქონოდა, დავჯდებოდი სვანეთში და ამ ენის თვისებებს უკეთესად წარმოვჩვენდიო. იგი გრძობდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი იყო სამკალი ამ სფეროში. მისი მოღვაწეობა მეცნიერული გამორბაა, რომელიც მისაბამ მაგალითად დარჩება მომავალი თაობებისთვის“, — აღნიშნა ზურაბ ჭუმბურიძემ. პროფესორ ვახტანგ იმნაიშვილის ინფორმაციით, აკაკი შანიძის მრავალმხრივი საქმიანობის ერთერთი სფერო ძველი ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლა და გამოცემა იყო. ამ მიზნით მან შექმნა სერიები „ძველი ქართული ენის ძეგლები“ და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“. ამ სერიებში აკაკი შანიძემ და მისმა მონაწილეებმა გამოაქვეყნეს ძველი ქართული მწერლობის მრავალი პირველხარისხიანი ძეგლი. ერთერთი უმნიშვნელოვანესი არის „ხანმეტი ლექციონარი“, რომელიც გრაციის უნივერსიტეტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ყველაზე თვალსაჩინო ნუსხაა. რომ არა აკაკი შანიძე შეიძლება ეს ძველი უცნობი დარჩენილი სამეცნიერო ნრეებისთვის. სახელგანთქმულმა ენათმეცნიერმა ჰუგო შუხათერმა გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე გამოკვლევა თბილისში გამოუგზავნა აკაკი შანიძეს, რომელმაც გაზეთ „ტფილისის უნივერსიტეტი“ დაბეჭ-

და 1928 წელს, ხოლო მომდევნო წომრისთვის გამოითხოვა შუხათერის არქივის ხელნაწერების ფოტოები და 1929 წელს გრაციის ქართული ხელნაწერების აღწერილობა გამოაქვეყნა. გრაციის ნახევარმილიონიან ფონდში ჩვენი „ხანმეტი ლექციონარი“ ყველაზე ძველია, იგი მეშვიდე საუკუნით არის დათარიღებული. მე მქონდა ბედნიერება, ეს ხელნაწერი არაერთხელ მეჭეროდა ხელში. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ მისი სანახავად საგანგებოდ მოდიოდნენ ხელნაწერთა განყოფილებაში. აკაკი შანიძეს არაერთი ძველი — მტვერნაყრილი თუ გადაცრეცილი ხელნაწერი გამოუმზეურებია. მან საფუძველი დაუდო ჩვენში თუ საზღვარგარეთ მიმოფანტული ასეთი ძველისძველი ფოლიანტების მეცნიერულ პუბლიკაციას. უნდა გენახათ, როგორი სიყვარულით ეალერსებოდა ფერგადასულ ასოებს, როგორ ჩაჰკირკიტებდა ლუპით ხელში ძველად გასარჩევ ასომთავრულსა და ნუსხურს. ეს დიდი სიყვარული მან თავის მრავალ მონაწილეს გადასცემდა, რომლებიც მოძღვრის დაწყებულ საქმეს მისივე შემუშავებული მეთოდებით და მისებური სიყვარულით აგრძელებენ, — აღნიშნა ვახტანგ იმნაიშვილმა. სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა: ელგუჯა ხინთიბიძემ და თეოდო უთურგაიძემ. აკაკი შანიძის იუბილეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გამოეხმაურნენ მეცნიერები. ლონისძიების მონაწილეებს მისი უცხოელი კოლეგების მისასალმებელი ტექსტები ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ გააცნო. „უკვე ოცი წელია არ ჩატარებულა ბატონი აკაკი შანიძის იუბილე. როგორ მიდის დრო, მაგრამ არ მიდის გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნა. ნამდვილი გრამატიკის წინასწარმეტყველი გახლდათ ბატონი აკაკი, რადგან როდესაც მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, ჯერ კიდევ უცნობი იყო ხანმეტი ტექსტები. ის, რაც ყველაზე ნაკლებად ცნობილია, არის სიტორ, რომელიც გამოავლინა ჩემს, როგორც უცხოელი ქართველოლოგის მიმართ. მაშუქა თავისი წიგნები, კითხულობდა და მისწრებდა ნაწერებს. როდესაც საქართველოში ჩამოვიდიოდი, ყოველთვის ვსტუმრობდი მას, იქ ყველაფერი ტრადიციების საუკეთესო დაცვით ხდებოდა, მაგალითად, სუფრაზე ყოველთვის იყო ორი-სამი მომღერალი. ბატონი აკაკი ძალიან განიცდიდა, რომ დავინწყებელი იყო ასომთავრული. როდესაც მწერდა, წინადადების დასაწყისში ყოველთვის ხმარობდა ასომთავრულს. იგი შესანიშნავ მაგალითად რჩება ჩემთვის არა მარტო როგორც დიდი მეცნიერი, არამედ ნიშუმი ადამიანობისა და ქართული ტრადიციების დამცველისა“ — აღნიშნავს საიუბილეო წერილში ბ. ბუტიე. მეცნიერის იუბილეს გამოეხმაურა იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ტრუმენის სახელობის მშვიდობის პროლემათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, შომრონის (სამარიის) საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორი რუჟენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი): „წლების განმავლობაში პატივი მქონდა, ვყოფილიყავი ძველი ქართული ენის კათედრის მდივანი, რის გამოც საკმაოდ ხშირი და ახლო ურთიერთობა მქონდა დიდ მეცნიერთან, რომელიც იმ დროს კათედრას ხელმძღვანელობდა. მაკვირვებდა მისი უნარი ყოველ წერილმანში ჩანდომისა და ნებისმიერი საქმის სრულყოფილად შექრულებისკენ სწრაფვა. იგი ამბობდა: „მეცნიერებაში არ არსებობს დიდი დმცირე რამ, არსებობს ის, რაც არის მეცნიერება და არა ის, რაც არ არის“. ეს სიტყვები სამუდამო საგზალ-მეგზური გახდა ჩემი ცხოვრების გზაზე. კურსი, რომელზეც მე ენის ჯვრუფი ვსწავლობდი, ბოლო გახლდათ, ვისაც ბატონი აკაკი სპეცემინარს უტარებდა. ეს არ იყო საშუალო სტუდენტზე გათვლილი კურსი, მაგრამ ვისაც შეეძლო აპყლოდა ლექტორს, უამრავ ინფორმაციას იღებდა და თანამონაწილე ხდებოდა მეცნიერული აზროვნების პროცესისა, რამდენადაც მხოვანი მეცნიერი უშუალოდ ლექციაზეც კი ეძებდა ხელნაწერთა გადამწერების თავისებურებებს, სიტყვათა ეტიმოლოგიასა და მნიშვნელობის ცვლილებათა გზებს. იმედო მაქვს, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც არასოდეს გახუნდება მეცნიერის ნათელი ხსოვნა“. მეცნიერის იუბილეს მისი შვილები და შვილიშვილებიც ესწრებოდნენ. აკაკი შანიძის საიუბილეო საღამო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დოკუმენტური ფილმის ჩვენებით და ხალხური ანსამბლების კონცერტით დასრულდა.



მხატვრობაში დანახული მზის შვილი

პეტრე ოცხელის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

პეტრე ოცხელის დაბადებიდან 100 წელი გავიდა. თბილისში ერთდროულად მისი მხატვრული შემოქმედების ამსახველი ორი გრანდიოზული გამოფენა მიმდინარეობს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეპერტუარში მესუთედ განახლებული „ურეილ აკოსტა“ მისი პირვანდელი დეკორაციებით იდგმება. ეს უდავოდ საძირკვლის გამაგრებაა, — განაცხადა თეატრმცოდნე, პროფესორმა ნათელა ურუშაძემ და გულზე მიიხუტა პეტრე ოცხელის მხატვრული შემოქმედების სრულად ამსახველი, უმაღლეს პოლიგრაფიული დონეზე შესრულებული სქელტანიანი ნიგნი, რომლის გამოცემაც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გენიალური მხატვრის დაბადებიდან 100 და მისი დახვედრიდან 70 წლისთავს მიუძღვნა.

საბუნა ხატიაშვილი

20 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულების თაოსნობით და ამავე მიმართულების ასოცირებული პროფესორის თეა ურუშაძის ორგანიზებით გაიმართა თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის, მთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, ა. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთობლივი პირველი სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია „ტრადიცია და ნოვატორობა ქართულ სცენოგრაფიაში“, რომელიც თეატრალური მხატვრის პეტრე ოცხელის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. მასში მონაწილეობდა ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა თეატრალური მხატვარი და ხელოვნების ამ დარგში მოღვაწე თეორეტიკოსი-პრაქტიკოსების სოლიდური საექსპერტო, სტუდენტური და სხვა დაინტერესებული პირები. კონფერენციის პირველი ნაწილი პეტრე ოცხელის ცხოვრებას და შემოქმედების თემას შეეხო, სადაც საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფესორი ირინა აბესაძე — „ნოვატორობის ტრადიციასთან მიმართების საკითხი XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ კულტურაში“; თეატრმცოდნე, მეცნიერებათა დოქტორი ნათელა ურუშაძე — „სამუდამოდ გამქრალის თვალსაჩინო ანარქიკი“; პროფესორი ვასილ კიკნაძე — „პეტრე ოცხელის ბედი“; თეატრმცოდნე ნინო ზაალიშვილი — „ქართული თეატრალური პორტრეტი“ და პეტრე ოცხელი“, თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი თეა ურუშაძე — „შემოქმედების სიცოცხლისუნარიანობა“, სადაც მან ყურადღება გაამახვილა პეტრე ოცხელის შემოქმედებისთვის დამახასიათებელ ხელნერაზე; დოქტორანტი ხათუნა კიკნაძე — „ქართული სცენოგრაფიის განვითარების ძირითადი ტენდენციები 1920-30-იან წლებში“.

პეტრე ოცხელის მხატვრულ შემოქმედებაზე არანაკლებ საინტერესოა მის ხანმოკლე სიცოცხლისთან დაკავშირებული ასპექტები. 22 წლის ასაკში საყოველთაოდ ცნობილი სპექტაკლის „ურეილ აკოსტა“-ს დამდგმელი მხატვრის, 1937 წელს დახვედრილი 30 წლის პეტრე ოცხელის აღმოჩენას დიდ კოტე მარჯანიშვილს უკავშირებენ. ქართული ხელოვნების ისტორიაში მხატვარს „მზის ერთერთი შვილობა“ ზედა წილად. აღნიშნულის დასამოწმებლად, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი ირინა აბესაძე ჩრდილოეთის ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებული კოტე მარჯანიშვილის მიერ 1923 წლის 18 თებერვალს ფურნალ „რუბიკონში“ გამოთქმულ მოსაზრებას იმეფილებს. „პირველი, რამაც გამაყვირა, ეს — დაბრუნებაა მზესთან. მუსიკაში, სიტყვასა და მხატვრობაში მე მზის შვილები დავინახე...“

კოტე მარჯანიშვილმა ყველაზე უკეთ ნარმოაჩინა იმ პერიოდის ქართული კულტურის არსი. სწორედ ამ სიტყვებშია ჩამარხული ის გასაღები, რომელსაც ძალუქს XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული ავანგარდის სიცოცხლისუნარიანობა ახსნას. XX საუკუნის დასაწყისში თბილისი მეგაპოლისად აღიქმებოდა, ევროპის ნაშენი ქალაქების სადარად რომ მიაჩნდათ აქ ჩამოსულ მიღეთელებს, — აღნიშნა ირინა აბესაძემ.

ქართულ პოეზიაში „ცისფერყანელთა“ სამოღვანელო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან ქუთაისში ის კულტურული კერა გაჩნდა, რომელშიც ეროვნული ენერჯია დღიოდა. აქ მოქმედ სასწავლებელში 1920 წლიდან მოსკოვიდან ოჯახით სამშობლოში დაბრუნებული 13 წლის პეტრე ოცხელი აგრძელებს სწავლას. როგორც მისი თანაკლასიკები და „ქუთათური“ მეგობრები მოგვიანებით ისვენებდნენ, იგი არაჩვეულებრივად მკვირცხლი ბუნებით, გულდასახსიანითა და საოცრად კეთილ ნიჭით გამოირჩეოდა. პედაგოგები, თურმე, ხშირად ტყუავენ იმის გამო, რომ გაკვეთილების მსვლელობის გამუდმებით ხატავდა რვეულზე, ქაღალდის ნაგლეჯებზე. „ნეტავ, ის ჩანახატები მისგან სახსოვრად მაინც შემოგვრჩენოდაო“, — დანაწილობდა ყველა, ვისთან ახლოსაც კი ჩაუვლია გენიოსის ბავშვობას. 1927 წლიდან პეტრე ოცხელი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტია. სწორედ იმ დროს მოუწია აკადემიაში სწავლა, როდესაც აკადემიის ერთერთმა დამაარსებელმა დიმიტრი შვეარდნაძემ აკადემიის რექტორატთან შეთანხმებით მნიშვნელოვანი ფორფორა გაატარა.

XX საუკუნის პირველი მეოთხედში მიუღ ქართული მხატვრულ კულტურას მსჭვალავდა მონუმენტური მხატვრული ფორმის შექმნისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. დიმიტრი შვეარდნაძის ხელმძღვანელობით, ქართველ ხელოვანთა საზოგადოება უძველესი ქართული ფრესკების პირების გადმოღების მიზნით ექსპედიციებს აწყობდა. ისინი ადგილზე ცენტრალურ ქართული მხატვრობის მონუმენტური ნიჭის, ზომიერი დეკორატიულობის, სახვითი ხელოვნების დარგთა სინთეზის მიღწევის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს.

ამავდროულად, ქართული კულტურის წინაშე იდგა მარადიული ალტერნატივა, რაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ორიენტაციის გარკვევას გულისხმობდა. მაშინდელ ახალგაზრდა თაობას კარგად ესმოდა, რომ ვინორ ეროვნული ჩარჩოთი შემოფარგვლა ქართულ კულტურას არ არებდა, მით უფრო, რომ უფროსი თაობის კულტურის მოღვაწეთა ერთერთი მთავარი დამასხურებაც ქართულ სინამდვილეში ევროპეიზმის დანერგვა იყო.

თამაში ოპერებზე, კონტრასტების პარაფრაზიზაცია, საოცრად ორიგინალური ხედვა გვერწმუნებს იმ დიდ გამარჯვებებში, რომლებსაც დიდი პატივით აღნიშნავდნენ, როგორც რუსეთში, მხატვრის სიცოცხლის საბედისწერო 1937 წელს, კ. სტახინილავსკის მიერ ჯ. ვერდის „რიგოლეტოს“ დასადგმელად გამოცხადებულ კონკურსზე და 1939 წელს, მისი რეპრეზირების შემდეგ, ლონდონში გამართულ თეატრის მხატვართა საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც პეტრე ოცხელის ნამუშევრები ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ყველა თეატრალური მხატვარი, ვისაც კი სცენოგრაფიასთან საქმე ჰქონია, დაზგური მხატვრო-



პეტრე ოცხელი და კოტე მარჯანიშვილი თეატრის მსახიობებთან ერთად

ბიდან მოდის. ეს იცის ყველამ, ვისაც პროფესია ხელოვნების ამ დარგთან უკავშირებს. სპეციალისტებას ასევე იცნა, რომ სცენოგრაფად მხატვარს თავად თეატრი იწვევს. თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის აზრით, პეტრე ოცხელის თეატრის მხატვრად დაბადება თეატრის ინიციატივითა.

„1907 წელს დაბადებულმა პეტრე ოცხელმა 1929 წელს „ურეილ აკოსტა“ რომ გააფორმა, 22 წლის იყო. ამ ასაკში მას არ შეიძლება, ცხოვრებისეული, მით უფრო თეატრალური გამოცდილება ჰქონოდა. ჩვენ ხომ ანარქიკული ვიცნობთ ნარსულს და ვხედვით, რომ იგი თეატრის მხატვრად დიდმა კოტე მარჯანიშვილმა აირჩია და მიიწვია. საკითხავია, საიდან მივიდა თეატრში 22 წლის მხატვარი და რას საქმიანობდა მანამდე? — ისმება რიტორიული შეკითხვა და ვარაუდსაც თავად ნათელა ურუშაძე განაგრცობს.

ალბათ, სხვების მსგავსად, პეტრე ოცხელიც თეატრში, ან სახლიდან, ან სახელოსნოდან მივიდოდა, სადაც ნებისმიერი დაგურო მხატვრობის ნარმოადგენელი სრულიად მარტო და თავისუფალია. ხატავს, რასაც უნდა და როგორც უნდა. ხატავს ქაღალდზე, ტილოზე ან სხვა მასალაზე და სამუდამოდ რჩება მისი დედანი. ამ ტიპის შემოქმედები, მიწვევისთანავე აუხსნეს, რომ თეატრს არჩეული აქვს პიესა, არსებობს მოსაზრებები, რომლითაც უნდა ითქვას სათქმელი, ჰყავს რეჟისორი და სრულიად

თავისუფალი მხატვარი უცებ ხდება უამრავ რალაცაზე, პირველყოლისა, იმ საძირკველზე დამოკიდებული, რომელზეც ნებისმიერი ლიტერატურულ-სცენური ქმნილება შენდება.

მას უნდა შეექმნა მოქმედების ადგილი, ნივთიერი გარემო ყველა ნერვილმანით, რომელიც ნარმოდგენის მოქმედებასთან ერთად იცვლება, სადაც ქრება, მის ნაცვლად სხვა რამ შემოდის... მისი დახატული ესკიზები უნდა ქვეუღიყო რკინად, ტილოდ... ასპარეზის სიბრტყე გარდაქმნილიყო სივრცედ, რომელიც თეატრალური ფარდის გახსნით ცოცხლდება, მისი დაშვებით ხან იცვლება და ხანაც სრულდება. ნარმოდგენა სცენაზე ნაწილ-ნაწილ იბადება, მოქმედების შესაბამისად, ნაწილ-ნაწილ ქრება და თუ ის რეპერტუარადან ამოვარდა, მერე საერთოდ აღარ არსებობს.

გადის დრო... სიცოცხლის მსგავსად თეატრშიც იცვლება ყველა და ყველაფერი, იდგმება ახალი სპექტაკლები... როდესაც ნარსულში რჩება უკვე შექმნილი სპექტაკლი, რომლის ავტორი და დირიჟორიც აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მომდევნო თაობაში იგრძობა მისი საჭიროება, მაშინ იწყება ძველის აღდგენა.

ყველა მომდევნო თაობა წინამორბედს აძლევს ახალ სიცოცხლეს, სადაც ნარმოებისა და მხატვრის გარდა, ყველაფერი იცვლება. ყველა აღდგენასთან ერთად მყარდება დროთა კავშირი. მხატვარს სიცოცხლეში თუკი შეუქმნია ერთი სპექტაკლი მაინც, რომლის აღდგენაც მომავალმა თაობებმა მიიღწიეს, უკვე მუზეუმში, ან ოჯახში დაცული ესკიზები არის ერთადერთი დედანი, რაც იმ დროს ნამდვილად



ვერიკო ანჯაფარიძე და პეტრე ოცხელი



ელენე ახვლედიანი და პეტრე ოცხელი

ეკუთვნის და თვალსაჩინო ანარქიკია ნარსულისა. სპექტაკლის აღდგენა, თანაც მესუთედ, როცა პეტრე ოცხელის დაბადებიდან უკვე 100 წელია გასული, განმარტებას ნამდვილად არ საჭიროებს, რამდენად საჭიროა იგი დღეს.

გასაოცარი ეპოქის დიდი შვილის ბედის მკვლევარები ადასტურებენ, რომ მხატვრული შემოქმედების გარდა, უცნაური აღმოჩნდა პეტრე ოცხელის გარდაცვალებასთან დაკავშირებული დეტალებიც. პროფესორ ვასილ კიკნაძის განცხადებით, ხალხმა დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდა, რომ ის დახვედრილი იყო და ბევრს მხოლოდ გადასახლებული ეგონა. ზვიად გამსახურდას ხელისუფლების პერიოდში გახსნილი სუ-ის საარქივო მასალების შესწავლისას აღგინდა, რომ 1937 წლის 21 სექტემბერს, „კონტრევილუციურ-ტროცკისტული“ ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით, თავის კოლეგებთან და უახლოეს მეგობარ რეჟისორთან ერთად დაპატიმრებული პეტრე ოცხელი 2 დეკემბერს უკვე დახვედრილი იყო. ამის შესახებ კი, მხატვრის ოჯახმა მხოლოდ 1940 წელს, მას შემდეგ შეიტყო, რაც პეტრე ოცხელის მამამ პროლეტარიატის ბელადის სახელზე კრემლში, ქართულ ენაზე დაწერილი წერილი გაგზავნა, მისი ვაჟის საქმის გადახედვა ითხოვა და პასუხად მიიღო, რომ განაჩენი სამართლიანია.

„დღეს, ნარსულის აუგად მოხსენიებისთვის საკმარისია ერთი სიტყვა — „კომუნისტური ქვეყანა“, მაგრამ ირკვევა, რომ სინამდვილეში საქმე ასე მარტივად არ იყო. კიდევ დიდი შრომა და დრო დასჭირდება მეცნიერებს და თაობებს, რომ გაირკვეს, რა მოხდა იმ ტოტალიტარული სისტემის 20-30-იან წლებში. ეს პერიოდია, როცა ერთი მხრივ, საშინელი კომუნისტური რეჟიმი მძინვარებს და მეორე მხრივ, რენესანსია ქართული კულტურის ყველა დარგში. 1933 წელს გამოვიდა დადგენილება, რომელიც ყველა შემოქმედებით ორგანიზაციას დაეზნა. უმკაცრესი ცენზურა გაიფედა თეატრებშიც. რეპერტუარებში აიკრძალა ყველაფერი, რაც პატრიოტულ, ეროვნულ ნიშნებს შეიცავდა. სწორედ ამ პერიოდში მოასწრეს ნიჭიერმა ადამიანებმა თავიანთი შემოქმედების გაფურცლება და პეტრე ოცხელიც ამ მოდერნიზებული ეპოქის გენიალური მხატვარია“, — აღნიშნა ვასილ კიკნაძემ.

პეტრე ოცხელი ახლობლობდა იმ დროისთვის მოსკოვის თეატრის ხელმძღვანელ სერგო ამალობელთან. მათთან მეგობრობდა, ასევე, რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე და იმავე პერიოდის თეატრალური მოღვაწე გიორგი ჟორდანიანი. 1937 წლის 21 სექტემბერს, მოსკოვის თეატრში სერგო ამალობელის მიერ მიწვეული სამივე მეგობარი ერთდროულად დაპატიმრეს ისე, რომ მათ მასპინძლის აყვანის შესახებ არაფერი იცოდნენ. მათი დაკითხვა ცალ-ცალკე მიმდინარეობდა მხოლოდ ერთი თვე, შემდეგ კი, საქმე „ტროიკას“ გადაეცა.

„როგორც სანდრო ახმეტელის შემოქმედების მკვლევარს, რამდენიმე ისტორიკოსთან ერთად მომეცა საშუალება, ამ ადამიანების პირად საქმეებს გაცნობოდი და მივხვდი, რომ თავდაც ზერეულ და არასერიოზული ნარმოდგენა მქონია იმ პერიოდზე. უსასტიკესი მეთოდებით დაკითხვას, დაპატიმრებულები პროცესუალურად ზოგი ორ კვირას, ზოგი კი, რამდენიმე თვეს უძლებდნენ. მაგალითად, სანდრო ახმეტელმა სამი თვე გაუძლო წამებას და ბრალდებას მუდმივად უარყოფდა. მას შემდეგ, რაც დაპატიმრებულებს წამებით ბრალდებას აღიარებინებდნენ, ასახელებინებდნენ ჩვეულებრივი ნაცვლების, ახლობლების წრესაც. ასე დგებოდა ინტელიგენციის ყველა ნარმოადგენლის სია და ასე დასახელებულ გვარებს, საჭიროების მიხედვით, კონკრეტული ადამიანის დასჯას საფუძვლად უდებდნენ. კვლევისას არ შემხვედრია 20-30-იანი წლების რომელიმე მნიშვნელოვანი მწერალი, მხატვარი, ინტელიგენტი, რომლის გვარიც დასახელებული არ არის რეპრესირებულთა დაკითხვის ოქმებში,“ — აღნიშნა პროფესორმა ვასო კიკნაძემ.

პეტრე ოცხელს პირველსავე შეხვედრაზე გამოძიებული ეკითხება — აღიარებს თუ არა, რომ არის ტროცკისტულ-ტერორისტული ორგანიზაციის წევრი. რეპრესირებული პასუხობს, რომ არავითარი ამგვარი ორგანიზაციის წევრი არ ყოფილა. იცნობს თუ არა მოსკოვში მსახიობებს... და კონკრეტული გვარებისა დასახელებული პასუხი — ვიცნობდი. — რამიზნით ჩამოხვედით სერგო ამალობელთან? პასუხი — კულტურულ ლონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად... პეტრე ოცხელის და მისი ორი მეგობრის საქმე სულ ერთი ფურცლისგან შედგება. მათი დაკითხვა „ტროიკასთან“ სულ 4-5-ჯერ გაიმართა. ყველა ჩვენებაში ნათქვამი აქვს, რომ არავითარ ტროცკისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა არ მიუღია.

იდენტურია ვახტანგ აბაშიძისა და გიორგი ჟორდანიანის ჩვენებებიც. პარადოქსის არის, რომ „დამნაშაულის“ აღიარების და არ აღიარების შემთხვევაშიც რეპრესირებული დამნაშავეა. რაც შეეხება, დამნაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორობაში ბრალდებული სერგო ამალობელის დაკითხვის ოქმს, ისიც ადასტურებს, რომ ახლოს იცნობს და ურთიერთობა აქვს ქართველ ხელოვანებთან, აპოლიტიკური ადამიანი და საერთოდ არ აინტერესს პოლიტიკა. ამის მიუხედავად, 2 დეკემბერს „ტროიკამ“ ყველას გამოტანა უმაღლესი სასჯელი — დახვედრა ქონების კონფისკაციით. განაჩენი იმავე დღეს აღსრულდა. არსებობს ექიმის დასკვნა, რომ განაჩენი შესრულებულია.

კიდევ კარგი, გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც უპატრონა და გაგვასენა პეტრე ოცხელი. იმედაი, მოკვლენ თაობები, რომლებიც არ დაივინყებენ არც უკუდავი გენიოსების შემოქმედებას და არც იმ მსახიობებს, რომელთა შემოქმედებაც არ შემორჩა ისტორიას და მათ უმზობლოდ მოგონებები არსებობს. რაც XX საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა, ქართველ ხალხს ჯერ კიდევ გაცნობიერებული არ აქვს, — ეს არის ტრაგედია, ნუგეშიც, იმედიც, განსაკუთრებულთა, ერთაც თსუ-სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციების პირველი ფურცელი გადაიშალა.

კონფერენციის მეორე ნაწილი თეატრალურ მხატვრებს, ხელოვნებათმცოდნეებს, თეატრმცოდნეებს, რეჟისორებს შორის დისკუსიას მიეძღვნა, სადაც თანამედროვე სცენოგრაფია, ამ დარგში არსებული მდგომარეობა და განვითარების გზები განიხილეს. ნაკითხული იქნა პროფესორ ქეთი კონწარაშვილისა და პედაგოგ-პრაქტიკოსი ნინო გუნიას მოხსენებები თემაზე: „სცენოგრაფია, როგორც ავანგარდის თავე შესავარი“ და „ქართული სცენოგრაფიული სკოლა პრადის XI საუკუნის სიონ კვადრიენალზე“. თეატრალურმა მხატვრებმა: გიორგი ალექსი-მესხიშვილმა, მამია მალაზონიამ, ალექსანდრე სლოკინსკიმ, შმაგი სემანელმა თანამედროვე მხატვრების ცალკეული შემოქმედებითი მიმართულებები განიხილეს. საუბარი შეეხო, ასევე, სცენოგრაფიის ქართულ და მსოფლიო ტრადიციებს, იმ სახელებს, რომელიც ამ დარგში ჩვენს რეალობაში აირეკლება.



„ჩვენებურები“ ქართული ფოლკლორის დღესასწაულია

რიგით მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“, რომელიც თბილისში 19-30 დეკემბერს ჩატარდა, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 30-ე საიუბილეო წლისთავს მიეძღვნა. სწორედ ამიტომ, წლევედელი ფესტივალი წინამორბედებისგან განსხვავებით, მასშტაბურობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეული აღმოჩნდა.

სათუნა ხატიავსილი

„ჩვენებურები“ 21 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სააქტო დარბაზში უმასპინძლა და ფესტივალის მონაწილეების შემოქმედებით შესაძლებლობების წარმოჩენამ ალტაცება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და სტუდენტებში ერთნაირად გამოიწვია.

როგორც ცნობილია, ტრადიციულად „ჩვენებურები“ ქართული ფოლკლორის დღესასწაულია. მასში საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ არსებული ქართული ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობენ. ეს სწორედ ის ანსამბლებია, რომელთა წევრები საქართველოდან საუკუნეებისა და წლების წინ გადახვენილი ეთნიკურად ქართველები, ან ქართული კულტურის თავგანსმცემელი უცხოელები არიან.

საერთაშორისო ფესტივალის — „ჩვენებურები“-ს პროექტი 2004 წლის 18 ოქტომბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართვე-

ლოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აკურთხა, გულითადად მიესალმა პროექტის ავტორს, ასოციაციას „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“, ფესტივალის პრეზიდენტს გიული ალასანიას და საორგანიზაციო ჯგუფს: ანზორ ერქომაიშვილის, ჯემალ კუხიანიძისა და გრიგოლ კალანდაძის შემადგენლობით.

პატრიარქი ყოველთვის დიდი სიყვარულით ადევნებდა თვალყურს ფესტივალს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა საქმიანობას, ლოცავდა, აკურთხებდა, ესწრებოდა კონცერტებს, საპატრიარქოში ინვესტა სამშობლოდან სხვადასხვა დროს გადახვენილ ახალთუ ძველ ემიგრანტებს. „კათოლიკოს-პატრიარქი, გარდა იმისა, რომ „მწყემსია კეთილი“, იგი ხელოვანცაა — ჩინებული მხატვარი, პოეტი და შესანიშნავი საგალობლების ავტორი“, — ნათქვამია, წლევედელ ფესტივალთან დაკავშირებით გამოცემულ სპეციალურ ბუკლეტში, სადაც ფესტივალის პრეზიდენტი გიული ალასანია აღნიშნავს: — სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები არასდროს

წყვეტდნენ კავშირს დედამამშობლოსთან. დღეს ეს კავშირი ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე საუკუნეების განმავლობაში იყო. უცხოეთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის რწმენა, რომ სამშობლოში ახსოვთ, უყვართ ისინი, ინტერესით ადევნებენ თვალს მათ მიღწევებს საქართველოში და ეამაყებათ მიღწეული წარმატებები. დღეს ქართული ფოლკლორი მსოფლიოს კუთვნილებია. არაქართველები მღერიან და ცეკვავენ ქართულად. ამ ფესტივალშიც მონაწილეობენ უცხოური ანსამბლები, რომელთაც მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვთ.

„ჩვენებურების“ საფესტივალო პროგრამაში წელს მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კლასიკურმა მუსიკამ და მხატვრობამ.

კლასიკური მუსიკა 23 დეკემბერს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტის ქართულმა კამერულმა ორკესტრმა წარმოადგინა. ეს სწორედ ის ორკესტრია, რომელიც ჯერ კიდევ 1964 წელს თბილისში დაარსდა, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისში ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით გერმანიაში განაგრძო მოღვაწეობა. ამჯერად, ორკესტრს დირიჟორი არიელ ცუკერმანი ხელმძღვანელობს. ამავე კონცერტში მონაწილეობა მიიღო მონრეალისა და ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა, პია-

ნისტმა ეთერ ანჯაფარიძემ, რომლის სტუდენტები არიან ახალგაზრდა პიანისტები: ალექსანდრე ცომაია, გუგა ჩხიკვაძე, ნატა მეცხოვრიშვილი და დუდანა მაზმანიშვილი.

„ჩვენებურებზე“ პირველად გაიმართა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მხატვრების გამოფენა. მხატვრების პროგრამას „გვაქვს უთვალავი ფერითა...“ საგამოფენო ცენტრმა „ქარვასლა“ 24 დეკემბერს უმასპინძლა. მასში მონაწილეობდნენ იაპონიიდან ჩამოსული მხატვარი დიმიტრი ანთაძე, ამერიკიდან — გიორგი ბოხუა, საფრანგეთიდან — ნინო ფხალაძე და სანდრო დალაქიშვილი, ჰოლანდიიდან — დავით ჩიჩუა, დიანა ჩიჯავაძე და გოჩა ლაღიძე, რომელიც ხელოვნების ძალიან საინტერესო დარგს ემსახურება და უძველეს საჭურველს ამზადებს. იგი ჰოლანდიაში ამ საქმის ცნობილ ოსტატად მიიჩნევა.

ყველაფრის მიუხედავად, „ჩვენებურების“ უმთავრეს ნაწილს მაინც ფოლკლორი წარმოადგენს. ფესტივალში წელს უკვე მესამედ მიიღეს მონაწილეობა და ქართული საზოგადოების წინაშე წარსდგნენ „ჩვენებურების“ სიმბოლოდ მიჩნეული „მაჭახელას“ მხრებში მოხრილი მოხუცებისგან შემდგარი ანსამბლი, რომლის წევრებმაც ქართული ფოლკლორი აუთენტურ სტილში შეასრულეს და რეპერტუარში ბევრი, თითქმის მივიწყებული სიმღერაც წარმოადგინეს. აღსანიშ-

ნავია, რომ „მაჭახელას“ ყველაზე უხუცესმა წევრმა, რომელიც 85 წლისაა, მაყურებლის ალტაცება საუკეთესო შესრულებასთან ერთად, ქორეოგრაფიული მონაცემებითაც გამოიწვია.

უნივერსიტეტის სცენაზე წარდგა „ჩვენებურების“ ტრადიციული სტუმარი და საქართველოში უკვე მასპინძლად ქცეული თურქეთში მოღვაწე, წარმოშობით ქართველი ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე), რომელიც საკუთარ რეპერტუარში იყენებს ისეთ საკრავებს, როგორიცაა: ფანდური, ჩონგური, დუდუკი, გარმონი, სალამური, დარჩელო, ქამანჩა, გუდასტიკი და ა.შ.

უნივერსიტეტში გამართულ კონცერტში მონაწილეობდნენ: თსუ-ის ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, უკრაინული ჯგუფი „აპელსინი“, ისრაელის ქალაქ ორიეუდის მერიასთან არსებული ქართული ფოლკლორული ანსამბლი, რომელსაც დიდი ხანია სიმონ ჯანაშვილი ხელმძღვანელობს. ანსამბლი 120 ზაგშეა, მათ შორის, არიან ისეთებიც, რომელთა მშობლები ისრაელში დაიბადნენ. ამ ანსამბლმა „ჩვენებურებში“ მონაწილეობა უკვე მეორედ მიიღო.

„ჩვენებურების“ თბილისური ფესტივალი წარმატებით დასრულდა, მორიგი, მეხუთე ფესტივალი მომავალი წლის შემოდგომაზე გაიმართება.





გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ 80 წლისაა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მეცხრე წელს, უნივერსიტეტის დამაარსებელთა დიდი მონდომებითა და ძალისხმევით, ქართველმა საზოგადოებამ იხილა საუნივერსიტეტო გაზეთი. ეს იყო 1927 წელი და მას „ტფილისის უნივერსიტეტი“ ერქვა, მისი რედაქტორი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი აკაკი შანიძე გახლდათ.

მანანა ჯურხაძე

1928 წელს გაზეთს სახელწოდება შეეცვალა და „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ დაერქვა. 30-იანი წლების ბოლოს, გაზეთს კვლავ შეეცვალა სათაური და „ბოლშევიკური კადრებისათვის“ დაერქვა. მიუხედავად იმისა, რომ სათაურიდანაც კარგად ჩანს, თუ რა სულისკვეთების და მიმართულების უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის გაზეთი, მან მაინც შეასრულა უნივერსიტეტის ცხოვრების ერთ-ერთი მემკვიდრის როლი.

დიდი სამამულო ომის წლებში გაზეთის პერიოდულობა საგრძნობლად შეიცვალა. იგი მართალია დაყოვნებით, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა. ამ დროსთვის გაზეთის რედაქტორი ალექსანდრე ჯანელიძე გახლდათ. ძნელბედობის პერიოდში უნივერსიტეტის გაზეთი აღარ გამოდიოდა და მრავალი წელი ასე გაგრძელდა.

1951 წლის მაისში, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის დიდი მონდომების შედეგად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება თბილისის უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთის განახლებული გამოცემის შესახებ. ამავე დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა გაზეთის ფორმატი, პერიოდულობა, ტირაჟი და სათაურიც. გაზეთს „ახალგაზრდა სტალინელი“ ეწოდა.

უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს ნიკო კეცხოველს თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი ტარიელ კვანჭილაშვილი (შემდეგ პროფესორი (რედ.) დაუბარებია და გაზეთის რედაქტორობა დაუპყრობდა. ბატონი ტარიელი ერთერთ თავის მოგონებაში იხსენებს, თუ როგორ წაიყვანა რექტორმა თსუ-ის სტამბაში, როგორ შეუთანხმდა სტამბის მაშინდელ დირექტორს გიორგი ოქიტაშვილს და როგორ გამოუყო ამ უკანასკნელმა სტამბაშივე ერთი მაგიდა. „მიუჯუჯეტი ჩემს მაგიდას და ვფიქრობდი, რა ვაკეთო, რით დავინწყო, მე ხომ გაზეთი არასდროს მიკეთებია. და თანაც, რედაქტორიც ვიყავი, კორექსონდენტიც,

კორექტორიც, სტილისტიც და შიკრიკიც. შტატების უქონლობა ჩემი ამხანაგების მხარში დგომამ დაფარა. სულ გვერდით მედგენ: არჩილ სულაკაური, ზურაბ ჭუმბურიძე, მაგალი თოდუა, რეზი თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, ნოდარ დუმბაძე და სხვები“ (ამონარიდი ტარიელ კვანჭილაშვილის მოგონებებიდან).

სტუდენტებს შტატგარეშე განყოფილებები დაუარსებიათ, შეუქმნიათ კორექსონდენტთა ქსელი, რომელშიც ყველა ფაკულტეტის დეკანი და პროფესორ-მასწავლებელი იღებდა მონაწილეობას. ფუნქციების ამგვარად გადანაწილებამ შედეგად გამოიღო და უკვე 1 ივნისს უნივერსიტეტის გაზეთის „ახალგაზრდა სტალინელის“ პირველი ნომერი გამოვიდა.

„ვერ წარმოიდგენთ, რა ხალისითა და მონდომებით თანამშრომლობდნენ ადამიანები გაზეთის შექმნაში. გაზეთი ყოველ ოთხშაბათს გამოდიოდა და მთავარი კორპუსის ვესტიბიულის კიბესთან (სადაც ახლაც იყიდება ჟურნალ-გაზეთები. (რედ.) იყიდებოდა. ნაკლოვანებებიც გვქონდა, მრავალგზის გაგვაკრიტიკეს კიდევ, მაგრამ მთავარი იყო ის აღმაფრენა და სულისკვეთება, რაც მაშინ უნივერსიტეტში სუფევდა“, — იხსენებდა ტარიელ კვანჭილაშვილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თსუ-ის პირველ კორპუსში, პირველ სართულზე რედაქციას ოთახიც გამოუყვეს, სწორედ იქ, სადაც ამჟამად, ტრადიციისამებრ აგრძელებენ გაზეთის გამოცემაზე მუშაობას ჟურნალისტიები. მაგრამ, თავისთავად, ბევრად უფრო კომფორტულ და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ გარემოში.

გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი“ იყო რექტორატის, პარტიული კომიტეტის, კომკავშირის და პროფკავშირის ზეგვერდის ორგანო, რომელსაც პირველ გვერდზე წამძღვარებული ჰქონდა ლოზუნგი „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!“. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მასში, ძირითადად, უნივერსიტეტის მიღწევები და წარმატებები იასახებოდა, ასევე, იბეჭდებოდა

ზემდგომი ორგანოების უმნიშვნელოვანესი დავალებები, რომელიც ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სკოლებს შეეხებოდა. მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ იმ წლების საგაზეთო კომპლექტებს, აშკარად შეიმჩნევა, რომ ზოგჯერ კრიტიკული მასალებით თემატური გვერდებიც მზადდებოდა.

მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში გაზეთი ექვემდებარებოდა ზემოთ აღნიშნულ ორგანოებს, წამძღვარებული ჰქონდა იგივე ლოზუნგი და გადიოდა სახელმწიფო ცენზურას (რასაც თითოეულ ნომერზე აღნიშნული ე.წ. „უე“ მონმოზს), მაგრამ კურორებისგან დაცული არავინაა, ხშირად ხდებოდა, როდესაც ძალიან ცდილობდნენ და სწორედ მაშინ არ გამოგდის კარგად.

„მაშინ პრესის მუშაკები მკაცრად გავაფრთხილეს, რომ ორი გვარი — ლენინი და სტალინი უმეცდომოდ უნდა დაბეჭდოთო, ჩვენც სულ გვახსოვდა ეს გაფრთხილება, მაგრამ ერთხელ სტალინის ნაცვლად, სატლინი გაგვეპარა. მაშინ რომ ამბავი ატყდა, მტერს არ ვუსურვებ იმისთანას“, — იხსენებდა ბატონი ტარიელი.

1953 წლის დეკემბერში გაზეთის რედაქტორობა ტარიელ კვანჭილაშვილმა ირაკლი ვეშაპიძეს გადაულოცა, რომელიც თითქმის 10 წელი ხელმძღვანელობდა გაზეთს.

სტალინის გარდაცვალების და მისი კულტის დაგმობის შემდეგ გაზეთს კვლავ შეეცვალა დასახელება და მას შემდეგ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც „თბილისის უნივერსიტეტი“ ეწოდება.

გაზეთის რედაქტორი მცირე ხნით ზაურ ბოლქვაძე იყო, შემდეგ ზაალ ჟვანია. იგი რედაქტორის სვეტი მკითხველს აცნობს: „ჩვენი გაზეთი ქართული უნივერსიტეტის მემკვიდრეა. რედაქცია ცდილობს, უყურადღებოდ არ დატოვოს უნივერსიტეტის ცხოვრების არც ერთი მოვლენა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი. შეგიძლიათ გადაფურცლოთ ჩვენი გაზეთის კომპლექტები და მისი მიხედვით აღიდგინოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია თვიდან თვემდე, წლიდან წელამდე. ყველაზე პირველად და ყველაზე სრულად მის ფურცლებზე ისახება ქართული უნივერსიტეტის მთელი სასწავლო, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა, თითოეული ფაკულტეტის, კათედრის, ლაბორატორიის, თითოეული აკადემიური ჯგუფის წარმატე-



ბებისა თუ დროებითი ჩამორჩენილობის ამბები. ამასთან, სასურველია, გაზეთი უფრო ქმედითი, მეტროპოლი, მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყოს“.

ამ დროისთვის გაზეთს ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: „პარტიულ კომიტეტში“, „რექტორატში“, „პროფკავშირული ცხოვრება“, „კომკავშირული ცხოვრება“, „ჩვენი ფრიადოსნები“, „უნივერსიტეტი — წარმოება“, „სანიმუშო წესრიგისთვის უნივერსიტეტში“, „ჩვენი რეიდი“, იბეჭდებოდა კროსვორდებიც.

გაზეთის საარქივო მასალიდან ვიტყვით, რომ იმ პერიოდისთვის ფართოდ განვითარებულია მხატვრული შემოქმედება და სპორტი. იდგმებოდა დრამატული სპექტაკლები, შექმნილა მომღერალთა გუნდი, დიდი მასშტაბის ალექსანდრე ნასიძის ხელმძღვანელობით სტუდენტებს ოპერა „დასიც“ კი დაუფრთხილეს. რაც შეეხება სპორტს, ძალიან განვითარებულია ალპინიზმი, კალათბურთი, ფრენბურთი, ქართული ჭიდაობა, რაზეც მეტყველებენ ის პუბლიკაციები, რომლებიც სპორტულ ღონისძიებებს აშუქებდნენ.

1967 წლის 5 ნოემბერს, პირველი ფერადი (ორ ფერში, წითელი და შავი) ნომერი გამოცა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ამავე წელს გადაწყდა, შექმნილიყო ქრონოლოგიური-დოკუმენტური კინოჟურნალი „უნივერსიტეტის მოამბე“, რომელშიც აისახებოდა ჩვენი უნივერსიტეტის წარსულიც და მისი იმდროინდელი ცხოვრებაც.

ასე რომ, ფირზე აისახა და თაობებს გადაეცა თბილისის უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო პროცესები, საუნივერსიტეტო სპორტული ცხოვრება, სტუდენტთა მეგობრული ურთიერთობა მოძმე რესპუბლიკებსა და უცხოელ სტუდენტებთან. კინოობიექტივმა აღბეჭდა უნივერსიტეტის დამაარსებლები, მისი ცოცხალი მემკვიდრეები: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე.

გაზეთი ურიგდებოდა სამთავრობო ორგანოებს, უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, კათედრებს. იგი იყიდებოდა პირველი კორპუსის ფოიეში და როგორც ერთერთ გაზეთში გამოქვეყნებული პატარა სარეკლამო განცხადება მიგვითხრობს, გაზეთი ინდივიდუალური ხელმოწერებითაც ვრცელდებოდა — „იჩქარეთ, დროულად გამოიწერეთ ჩვენი გაზეთი!“

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ერთი ნომერი ღირს 2 კაპიკი, გამოდის ყოველ პარასკევს, გარდა არდადეგებისა, წელიწადში სულ 40 ნომერი, ასე, რომ გამოწერის წლიური ფასია 80 კაპიკი“.

1977 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ზაალ ჟვანია და გაზეთის რედაქტორად გივი შეყილაძე დაინიშნა, რომელიც გაზეთს

29 წელი ხელმძღვანელობდა. ამ დროისთვის გაზეთში გაჩნდა ახალი რუბრიკები: „წიგნები ფაკულტეტიდან“, „მსოფლიო იცინის“, „ახალგაზრდა მწერალთა წრეში“, „ჩვენი სტუმრები“, „სპორტული ქრონიკა“, „ლიტერატურული გვერდი“, „ახალი ნიგნები“, „მეგობრობის მერიდიანები“, „ბუნების კარი“, „ეს საინტერესოა“ და სხვა.

ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო იქნება თუ გავიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა დროს აქტიურად მონაწილეობდნენ გაზეთის რედაქციის საქმიანობაში, ესენი იყვნენ პროფესორები: ლევან მენაბდე, სოლომონ ხუციშვილი, თენგიზ ბუაჩიძე, ნოდარ ჩხეიძე, ნუგზარ ფოფხაძე, ნია აბესაძე, არჩილ ჯანაშვილი, რევაზ ფორდანი, ჯონდო შარიქაძე, ლევან ფიფიაშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, გიორგი შალამბერიძე, მამია ებრაძიძე, ნოდარ ტაბიძე, დალი ჩიკვილაძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე, ოთარ ბაქანიძე, ნომადი ბართაია, რევაზ სირაძე, გრიგორ ფარულავა, შუქია აფრიდონიძე, ვახტანგ გურული, გიორგი (ასანა) ნადირაძე, გვამურლაია, ელგუჯა ხინთიბიძე, რისმაგ გორდენიანი, თეიმურაზ ფანჯიკიძე, ზაურ მექველია, ჰამლეტ მელაძე და სხვანი...

სწორედ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გაიარა პირველი ნათლობა 50-60-70-იანი წლების ჟურნალისტიკა იმ თაობებმა, რომლებიც თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ეუფლებოდნენ პროფესიას, კერძოდ: არმან სანელიძემ, პაატა ნაცვლიშვილმა, გვანჯი მანიამ, ჯუმბერ თთმერიამ, ომარ შურლაია, ნარგაზ მგელაძემ, ნატო კორსანტიამ, ლაშა გვახარია, სპარტაკ ქობულიამ, ვალერიან მარდალიშვილმა, ჰამლეტ გურგენიძემ, ვასილ კასრაძემ, ზურაბ სხევდიანიამ.

„თბილისის უნივერსიტეტში“ თავიანთი პირველი ნაწარმოებები დაბეჭდეს დღეს საყოველთაოდ აღიარებულია შემოქმედებმა: ნოდარ დუმბაძემ, თამაზ და ოთარ ჭილაძემ, ზაურ ბოლქვაძემ, ვახტანგ ჯავახაძემ, ლია სტურუამ, თამარ ჯავახიშვილმა, ტარიელ ჭანტურამ, ემზარ კვიციანიშვილმა, მუხრან მაჭავარიანმა, გივი გეგეჭკორმა, მერაბ ელიოზიშვილმა, რაულ ჩილაჩავამ, გივი ალხაიშვილმა და სხვებმა.

უნივერსიტეტის გაზეთში შემოქმედებითი დებიუტი ჰქონდათ ისეთ ცნობილ სახეებს, როგორებიც არიან: მხატვარი, მწერალი და დრამატურგი რევაზ გაბრიაძე, მაკა ჯოხაძე, თენგიზ ჩალაური...

2006 წლის ოქტომბრიდან გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, ახალი, თანამედროვე დიზაინითა და მკვეთრად შეცვლილი თემატური მასალებით გამდიდრებული მიეწოდება მკითხველს. გაზეთის რედაქტორია ჟურნალისტი ნინო კაკულია.

საახალწლო სუბრობა



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ ბრძოლაში „დაჭრილი“ არჩილ პატარკაციშვილი

ინიშნელოვანი თარიღები

- 1 იანვარს ახალი წლის აღნიშვნა 1691 წელს ავსტრიაში პაპმა ინოკენტი XII დაანება — კათოლიკე წმიდანის სილვესტრეს მოხსენიების დღეს. ახალ წელს ავსტრიაში და პოლონეთში დღემდე წმიდა სილვესტრეს დღე ჰქვია. მის პატივსაცემად კარიცის, შაქრისა და ნითელი ღვინისგან სადღესასწაულო პუნქს ამზადებენ, სასტუმროებსა და შენობებს კი მწვანე გირლიანდებით რთავენ;
- 1 იანვარი ასევე მშვიდობისთვის ლოცვის მსოფლიო დღეა, რომელიც 1968 წლიდან რომის პაპმა პავლე VI დაანება;
- 5 იანვარი ბოისკაუტების სერთაშორისო დღეა;
- 7 იანვარს მართლმადიდებელი სამყარო იესო ქრისტეს შობას აღნიშნავს;
- 8 იანვარს იაპონიაში „სეიზინგ-ნო-ში“ — სრულწლოვანი ახალგაზრდების დღე აღინიშნება. 20 წლის ასაკიდან იაპონელები ხმის უფლებით სარგებლობენ, კანონის წინაშე ვალდებული ხდებიან და მათზე შრომის კანონი ვრცელდება. გარდა ამისა, უფლება ეძლევათ დალიონ სპორტიანი სასამელოები და მონიონ სიგარეტი;
- 10 იანვარს დიდ ბრიტანეთში „მარგარეტ ტეტჩერის დღე“ აღინიშნება. მარგარეტ ტეტჩერს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს „რკინის ლედი“ შეარქვეს;
- 11 იანვარი ნაკრძალებისა და ნაციონალური პარკების დაცვის დღეა;
- 12 იანვარი პროკურატურის მუშაკთა საერთაშორისო დღეა;
- 15 იანვარს აშშ-ში ნაციონალური გირის „მარტინ ლუთერ კინგის დღე“ აღინიშნება. აშშ-ში მხოლოდ ორი პიროვნების — მარტინ ლუთერ კინგის და ჯორჯ ვაშინგტონის დაბადების დღეებს აღნიშნავენ, როგორც ნაციონალურ დღესასწაულებს;
- 19 იანვარს ისლანდიაში ქმრების დღე აღინიშნება. ცოლები მეუღლეებს ყვავილებსაც კი ჩუქნიან. 19 იანვარი ისლანდიაში ქორწინებისთვის საუკეთესო დღედ ითვლება;
- 21 იანვარს მთელ მსოფლიოში უცნაური დღესასწაული — მოფერების დღე აღინიშნება;
- 24 იანვარს დიდ ბრიტანეთში მეორე მსოფლიო ომში გენოციდის შედეგად დაღუპულ ადამიანებს იხსენებენ;
- 26 ნოემბერს საბაჟოს მუშაკთა დღეა. 1952 წლის 26 ნოემბერს ძალაში შევიდა საბაჟოს თანამშრომლობის საბჭოს კონვენცია. 1953 წლის 26 იანვარს კი ბრიუსელში საბაჟოს თანამშრომლობის საბჭოს პირველი სესია შედგა. 1994 წლიდან საბაჟოს თანამშრომლობის საბჭოს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია ეწოდა. მასში ევროპის 17 ქვეყანაა გაერთიანებული;
- 31 იანვარს მუსულმანური ახალი 1427 წელი იწყება.

იაპონელები ახალ წელს 108 ხორციელი ცოდვისგან თავისუფლდებიან

როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ახალი წლის ღამეს იაპონელები სადღესასწაულო სუფრას არ შლიან. ისინი ზედმიწევნით ალაგებენ სახლს, ყრიან ძველ და გატეხილ ნივთებს, აბაზანას იღებენ და იძინებენ. 1 იანვარს კი დილით ადრე დგებიან და ეროვნულ სამოსში გამოწყობილები ტაძარში მიდიან, სადაც ღვთაებებთან სიმბოლური შესანიშნავი მიაქვთ და წარმატებას შესთხოვენ მათ.

იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ახალ წელს მაგიური ძალა აქვს. დამიანს კიდევ ერთხელ ეძლევა საშუალება წარუმატებლობისგან და ცოდვებისგან გათავისუფლდეს. ამას მათ უზარმაზარი ზარები ეხმარებათ, რომლებიც შუალამის დადგომას მოასწავებენ და ახალი წლის ღამეს ყოველ ტაძარში რეკავენ. ბუდისტური სწავლების თანახმად, ადამიანს 108 ხორციელი სურვილი აქვს და ზარებიც აუჩქარებლად, ინტერვალებით სწორედ 108-ჯერ რეკავენ, რათა იაპონელები ყველა ცოდვისგან გათავისუფლდნენ.

საინტერესოა ტრადიცია აქვთ იაპონელ პატარებს — ისინი ახალ წლამდე რამდენ-

იმე კვირით ადრე ცაში მფრინავი გველების გაშვებას იწყებენ.

განსაკუთრებულად ირთვება სკოლები და დანესკუთრებულად ბოროტი სულების გასადევნად საგულდაგულოდ ასუფთავებენ ყოველ კუთხე-კუჩქულს. იაპონელები სისუფთავით გამოჩნეული ხალხია და მათი ეს მიდრეკილება დეკემბრის ბოლოს ერთვარ მანად იქცევა ხოლმე: რეცხავენ ქუჩებს, იატაკებს, ფანჯრებს, ამ სახალხო დასუფთავების პროცესში მამაკაცებიც აქტიურად ერთვებიან.

ახალი წლის წინ „სანიშნუო იაპონელი ცოლი“ დიდი რაოდენობით პროდუქტს იმარაგებს, რათა საკვები მთელი დღესასწაულის განმავლობაში ეყოს (ორი კვირის განმავლობაში იაპონიაში მალაზიები იკეტება და ვერაფერს იყიდის) და სტუმრებს ღირსეულად დახვდეს.

იაპონურ ტრადიციულ საახალწლო კერძს „რიორი“ ჰქვია, რომელსაც შემწვარი თევზისგან, ბარდისგან და ტკბილ სოუსში მოთავსებული, წვრილად დაჭრილი ზღვის ბოსტნეულისგან ამზადებენ და ახალი წლის მეორე დღეს მიირთმევენ.



მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სამცხალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავთარაძე

რედაქციის წევრები:
 გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადურია, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი: ილია ქავჭავაძის გამზ.1
 22 10 34

„ჩუნცვა“ და „იუანსიოცუ“ - ახალი წლის ტრადიციები ჩინეთში



ახალ წლამდე რამდენიმე თვით ადრე ჩინელი ოჯახები ფულის დაგროვებას იწყებენ - თანხები მათ, რა თქმა უნდა, საახალწლო საშხადისთვის სჭირდებათ, თუმცა უპირველეს ყოვლისა ვალები უნდა გაისტუმრონ.

ჩინური სუფრის განუყოფელი კერძი პელმენია, რომლის მომზადებამაც მთელი ოჯახი იღებს მონაწილეობას. ჩინური ტრადიციის თანახმად სადღესასწაულო ვახშმის მომზადება შუალამის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე უნდა დასრულდეს, იმიტომ რომ დანით შესაძლოა „ბედისგან გამზადებული ბედნიერება“ უცაბედად მოჭრას.

ახალი წლის დადგომის შემდეგ ჩინელები 2-3 დღე ისვენებენ, მერე კი მთელი ორი კვირის ანუ ჩუნცზე განმავლობაში ერთობიან. იმართება ლომების და დრაკონების ეგზოტიკური ცეკვები. დრაკონის ცეკვაში ადამიანები გამოხატავენ თავიანთ მორჩილებას და პატივისცემას დრაკონის მიმართ, შესთხოვენ მას დააკოს ქარები და დედაიშინზე იმდენი წვიმა მოაგვიდოს, რამდენიც ბარაქიანი მოსავლის მოსაწევად იქნება საჭირო; ორკვირიანი მოლხენის შემდეგ იწყება ერთგვარი დღესასწაული იუანსიოცზე,

რომელსაც ჩუნცზედან პირველ ნახევრამდე ვარეობაში, ანუ მთვარის კალენდრის პირველი თვის მე-15 დღეს აღნიშნავენ. ჩ. წ. აღმდე II ათასწლეულში იმპერატორმა ვენ-დომ სწორედ ამ დღეს დაამარცხა მონიანალმდეგე და ტახტზე ავიდა. მას შემდეგ იგი მთვარის კალენდრის პირველი თვის მე-15 დღეს საახალწლიდან გამოდოდა, ხალხთან ერთად ილხენდა და ერთობოდა. დასახელება „იუანსიოცუ“ სამი სიტყვისგან შედგება: „იან“ - სანყის ნიშნავს, „სიო“ - ღამეს, „ცუ“ კი დღესასწაულს. ამრიგად იუანსიოცზე იმპერატორ ვენ-დის ტახტზე ასვლის პირველი ღამის დღესასწაულია.

ჩინელები საახალწლო საჩუქრებს წყვილად (მაგალითად ორი ქიჩა, ორი ლარნაკი და .ა.შ) ყიდულობენ, რაც ერთიანობის და ოჯახური ჰარმონიის სიმბოლოა. არ არის მიღებული საათის ჩუქება, განსაკუთრებით ხანშიშესული ადამიანებისთვის, ვინაიდან ჩინურად სიტყვა „საათი“ უღერადობით ძალიან ჰგავს სიტყვებს „დასასრულს“ და „სიკვდილს“. საჩუქრებს სტუმარი წასვლის წინ გადასცემს მასპინძლებს. ზოგჯერ კი ჩუმად უტოვებს სახლში, ისე რომ არავინ შენიშოს.

სურიმონო და დარუბა იაპონელებისთვის

იაპონიაში არსებობს საახალწლო ბარათების ჩუქების უძველესი ტრადიცია სურიმონო, რაც სიტყვასიტყვით „რაიმე დახატულს“ ნიშნავს. უწინ ბარათებს განსაკუთრებული ქალაღისგან ამზადებდნენ, ზედ ხელით ხატავდნენ, მილოცვის ტექსტს ლექსის ვერდნენ და ოქროსფერ, სადაფისფერ ან ვერცხლისფერ ფხვნილს აყრიდნენ. XVIII—XIX საუკუნეებში სურიმონოს საუკეთესო იაპონელი მხატვრები ამზადებდნენ. დღესდღეობით საახალწლო მისალოცებს ტიპოგრაფიული წესით ბეჭდვენ და მალაზიებში ოქტომბრიდან ყიდნიან.

თანამედროვე იაპონელები ცდილობენ ისეთი მისალოცები შეიძინონ, რომლებსაც

მზა ტექსტი არ ახლავს და თავად წერენ მილოცვას იაპონური კალიგრაფიის კანონების დაცვით. ეს მეთად დელიკატური და ფაქიზი საქმე გახლავთ — იაპონელი ოჯახები სადამოობით საახალწლო ბარათებზე მთელი დეკემბრის განმავლობაში მუშაობენ. ბარათებს უგზავნიან ახლობლებს, ნაცნობებს, ნათესავებსა და კოლეგებს. ცნობილია, რომ 1997 წელს იაპონიაში 4,77 მილიარდი მისალოცი ბარათი დაიგზავნა.

ასევე ტრადიციული საჩუქარია დარუბა - იაპონური თოჯინა თვალის გარეშე, რომელსაც ადრესატი ერთ თვალს ახატავს მას მერე რაც სურვილს ჩაიფიქრებს. თუ სურვილი ახდა, დარუბას მეორე თვალსაც ახატავენ.

ციფრები და ფაქტები

- 2008 წლის 7 თებერვალს აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ვირთხის წელი დგება. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლური კალენდრის 12 წლიანი ციკლი სწორედ ვირთხის წლიდან იწყება ათვლას: ჩინური ლეგენდის მიხედვით, ბუდამ მაღალ მთაზე 28 ცხოველს მოუხმო, მაგრამ მხოლოდ 12 გამოცხადდა, რომელთაგან პირველი ვირთხა ყოფილა. ბუდამ ცხოველები მორჩილებისთვის დააჯილდოვა და თითოეულს წელიწადში ერთხელ ადამიანებზე ბატონობის უფლება უბოძა;
- 2008 წლის წარმატებული თვეებია იანვარი, მარტი, აპრილი, მაისი და სექტემბერი. ნოემბერი მოვლენების მრავალფეროვნებით გამოირჩეული იქნება;
- ვირთხის წელში დაბადებული გამოჩენილი ადამიანები არიან: პრინცი ენდრიუ, ლუი ამსტრონგი, მარლონ ბრანდო, ჯორჯ ბუში, ჯიმი კარტერი, პრინცი ჩარლზი, კლარკ გეიბლი, ჰიუ გრანტი, ფრანც იოსეფ შაინი, ივ სენ ლორანი, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, დედა-დედოფალი ელისაბედი, უილიამ შექსპირი, ლევ ტოლსტოი, პაპი იოანე პავლე მეორე, ჟოულ ვერნი, ემილ ზოლა, იულია ტიმოშენკო;
- აღმოსავლურ კალენდარში პრიორიტეტული მდგომარეობის გამო, ვირთხის წელთან შესახვედრად აღმოსავლური სამყარო განსაკუთრებულად ემზადება: უპირველეს ყოვლისა კი გულმოდგინედ ასუფთავებენ და ალაგებენ სახლებს, ვინაიდან 2008 წლის „დისასხლისი“ ყველაზე სუფთა ცხოველია. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ფანჯრის მინებს უთმობენ - ახალ წელს ისინი ზედმიწევნით სუფთა უნდა იყოს;
- ნაძვის ხის სათამაშოებში ბურთები, ვარსკვლავები, ფიფქები და ბაფთები უნდა ჭარბოდეს. ნათურები და წვიმა კი ნაკლებად გამოიყენეთ - როგორც ჩინელები გვარწმუნებენ, „ვირთხას ზედმეტი ზიზილ-პიპილოები არ უყვარს“;
- ზომიერება გამოჩინეთ სადღესასწაულო მაგიდის გაფორმების დროსაც. უპირატესობა თიხის ჭურჭელს მიანიჭეთ. ნიგოზი და თხილი უხვად მიმოაბინეთ მაგიდაზე და რაც მთავარია, ყველის ასორტიმენტი შეიძინეთ;
- როგორც ჩინელები ამტკიცებენ, ვირთხას ესამოვნება თუ ახალი წლის შესახვედრად მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად საშოგზაუროდ გაემგზავრებით. თუმცა, სადაც არ უნდა იყოთ, მთავარია, არ გაიფუტოთ ხასიათი, განწყობა, ახალ წელს ხალხისანად შეხვედეთ და მთელი წლის განმავლობაში წარმატება გარანტირებული გექნებათ!

